

საქართველოს
გარე ურთიერთობების
სამსახური



წიგნი მუხალე

წიგნი ღირსებრისა

2000

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2000

თბილისი
2003



УДК 351.856.2 (479.22)
წ. 513



„წიგნი ღირსებისა“ ვახლავთ ქვეყნის რჩეულ მამულიშვილთა წარმოჩენის პირველი ცდა. წიგნი შთამომავლობას შემოუნახავს იმათ სახელებს, რომელთა თავგანწირვა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის, განსაკუთრებული წვლილი მშვიდობიანი აღშენებლობისათვის, გამოჩინებულ ადვილს დაიკავეს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

წიგნში შეტანილია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ნააზრევი სახელმწიფო ჯილდოს მნიშვნელობის შესახებ, მოცემულია პრეზიდენტის ვანკარგულებები დაჯილდოების შესახებ, ასევე სახელმწიფო კანცელარიაში გამართული ჯილდოების გადაცემის ცერემონიის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალა. რაც მთავარია, წიგნს დაერთო სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირთა საძიებელი გეარ-სახელების მიხედვით. წიგნში შეტანილია დღეს არსებული სახელმწიფო ჯილდოების შექმნის ისტორია.

ამჯერად ვთავაზობთ შექვსე წიგნს.

124.655

წიგნის შემდგენლები

თამაზ ყიფიანი (რედაქტორი)
თინათინ ბაჩიანი
ზურაბ სიმონიშვილი

ISBN 99928-0-197-2

© თამაზ ყიფიანი.

ნიქაიეტი
8005



სამშობლოს წინაშე საქართველოს მოქალაქეთა დეაქლის
სახელობით ვაძლავებთ აღნიშნავთ დიდ მნიშვნელობას
ეანიქებ. დღევანდელ ვაძლავებთ ხულო სხვა თასი, სხვა
წონა და სხვა მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს არის არა
სხვა ქვეყნის, არამედ სამშობლოს მიერ მოკლებული ვა-
დღად და რადგან მუდმივად, რადგან რთული პერიოდის
ამსახურით არ უნდა იყოს იგი, ეს დამოუკიდებელი და
თავისუფალი საქართველოს ვაძლავთ, ჩვენს სახელობით
ვაძლავთ.

ერეკლ შახინა

ჯილდოების შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორდენი არის წარჩინების ნიშანი, საპატიო ჯილდო, რომლითაც სახელმწიფო გამოხატავს განსაკუთრებულ მადლიერებას და აღნიშნავს პიროვნების დამსახურებას სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. ორდენის, როგორც წარჩინების ნიშნის წარმოშობა დაკავშირებულია სარაინდო, სასულიერო-სარაინდო ორდენებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან.

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნიდან არსებობდა დასავლეთ ევროპაში სამხედრო და ბერ-მონაზონთა სარაინდო ორდენები. თავდაპირველად ისინი გაჩნდნენ პორტუგალიასა და ესპანეთში (სან-ბენიტო დ' ავიზის ორდენი - 1143წ. და სანტ-იაგო დე ესპადოს ორდენი - 1176 წ.). შემდგომ ბურგუნდიაში (XIII ს.), ინგლისსა და იტალიაში (XV ს.), ბავარიაში, დანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში (XV ს.), რუსეთში, უნგრეთში, შვედეთსა და პრუსიაში (XVIII ს.), ბულგარეთში, საბერძნეთში, თურქეთში, სერბიაში, ნიდერლანდებში, ლუქსემბურგში, რუმინეთში, ჩინეთში, სპარსეთსა და იაპონიაში (XIX ს.), ნორვეგიაში, ირლანდიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და ფინეთში (XX ს.).

XIV-XVI საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა სამეფო კარის ორდენები, რომელთა წევრები ძირითადად წარჩინებულნი, დიდგვაროვანი ან მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ. მათ სამოსს ამშვენებდა სხვადასხვა საორდენო ნიშანი, რომელმაც დროთა მანძილზე ჯილდოს სახე მიიღო. ერთ-ერთი პირველი ჯილდოები იყო ინგლისში „წვივ-საკრავის ორდენი“ (1348 წ.), საფრანგეთში „სულიწმინდის ორდენი“ (1579 წ.). XVII და XVIII საუკუნეებში მრავალი მსგავსი ორდენი დაწესდა და გავრცელდა მთელს ევროპაში. ცოტა მოგვიანებით შემოიღეს ჯილდოს ნიშნები მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ: იაპონიაში - „ამომავალი შის“ ორდენი, ჩინეთში - „ორმაგი დრაკონის“ ორდენი, თურქეთში - „ნახევარმთვარის“ ორდენი, ირანში - „ლომისა და შის“ ორდენი, რუსეთში - „ანდრია პირველწოდებულს“ და „წმინდა ეკატერინეს“ ქალთა ორდენები, რომლებიც პეტრე პირველმა დააკანონა, შემდგომ რუსეთის საიმპერატორო კარმა სამხედროების დასაჯილდოებლად დააწესა „წმინდა ალექსანდრე ნეველისა“ და „წმინდა გიორგის“ ორდენები.

თავდაპირველად ორდენები დგინდებოდა როგორც უმაღლესი წარჩინების ნიშანი ვიწრო და ამასთან ვარკვეული წრის წარმომადგენლებსათვის (მაგალითად, ორდენი „ოქროს საწმისი“ შეიქმნებოდა



ეპოქათ მხოლოდ და მხოლოდ საიმპერატორო და სამეფო სახელის პირთათვის, სერაფიმების შეყვდური ორდენი შეიძლებოდა ერთდროულად ჰქონოდა აზნაურული წარმოშობის არა უმეტეს 32 პირს და ა. შ.). ამიტომ დღემდე დასავლეთეგროპული სხვადასხვა ორდენების სტატუტები განსაზღვრავენ იმ პირთა ზუსტ რაოდენობას, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ესა თუ ის ორდენი.

თითქმის XX საუკუნემდე მრავალ ქვეყანაში მსგავსი ორდენების კავალრები დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან როგორც ერთი ორგანიზაციის პირები და ემორჩილებოდნენ შესაბამისი ორდენის კაბიტულს*. ამის შედეგად რიგი სახელმწიფოების საორდენო ნიშნები დაყოფილი იყო მრავალ ხარისხად თუ საფეხურად, კლასად, თანრიგად (ზუთი, რვა და მეტი), რომლებიც ასახავდნენ არა მარტო დამსახურების დონეს, არამედ მისი მფლობელის რანგსაც შესაბამისი ორდენის ორგანიზაციის სისტემაში (უბრალო კავალერი, კავალერი-ოფიცერი, უფროსი ოფიცერი, კომანდორი და ა.შ.). მაგალითად, იაპონურ „ოქროს სიხარულის“ ორდენს ჰქონდა 7 ხარისხი, ორდენს „წმინდათაწმინდა საუნჯე“ - 8 ხარისხი, ფრანგული საპატიო ლეგიონის ორდენს - 5 ხარისხი, ერთ-ერთ ჩინურ ორდენს 9 ხარისხიც კი ჰქონდა, ხოლო 1912 წელს გაუქმებულ ჩინურ ორდენს „ორმაგი დრაკონი“ გააჩნდა 5 თანრიგი და 11 ხარისხი. ყოველივე ეს ასახავდა ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მრავალსაფეხურიანი გასაღური დამოკიდებულების სისტემას, ამ სისტემამ საორდენო ნიშნებში ასახვა ჰპოვა მაშინაც კი, როდესაც ფეოდალიზმმა შეწყვიტა თავისი არსებობა.

ორდენების თვისება, როდესაც ისინი შუასაუკუნოვან ეგროპაში განხილვებოდნენ როგორც ფეოდალური, წოდებრივი განსხვავებისა და მონარქიული წყალობის უპირველესი ნიშნები, პრინციპული საფუძველი გახდა, რათა რესპუბლიკურ სახელმწიფოებს იმთავითვე უარი ეთქვათ ორდენების ინსტიტუტზე.

შევიცაროამ, მოგვიანებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს ორდენის შემოღებაზე - როგორც განსხვავების ნიშანზე, თუმცა დააწესეს ისეთი მედლები და ნიშნები, რომლებიც რანგით მედლებზე დაბლა იდგნენ, ვინაიდან არ იყვნენ დაკავშირებული გარკვეულ საორდენო სტატუტებთან.

თუ რამდენად დომინირებდა ამ საკითხში ფორმალური, სამართლებრივი მიდგომა (ორდენი ნიშნავს წოდებრივ ორგანიზაციას), გვიჩვენებს 1783 წელს ჯორჯ ვაშინგტონის მიერ აშშ-ში ორდენის შემოღების მცდელობა.

ჯორჯ ვაშინგტონმა კარგად იცოდა რა, რაოდენ დიდი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა პატრიოტული გრძნობების

* კაბიტული - 1. მონარქიული ან სასულიერო სარაინდო ორდენის უმაღლესი

ორგანო - ორდენის წევრთა საერთო კრება

2. ორგანო, რომელიც განაგებს საორდენო საქმეებს.



აღზრდისათვის ქვეყანაში ეროვნული ორდენის შემოღებას, ასევე მის საერთაშორისო მნიშვნელობას, ცდილობდა ამაში დაერწმუნებინა აშშ-ს სენატი, მაგრამ კანონმდებლები შეუდრეკელი აღმოჩნდნენ, ვინაიდან ისინი ეყრდნობოდნენ ფორმალურ თურიფიულ პოზიციას: რესპუბლიკა არ უნდა იყოს არანაირი წოდებრივი, საორდენო ორგანიზაცია. ჯ. ვაშინგტონი შეეცადა გადაეღობა ეს ფორმალობა და დაეშვა იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლობისათვის ომში მონაწილე ოფიცერთა ჯგუფისათვის შეექმნა არა სახელმწიფოებრივი, არამედ კერძო საორდენო ნიშანი - ცინცინატიის ორდენი და თავად ვაშინგტონი ამ ორდენის კაპიტულის თავმჯდომარე არა როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც კერძო პირი. ამას საფუძვლად ედო დიდი სამოქალაქო მიზანი: ახალი სახელმწიფოს დემოკრატიზმის ხაზგასმა და ყოველგვარი მილიტარისტული მისწრაფებების უარყოფა, რადგან ცინცინატიის ორდენის კავალრობის კანდიდატებად ნაზარაუდევი იყვნენ ყოფილი სამხედროები, რომლებიც ძველი რომის პატრიციის ცინცინატიის მგავსად დაუბრუნდებოდნენ თავის ომამდელ მშვიდობიან საქმიანობას - სახნავეს, გუთხანს, პრინციპულ უარს იტყოდნენ სამხედროების ან არმიის მუდმივი ან პროფესიული კასტის შექმნაზე და ჩათვლიდნენ, რომ სამხედრო ვალდებულება ნებისმიერი მოქალაქისათვის უნდა იყოს დროებითი, მხოლოდ ქვეყნისათვის საომარი საშიშროების პერიოდში. ასეთი განწყობილებების განზოგადობისა და მხარდაჭერის მიზნით ცინცინატიის ორდენის წევრები ვარაუდობდნენ, რომ მას შემკვიდრობითს ორდენად აქცევდნენ, რომლის წევრები იქნებოდნენ ცინცინატიის ორდენის მიმდევარნი. ორდენის შექმნის მცდელობა ობსტრუქციას ემსხვერპლა და ჩაიშალა.

ყველა რესპუბლიკა როდი იდგა ასეთ პოზიციასზე. საფრანგეთმა შეინარჩუნა მისი იმპერატორის - ნაპოლეონის მიერ შემოღებული საპატოლ ლეგიონის ორდენი. XX საუკუნეში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ახალი რესპუბლიკებმა ვააუქმეს მონარქიული ორდენები და მათ ნაცვლად შემოიღეს რესპუბლიკური ორდენები (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ფინეთი).

ფიქრობთ, მკითხველისათვის არანაკლებ საინტერესოა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების ისტორია.

ძველად საქართველოში დაჯილდოების წესი არ არსებობდა. მიღებული იყო ყმა-მამულის, ჯიშინის ცხენის, ფულის, ძვირფასი ნივთებისა და საბრძოლო იარაღის ბოძება. ქართველი მეფეები ჯილდოებს შორის უპირატესობას საბრძოლო იარაღისა და აღჭურვილობის ჩუქებას ანიჭებდნენ. საბრძოლო იარაღით დაჯილდოების ტრადიცია ძველთაგანვე რომ არსებობდა, ამას მოწმობს XIII საუკუნის პირველი ნახევრის არაბი ისტორიკოსის ალ-ჰამადის ცნობა იმის შესახებ, რომ 1230 წლის 14 აპრილს ათაბაგმა ივანე მხარგრძელმა თავის სიძეს „ალ-აშრაფს გაუგზავნა ხმალი, რადგანაც ქართველებს წესად აქვთ, თუკი გამარჯვებს მეზობელი, მას მანკილი გაუგზავნონ“. ისტორიამ შემოგვინახა არაერთი კონკრეტული ეპიზო-



და, თუ როგორ აჯილდოებდნენ ქართველი მეფეები ბრძოლაში მონაწილე მამაცობისა და ერთგულებისათვის მებრძოლებს. საომარი იარაღითა და აღჭურვილობით. ქართული ფოლკლორი მდიდარი მებრძოლთა ასეთი სახეებით.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს იოანე ბაგრატიონმა საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა ქართული სახელმწიფო აჯილდოების - ორდენებისა და მედლების დაწესების იდეა თავის მიერ შედგენილ და „ჯუღუღებად“ წოდებულ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ რეფორმათა პროექტში. მეფე გიორგი XII ვარდაცვალებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ რეფორმათა განხორციელება ვერ მოხერხდა.

ეროვნული სახელმწიფო აჯილდოების დაწესების მცდელობა იყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც. ქართველი პატრიოტები ოქროპირ ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი აღორძინებული ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური მონარქიის საფუძველზე მოწყობის იდეით იყვნენ შეპყრობილი. შეიარაღებული აჯანყების წარმატებით დამთავრებისა და ხელისუფლების მობოგების შემდეგ მათ მიერ ნაგარაუდვეი იყო ქართული სახელმწიფო აჯილდოების მთელი სისტემის ჩამოყალიბება. როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულება - ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ბირველი ცდა - იასე ფალავანდიშვილს დასმენის შედეგად ჩაგარდა.

ბირველი ქართული ორდენი შეიქმნა I მსოფლიო ომის დროს. 1918 წლის იანვარში ოსმალეთის ტერიტორიაზე დაბანაკებული ქართული ლეგიონის საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა დააწესა სამხედრო წარჩინების ნიშანი, რომელსაც შემდგომ „თამარ მეფის“ ორდენი ეწოდა. ამ ორდენით დაჯილდოება 1918 წლის მიწურულამდე გრძელდებოდა.

გერმანელთა მხარეზე მებრძოლმა ქართველმა ემიგრანტებმა მიხეილ წერეთელმა და შალვა მაღლაკელიძემ 1941 წელს აღადგინეს „თამარ მეფის“ ორდენი, რომლითაც II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე აჯილდოებდნენ.

„თამარ მეფის“ ორდენის კავალერთა შორის არიან როგორც ქართველები, ისე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დაცვასათვის მებრძოლი გერმანელები. აქედან გამომდინარე, „თამარ მეფის“ ორდენი არსებითად გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის აჯილდოა, თუმცა ამავე დროს, იგი ბირველი ქართული ორდენიც არის.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) შემდეგ ქვეყნის მმართველობის სათავეში მოხულმა სოციალ-დემოკრატებმა არ იზრუნეს საკუთარი აჯილდოების დაწესებაზე. ამდენად, 1918-1921 წლებში რესპუბლიკის სამხედრო უწყება ქვეყნის დაცვაში თავგამოჩენილთ აჯილდოებდა რუსული საიპერიო წარჩინების ნიშნებით - წმინდა გიორგის ჯვრებით, რომლებიც

სამხედრო საწყობებში იყო შემორჩენილი.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების (1921 წლის თებერვალ-მარტი) შემდეგ დაწესდა ქართული საბჭოთა ჯილდოები: საბრძოლო დანიშნულების - წითელი დროშის ორდენი (1921-1924 წლები), შრომის ორდენი (1928-1931 წლები) და შრომის წითელი დროშის ორდენი (1931-1936 წლები), რომლებიც გაცემოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის. წარჩინების ამ ნიშნებით დაჯილდოების შეწყვეტის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები. აქვე უნდა ითქვას, რომ 1990 წლის ნოემბრამდე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო სხვადასხვა დამსახურებისათვის მანც საკუთარი წარჩინების ნიშნებით (ოღონდ არა ორდენებითა და მედლებით) აჯილდოებდა რესპუბლიკის მკვიდრთ და საბაბთო წოდებებსაც ანიჭებდა. არსებობდა ჯილდოები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებისათვის.

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სცადა შემოეღო ქართული სახელმწიფო ჯილდოები, რაც იშხანად გერმონერდა.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1992 წლის 27 ნოემბრის № 18 დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდა საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, შეიქმნა სახელმწიფო ჯილდოების თაობაზე წინადადებების მოსამზადებელი კომისია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ალექსანდრე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწენი.

აქედან მიეცა დასაბამი დამოუკიდებელი საქართველოს ქართული ორდენებისა და მედლების ისტორიას.

კომისიამ ძალზე შემჭიდროებულ ვადებში წარადგინა დასკვნა: „სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში განსაკუთრებული პირადი წვლილის აღსანიშნავად სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედლების დაწესების შესახებ წინადადებების განხილვის საფუძველზე კომისია ადგენს: მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემდეგი სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედლების დაწესება“. ნუსხაში ჩამოთვლილი ორდენები და მედლები, შემდგომში საქართველოს კანონით იქნა დაწესებული.

კომისიის თხოვნით საქართველოს დამსახურებულმა არქიტექტორმა გიორგი ავსაჯანიშვილმა და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ უმოკლეს ვადებში შექმნეს ორდენებისა და მედლების ესკიზები. მათ ამ ჯილდოებს საფუძვლად დაუდეს ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა, ჩვენი კულტურის



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

გვირგვინი - ქართული დამწერლობა. ქართული სულით
ორდენთა მრგვალოვან ასომთავრულში აზრის ტყევადობის
რისით ეროვნული სიმბოლიკა სრულყოფილად არის წარმონიღი
(უფრო ვრცლად ამას მკითხველი ორდენებს აღწერილობაში წაი-
კითხავს).

1992 წლის 24 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“, რომლითაც დაწესდა: „დავით აღმაშენებლის ორდენი“; „გახტანგ გორგასლის ორდენი“ (I, II და III ხარისხის); „ღირსების ორდენი“; მედალი „მხედრული მამაცობისათვის“; მედალი „საბრძოლო დაშახურებისათვის“; „ღირსების მედალი“.

ამით კვლავ აღდგა საქართველოში ქართული სახელმწიფო ჯილდოების ტრადიცია, რაც უდავოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 26 ივნისს მიღებული კანონით „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე, სახელმწიფო ჯილდოებს კიდევ ერთი, საგანგებოდ უცხოელთათვის განკუთვნილი ჯილდო - „ოქროს საწმისი“ ორდენი დაემატა.

საზოგადოებისათვის ინტერესი მოკლებული არ იქნება იმის გაგება, რომ „ოქროს საწმისი“ ორდენის შექმნის იდეა თავად საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. ორდენის შესაქმნელად თითქმის ერთი წელი ვმუშაობდით მხატვართა და პერადიკოსთა რამდენიმე ჯგუფთან ერთად. წარმოდგენილ პროექტებსა და ესკიზებს შორის უბირატესობა მიენიჭა იმ ჯგუფს მიერ წარმოდგენილ ესკიზს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მხატვარი მამუკა გონგაძე და პერადიკოსი მამუკა წურწუშია. დღეს არსებულ „ოქროს საწმისი“ ორდენზე საავტორო უფლება მათ ეკუთვნით.

„ოქროს საწმისი“ კაცობრიობის პრინციპული წარსულიდან მომდინარე საკრალური ხატია. მითოლოგიური ებოსის სახესმბოლოთა შესაბამისად, ისიც მრავალგანზომილებიანია. „ოქროს საწმისი“ ადამიანის მარადიული ღვთაებრივი არსის გამოხატულებაა. იგი მოსაპოვებელი აქვს კაცობრიობას. მისი მოპოვება ადამიანის ამაღლებას, სულიერ სრულყოფას, სამყაროს ღვთაებრივ არსთან ზიარებას ნაშნავს. მისი მიღწევა სინელეთა გადალახვითაა შესაძლებელი. სიბრძნე და გონიერება ქალის სახით შემწედ მოველინა მამიებელთა. ეს ძიება დიდ მსხვერპლს მოითხოვს. „ოქროს საწმისი“ ეს არის ქართველთა უძველესი სახელმწიფოებრიობის (კოლხეთი) სიმბოლო, ანტიკურ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის დასტური და დღევანდელ დღეს დასავლური ფასეულობებისაკენ ქართველთა უწყვეტი ლტოლვის გამოხატულება.

საზოგადოებას უდავოდ აინტერესებს, ვინ არიან დამოუკიდებელი საქართველოს ქართული ორდენების ბირველი კავალრები. სწორედ ამიტომ გვსურს უფრო დაწერილებით მოგაწოდოთ მათი ბიოგრაფიუ-



ლი ცნობები, საბრძოლო დამსახურება და საზოგადოებრივი მნიშვნელობის
ვაჭვობა.

განტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით საქართველოს სა-
ხელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 25 დეკემბრის № 10 ბრძანებუ-
ლებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული
ძალებს მფრინავი - გვარდიის პოლკოვნიკი ჯიმშერ დიმიტრის ძე
მაისურაძე.

ჯ. მაისურაძე დაიბადა 1949 წლის 25 მარტს ლავოდეხის რაიონის
სოფელ ვიორგეთში. 1992 წლის 2 აპრილს იგი დაინიშნა ეროვნული
გვარდიის საავიაციო ნაწილის მეთაურად. მონაწილეობდა სამა-
ჩაბლოში მიმდინარე მოვლენებსა და საქართველოს ტერიტორიული
მთლიანობისათვის ბრძოლებში. **ჯ. მაისურაძე** მაღალპროფესიულ დო-
ნეზე ასრულებდა სარდლობის დავალებებს. პირადი მამაცობის შედე-
გად მან მრავალი ქართველი მეომრის სიცოცხლე გადაარჩინა. 1992
წლის 22 დეკემბერს საბრძოლო დავალებს შესრულების დროს იგი
გმირულად დაიღუბა.

განტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი მას მიენიჭა სიკვდილის
შემდეგ ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, სამშობლოს
დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირული
თავდადება და მამაცობისათვის.

განტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით საქართველოს სა-
ხელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 25 დეკემბრის № 11 ბრძანებუ-
ლებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული
ძალებს მფრინავი, გვარდიის კაპიტანი მერაბ სერგოს ძე გელაშვილი.

მ. გელაშვილი დაიბადა 1966 წლის 8 ივლისს ვალის რაიონის
სოფელ მუხურაში. 1992 წლის 4 დეკემბერს იგი დაინიშნა ეროვნული
გვარდიის მფრინავ-შტურმანის თანამდებობაზე. მონაწილეობდა აფხა-
ზეთში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. შესრულა 86 საბრძოლო
გაფრენა. **მ. გელაშვილმა** პირნათლად მოიხადა თავისი მსკდრული
ვალი. იგი დაიღუბა 1992 წლის 22 დეკემბერს საბრძოლო დავალების
შესრულების დროს.

განტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი მას მიენიჭა სიკვდილის
შემდეგ სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გა-
მოჩენილი თავდადება, სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიცემული
საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

განტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით საქართველოს
სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 28 თებერვლის № 23 ბრძანე-
ბულებით დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის
სამინისტროს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის
სამხედრო მოსამსახურეებ: გენო ადამია - 23-ე მექანიზებული ბრი-
გადის მეთაურად ალექსანდრე გეორბელიძე - 23-ე მექანიზებული
ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის დაზვერვის სამსა-
ხურის უფროსი (სიკვდილის შემდეგ); ზაურ უჩაძე - კორპუსის მე-
თაურის პირველი მოადგილე; ვალერი ქვარაია - კორპუსის შტაბის



უფროსი, მეთაურის მოადგილე; ემზარ ქოჭუა - კორპუსის სანაგვეთი
ჯარებისა და საარტილერიო სამსახურის უფროსი; თენგიზ ჭაბაძე
23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის
პირველი ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

განტანგ ვორგასლის III ხარისხის ორდენი მათ მიენიჭათ სამ-
შობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმი-
რობის, მამაცობისა და თავდადებისთვის.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ საქართველოს სახელმ-
წიფოს მეთაურის 1993 წლის 3 იანვრის № 1 ბრძანებულებით და-
ჯილდოვდა ოსურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების
წესრიგისა და უშიშროების დაცვის პოლიციის საჯარო პოლიციის
ქვედანყოფილების ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი, პოლი-
ციის მაიორი ნუგზარ ამირანის ძე სეფერთელაძე.

ნ. სეფერთელაძე დაიბადა 1952 წელს ქ. ოსურგეთში. 1981 წლის
10 ოქტომბრიდან იგი მსახურობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში და
თავი გამოჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა და შრომისმოყვარე
მუშაკმა. ნ. სეფერთელაძე დაიღუპა 1992 წლის 28 დეკემბერს ქუბანში
მყოფი ბოროტმოქმედის დაკავებისას.

მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ მას მიენიჭა სიკვდილის
შემდეგ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ბი-
რადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ საქართველოს სა-
ხელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 28 თებერვლის № 23 ბრძანებუ-
ლებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამი-
ნისტროს შეიარაღებული ძალების მეორე კორპუსის 23-ე მექანი-
ზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის უფროსი
მზვერაზი რაშიდ მინეილის ძე ანთია.

რ. ანთია დაიბადა 1961 წლის 15 აპრილს სოსუმის რაიონის
სოფელ აკაფაში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის
ბრძოლის დროს იგი აქტიურად ჩაება საბრძოლო ოპერაციებში, ჩაი-
რიცხა მზვერაზთა რიგებში და საზრიანი მოქმედებით ბევრი სასარ-
გებლო ინფორმაცია მოიპოვა. 1993 წლის 5 იანვარს მისი თავგან-
წირული მოქმედების შედეგად მოწინააღმდეგის მიერ დაგეგმილი
საბრძოლო ოპერაცია ჩაიშალა.

მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ მას მიენიჭა სამშობლოს
დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობის,
მამაცობისა და თავდადებისათვის.

ღირსების ორდენით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993
წლის 10 აპრილის № 37 ბრძანებულებით დაჯილდოვდა საქართვე-
ლოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის
სამმართველოს ცალკეული საპატრულო ბატალიონის მეთაურის
მოადგილე, მაიორი ვახტანგ მინეილის ძე კაპანაძე.

გ. კაპანაძე დაიბადა 1960 წელს ქ. თბილისში. საქართველოს ტე-
რიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს იგი სოსუმში



სელმძღვანელობდა შტაბის მუშაობას. ონაშჩირეში, სოფელ დაბრის ადგილისათვის გამართული ბრძოლისას მან გმირულად ჩაახშო შტაბის ნაღმდევს რამდენიმე საცეცხლე წერტი, არტილერიას ბრძოლის წინა ხაზიდან უკეთებდა კორექტირებას, რის შედეგადაც მოხსნა მონაღმდევს რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი.

ღირსების ორდენი მას მიენიჭა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის.

ღირსების მედლით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის № 37 ბრძანებულებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის ბრიგადის კავშირგაბმულობის უფროსი, ლეიტენანტი მალხაზ კონსტანტინეს ძე ბეგიაშვილი.

მ. ბეგიაშვილი დაიბადა 1960 წელს ქ. თბილისში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს მან, როგორც სამხედრო პოლიციის გაერთიანებული ბატალიონის კავშირგაბმულობის ოცეულის მეთაურმა, დიდი სამუშაო ჩაატარა ქ. ონაშჩირეში ბატალიონის ქვედანაყოფების კავშირით უზრუნველყოფაში, რამაც ხელი შეუწყო სოფელ ბესლახუბასთან გამართულ ბრძოლაში ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

ღირსების მედალი მას მიენიჭა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის.

დავით აღმაშენებლის ორდენით საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 დეკემბრის № 743 ბრძანებულებით აღსაყდრებს 20 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მუთერე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა-აღორძინებაში, ქართველი ერის სულიერ და ფიზიკურ გადარჩენაში, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, სხვა რელიგიური აღმსარებლობისა და რწმენისადმი შემწყნარებლობის დამკვიდრებისათვის, საზოგადოების ერთიანობისა და ქვეყნის გამთლიანებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის.

„ოქროს საწმისის ორდენით“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივნისის № 630 განკარგულებით დაჯილდოვდა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯეიმს ვულფენსონი.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფუძნებული „კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივის“ პროგრამა მიზნად ისახავს დაენშაროს საქართველოს მთავრობას კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლთა დაცვის უზრუნველყოფაში და ფართოდ ჩაახშას საზოგადოება ამ საკითხის მოგვარებაში. ჯეიმს ვულფენსონს უდღევს წვლილი მთუძღვის პროექტის შემუშავებაში. მსოფლიო ბანკმა თავის ისტორიაში უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და ერის სულიერი და მატერია-



ლური კულტურის შენარჩუნებისათვის საქართველოს ინტერნეტ-ენციკლოპედიაში ვალისწინებით პირველად შეიმუშავა პროექტი კულტურის სფეროში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამას სოციალური და ეკონომიკური დატვირთვაც აქვს - კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სფეროს განვითარებას უნდა იწვევდეს. ეს არის ცდა, ჩამოყალიბდეს მოდელი, თუ როგორ უნდა გაიმძალოს მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საბაზრო ეკონომიკისაგან მიმავალი ქვეყნისათვის.

ჯ. ვულფენსონის ინციატივით მსოფლიო ბანკმა გადაწყვიტა კულტურული მემკვიდრეობის პროექტის დაფინანსება, რომლის მთავარ მიზანს კონკრეტული კულტურული ძეგლების გადარჩენასთან ერთად, მისი სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაც წარმოადგენს. პროექტის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში საქართველოს ექვს სხვადასხვა რეგიონთან ერთად მოექცა ძველი თბილისიც. ექსპედიციების მუშაობისას დაფიქსირდა საკმაო რაოდენობის ისტორიულ-კულტურული ღირებულების ობიექტები, რომლებიც აქამდე არსად არ იყო აღნუსხული და არც ერთ სიაში არ შედიოდა, მოხდა მათი ფოტოფიქსაცია.

1998 წლის 16 თებერვალს ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკში ხელი მოეწერა დოკუმენტს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის 5 მილიონი აშშ დოლარის კრედიტის გამოყოფის შესახებ.

მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული პროექტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, უბირველეს ყოვლისა ქართული საზოგადოების სულიერებს დაცვას, მატერიალური კულტურის გადარჩენას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და საბოლოოდ, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

„ოქროს საწმისს“ ორდენი ჯემს ვულფენსონს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში, ეკონომიკის რეფორმირებასა და ქართული კულტურის მემკვიდრეობის გადარჩენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

წიგნი „წიგნი ღირსებისა“, დამოუკიდებელი საქართველოს ღირსეულ მამულიწვილთა წარმოჩენის პირველი ცდაა. ჩვენი მიზანია შთამომავლობას შემოუნახოთ ქვეყნის სახელმწიფო ჯილდოების შექმნის ისტორია და მათი სახელები, ვისი თავგანწირვაც ქვეყნის დამოუკიდებლობა და მთლიანობისათვის, განსაკუთრებული წვლილი მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში გამოჩინულ ადგილს დაიკავებს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

თამაზ ყიფიანი



დავით აღმაშენებლის
ორდენი



„ტეროს ხაჭაბუაძის“
ორდენი



ღირსების ორდენი



ღირსების მედალი



ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენი



ვახტანგ გორგასლის
II ხარისხის ორდენი



ვახტანგ გორგასლის
III ხარისხის ორდენი



მედალი
„მხედრული შამაჯობისათვის“



მედალი
„საბრძოლო დამსახურებისათვის“

2000
წელი

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 26

2000 წლის 12 იანვარი

ქ. თბილისი

**სულეიმაგ ღამიძის ოპრის საწმისის ორდინი
ღაჯილდოების შესახებ**

მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებაში, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობასა და ქართველი და თურქი ხალხების ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სულეიმაგ დამიძელი დაჯილდოვდეს ოქროს საწმისის ორდენით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 27

2000 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

**ო.პოპიას II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდინი
ღაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს გამოჩენილი თავდადების, მაღალი პროფესიონალიზმისა და სამხედრო ფორმირებებისათვის გაწეული თვალსაჩინო მატერიალური დახმარებისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ოპარ გოგია დაჯილდოვდეს II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 28

2000 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

**ნ.ურუშაძის და ნ.ფურცხვანიძის ღირსების მედლით
ღაჯილდოების შესახებ**

საესტრადო და საცინკო ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მიღწევებისათვის თბილისის შოთა მლორავას სახელობის საესტრადო და საცინკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ ღირსების მედლით:

ნანა ურუშაძე - თეორიული საგნების პედაგოგი და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი

ნუკრი ფურცხვანიძე - დირექტორის მოადგილე აღმზრდელით დარგში.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 29

2000 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

**საქართველოს კულტურის სფეროს მუშაკთა ღირსების ორდინი
ღაჯილდოების შესახებ**

ქართული კულტურის განვითარებაში, მის პოპულარიზაციასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი

მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ კულტურის მუშაკები:

- ვახტანგ ადვაძე** - საქართველოს დამსახურებული მხატვარი
- თემურაზ ანობაძე** - მუსიკოს-შემსრულებელი, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკის „სტენვეის“ მიუსიკ-ჰოლის წევრი, საქართველოს დამსახურებული არტისტი
- დემურ ბაშელაშვილი** - საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი
- ანა ბაჯიაშვილი** - საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო „კელაპტრის“ წევრი
- ჯონდო ბოკუჩავა** - თბილისის 27-ე სამუსიკო სკოლის პედაგოგ-ილუსტრატორი
- ლევან გველეხიანი** - საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი (ქ.სესტაფონი)
- თამარ გვეტაძე** - თბილისის შალვა ასლანიშვილის სახელობის მე-5 სამუსიკო სკოლის თეორიული განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი
- მარინა ვითრგაძე** - საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო „კელაპტრის“ წევრი
- დავით დოიაშვილი** - თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი.
- ზურაბ ებანიძე** - საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ქართული ფოლკლორის თეატრისა და ანსამბლ „მთიების“ სოლისტი
- დავით ეგგენიძე** - კომპოზიტორი, მუსიკოს-შემსრულებელი
- დემიტრი იანკოვსკი** - საქართველოს რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების გამგეობის წევრი
- ვახტანგ კახიძე** - კომპოზიტორი, თბილისის სიმფონიური მუსიკის ცენტრის დირიჟორი
- ალექსანდრე კორსანტია** - მუსიკოს-შემსრულებელი, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ საუზ-ბენდის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
- ლვილა ლაბაძე** - ბორჯომის სამუსიკო სკოლის მეთოდისტი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე
- თემურ ლანდია** - საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ქართული ფოლკლორის თეატრისა და ანსამბლ „მთიების“ სოლისტი
- ციური ლაფანი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუსეუმის ფილიალის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუსეუმის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
- ანზორ შანიაშვილი** - საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თეატრის ფონდის გენერალური დირექტორი
- მამუკა იოსელიანი** - საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ქართული ფოლკლორის თეატრისა და ანსამბლ „მთიების“ სოლისტი
- გურიელ როგავა** - სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ კინოობერატორი
- ვიორგი შაიშქელაშვილი** - საქართველოს „ონესკოს“ საქმეთა ეროვნული კომისიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- შერგილ შინია** - კინორეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
- ლია ხუნწარია** - საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო „კელაპტრის“ წევრი.

K 24.655

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. შევარდნაძე



- კარაბეჯი კაპანაძე** - საქართველოს ზოტტექნიკურ-სავეტერინარო სსიპის დირექტორი-სამეცნიერო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ტურინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ფარნაოზ ლომაშვილი** - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ანზორ ნადირაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო და ნაკეთობების კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ილია ნაკაძე** - საქართველოს სახელმწიფო აგარარული უნივერსიტეტის აგროქიმიის კათედრის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
- რაფიელ ციციშვილი** - ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
- გიორგი ხარაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის პროფესორ-კონსულტანტი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ე. შვეარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის ელზარდ შვეარდნაძის მიერ 2000 წლის 14 იანვარს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სულაიმან დემირელისათვის «ქართული საზოგადოების» ორდენის გადანიშნის ცერემონიაზე წარმომადგენელი სიტყვათა

ელზარდ შვეარდნაძე:

ბატონი სულეიმან დემირელი, როგორც გამორჩეული და, რაც მთავარია, თავისი დიდი ხალხის ნდობით აღჭურვილი პიროვნება, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს, ამ ახალი სისტემის ერთ-ერთი არქიტექტორია.

ამასთან ერთად, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კასპიის ენერგოშემცველების დასავლეთის, ე.ი. საქართველოს მარშრუტის დაკანონებაში ჩვენი დიდი მეგობრის, პეიდარ ალიევის გადაწყვეტილი როლი. ასევე უნიკალურია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის სიტყმატური მხარდაჭერა და თანადგომა.

ნება მძობძეთ, ისიც შეგახსენოთ, რომ დღევანდელი საპატიო სტუმარი სულეიმან დემირელი ის ერთადერთი მოქმედი პოლიტიკური მოღვაწეა, ვისი ხელმოწერაც აღიბეჭდა პელსინკის აქტზე, რომელმაც მოამზადა ხალხები და სახელმწიფოები თანაცხოვრების ახალი ეპოქისათვის. პელსინკის აქტი ის მოვლენაა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ახალი ევროპა, ცივი ომის დამთავრება და ბერლინის კედლის დანგრევა.

ეს მხოლოდ ერთი შტრისია სულეიმან დემირელის ლეგენდარულ პოლიტიკურ ბიოგრაფიაში.

ჩემი ხალხისა და ქვეყნის სახელით, კიდევ ერთხელ, უდრშეს მადლობას მოგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო, პატივცემულო კო-



ლევაზ, თქვენი კეთილშობილური აღმშენებლობითი საქმიანობისათვის, როგორც თქვენი სამშობლოს, ისე საქართველოს, ჩვენი რეგონისა და მთელი პლანეტის საკეთილდღეოდ. მსურს შევასწავლოთ მისი პირველი ჩამობრძანება თბილისში, იმ მძიმე წლებში, როდესაც მან გამოაცხადა, რომ თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსათვის გამოეყო 50 მილიონი დოლარის შეღავათიანი კრედიტი. ასეთი გადაწყვეტილება მას არაერთხელ მოუღია. იცის რა ჩვენი პრობლემები და სიძნელეები სოფლის მეურნეობის დარგში, კერძოდ, ხვნა-თესვის პრობლემები, სულეიმან დემირელმა დღეს განაცხადა, რომ საქართველოს უფასოდ გამოეყო 20 ათასი ტონა დიზელის საწვავი - ორჯერ მეტი, ვიდრე გეჭირდება. ასევე დიდად თურქეთის სახელმწიფოს დახმარება ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, ამაღლების, ჩვენი სასაზღვრო ნაწილების განმტკიცების საქმეში. ყველაფრისათვის დიდ მადლობას მოგასხენებთ.

და ბოლოს, ნება მიბოძეთ, შევასრულო ძალიან სასიამოვნო მისია - ჩვენს ღირსეულ სტუმარს, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეს ბატონ სულეიმან დემირელს გადავცემა „ოქროს საწმისს“ ორდენი - საქართველოს უმაღლესი ჯილდო, რომელიც ეძლევა მას მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებაში, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობასა და ქართველი და თურქი ხალხების ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

სულეიმან დემირელი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტა

ძვირფასო ძმაო, ბატონო პრეზიდენტო ედუარდ შევარდნაძე, ძვირფასო სტუმრებო,

დემოკრატიის, თავისუფლებისა და მშვიდობის სამსახურში განვლილი ჩემი მრავალწლიანი პოლიტიკური ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე ბევრი ჯილდო მიმიღია, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯილდოს, რომელიც გადმომცა მეგობარმა და მოძმე საქართველომ, რომლის დამოუკიდებლობას დიდი ალტაცებით შევხვდი და თავიდანვე მოწმე ვარ, თუ რა ცვლილებებს და გარდატეხას მიაღწია ამ ქვეყანამ.

ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება. იგი თურქი და ქართველი ხალხების დიდი მეგობრობის დასტურია. მაგრამ განსაკუთრებით ამაღელვებელი იმ საბაბმა, რისთვისაც ეს ჯილდო გადმომცეს. თავდაპირველად პრემიერ-მინისტრის, ხოლო შემდეგ პრეზიდენტის პოსტზე ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის განმტკიცების მიზნით ძალისხმევა არ დამიშურებია, და კვლავაც დიდი სინარულით აღვნიშნავ, რომ ეს ურთიერთობა დღითი დღე მტკიცდება.

ჩვენ მეზობელ საქართველოს ვიცნობთ, როგორც ახლო მეგობარს, ხოლო მის ხალხს - როგორც ძმას. ერთ დროს ახლო ურთი-



ერთობის მქონე ხალხებს შორის, 75 წლის განმავლობაში, მსოფლიო სისტემების მიერ შექმნილი პირობების გამო, გაუცხოების პროცესი დაიწყო, რასაც ბოლო მოელო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე და ისტორიამ კვლავ დააანლოვა ეს ხალხები ერთმანეთს. დღეს მივაღწიეთ იმ ზღვარს, როდესაც შეიძლება თამამად თქვას, რომ ჩვენი ურთიერთობა შესანიშნავ დონეზეა, მაგრამ არ გვაკმაყოფილებს მიღწეული და გვსურს, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს იგი.

მე და ჩემი ძვირფასი ძმა ბატონი ედუარდ შევარდნაძე არ ვიშურებთ ძალიანმეგას საიმისოდ, რომ განმტკიცდეს მეგობრობა და გაძლიერდეს სოლიდარობა ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის. ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემი ხალხის სახელით მადლობა მოვასხნო მას იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც მიუძღვის თურქეთსა და საქართველოს ურთიერთობის განმტკიცებაში.

ეს ჩემი მეოთხე ვიზიტია საქართველოში. მონარული ვარ, რომ 1992 წლიდან, პირადად მაქვს საშუალება, თვალი ვადევნო პირველი ვიზიტის დროიდან დღემდე განვლილი პერიოდის განმავლობაში, დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გზაზე საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ამ პროცესებს სათავეში უდგას ჩემი ძმა, ედუარდ შევარდნაძე, რომლის გონივრული მმართველობის შედეგად საერთაშორისო საზოგადოებრიობა დღეს საქართველოს დიდ ყურადღებას აქცევს, ეს არის ქვეყანა, რომლის სიტყვასაც უსმენენ.

სახელმწიფოსათვის საკმაოდ მოკლე პერიოდში, ანუ ცხრა წლის განმავლობაში, საქართველოს წინსვლა შესაძლებელი გახდა მსოფლიო წინდახედული, მიზანსწრაფული ლიდერის მეშვეობით, რომელიც მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ არ იშურებს თავის უმიდრეს გამოცდილებას. ამიტომ არ არსებობს საქებარი სიტყვები, რომლებიც სრულიად შეესატყვისება ქართველ ხალხს, რადგან მას პყავს სწორედ ისეთი პრეზიდენტი, რომელიც არის მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებების ავტორი, ჩემი ძვირფასი ძმა შევარდნაძე.

ისტორიის შექმნილი ადამიანები განსაკუთრებული ეპოქის შვილები არიან. ჩემი ძვირფასი ძმა, ედუარდ შევარდნაძე, ზუსტად ასეთი პიროვნებაა. ყველანაირ პატივისცემას იმსახურებს ის ღვაწლი, რომელიც მან დახდო მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიის განმტკიცებას, დამოუკიდებელი საქართველოს ბრწყინვალე მომავლის უზრუნველყოფას, კავკასიაში სიმშვიდის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის განმტკიცებას. ჩემი ხალხის სახელით დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და ჩემი ძვირფასი ძმის, შევარდნაძის მისამართით გამოთქმულ ამ მოსაზრებებს ყველაზე სწორად შეაფასებს ქართველი ხალხი.

ცოტა ხნის წინათ ახალ ათასწლეულში შევებიჯეთ. მონარული ვარ, რომ ახალ ეპოქაში ჩემი პირველი ვიზიტი მოეწყო თქვენს

**საპარტვილო პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 44

2000 წლის 20 იანვარი

ქ. თბილისი

ბანკარგულიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების უზენაესი

სარწყავი სისტემის მატერიალური ბაზის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მედიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის ვარდახის რაიონის მედიორაციის სამმართველოს უფროსი ბონის ნარქსელიანი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შვეარდნაძე

**საპარტვილო პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 45

2000 წლის 20 იანვარი

ქ. თბილისი

მ. ტიტუნაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების უზენაესი

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის სააქციო საზოგადოება „მაუდის“ გენერალური დირექტორის მოადგილე თენგიზ ტიტუნაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შვეარდნაძე

**საპარტვილო პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 46

2000 წლის 20 იანვარი

ქ. თბილისი

საპარტვილო უზენაეს სასამართლოს წევრთა ღირსების ორდენით დაჯილდოების უზენაესი

მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობასა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი კანონ-შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

გრიგოლ დევდარიანი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული იურისტი

ვალერიან ედიშერაშვილი - საქართველოს დამსახურებული იურისტი

ლევონიდე საყვარელიძე - მეორე საკვალიფიკაციო კლასის მისამართლე

ალექსანდრე ლულუნიშვილი - საქართველოს დამსახურებული იურისტი

ადელინა ხონიაკინა - საქართველოს დამსახურებული იურისტი.

ქ. შვეარდნაძე

**საპარტვილო პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 47

2000 წლის 20 იანვარი

ქ. თბილისი

ზ. ნაცვალაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების უზენაესი

საქართველოში სოციალურ-კულტურული და აგროსამრეწველო კომპლექსის ობიექტების მშენებლობაში, შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციად დაჯილდოების საშუალებების შესრულებაში შეტანილი პირადი წვლილისა და



**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგველება**

№ 54

2000 წლის 22 იანვარი

ქ. თბილისი

**საქართველოს ღირსების ორდენით დაჯილდოების
შესახებ**

საქართველოს სამუშეოთ ფონდების გამდიდრებაში, ეთნოგრაფიული კოლექციების მოვლა-პატრონობასა და მათი მეცნიერული შესწავლა-პუბლიკაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **მისიელ ჩართოლანი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგველება**

№ 55

2000 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

**საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მუშაკთა ღირსების ორდენით
დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში სპორტის განვითარებასა და ქართული სპორტის პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მუშაკები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

ბორის აბრამიშვილი - ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის მწვრთნელი-მასწავლებელი, სპორტის საბატიო ინსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

ანგვლინა გაბრიძაძე - აქარის ავტონომიური რესპუბლიკის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის მწვრთნელი-კონსულტანტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ზორბეგ ებრაძე - ვეტერანი ფეხბურთელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ფირუზ კანთელაძე - თბილისის „ნორჩი დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი, სპორტის ინსტატი

შოთა კიტია - სპორტის ინსტატი (ქ. ზუგდიდი)

ვახტანგ კობალეიშვილი - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქართველოს 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უპროსი მწვრთნელი

ნოე ლიბუჯანიძე - ექსპერიმენტული ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ვისონგი მამალაძე - თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი-მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი

ბესარიონ მჭედლიშვილი - ვეტერანი ფეხბურთელი, სპორტის ინსტატი

ილარიონ მჭედლიშვილი - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელებისა და ვეტერანების სოციალური საკითხების კომიტეტის უფროსი

ვახტანგ ქორიძე - თბილისის „ნორჩი დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი

გივი ჩხარტიშვილი - თბილისის მერიის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სატანვარჯიშო სპორტული სკოლის დირექტი



ტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი

ვაჟა ხაბეაშვილი - ზუგდიდის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელი ტანვარჯიშში, სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

კარლო ხორაგა - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი

ალექსანდრა (დონარა) ჯანუყაშვილი - თბილისის ცენტრალური გეოლოტრეკის დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგშეკვა**

№ 56 2000 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

ანდოლაიშვილის, ს. ნიკოლოზისა და გ. ცხენოსანიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში კონიაკის წარმოება-დამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფაში, ქართული კონიაკის პოპულარიზაცია და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაში შეტანილი პირადი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და ენისელის“ თანამშრომლები:

მიხეილ ნიკოლაიშვილი - სამარკო და თრდინალური კონიაკების უძნის უფროსი

სევერიან ჩიგოგიძე - გენერალური დირექტორის თანამშემწე

ვიკო ცხენოსანიძე - ადმინისტრაციული სამუშაოებზე განყოფილების უფროსი.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგშეკვა**

№ 57 2000 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის
მონაწილეთა II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით
დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გააძვირდა ვაჟაყაცაძისა და თავუგანწირვისათვის II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდნენ:

სერგო ირემაძე - პოლიციის რეგიონი, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს რეინფინს ობიექტების დაცვის პოლიკის მეთხვე ათასეულის პოლიციელი (სიკვდილის შემდეგ)

ზურაბ კაკულია - ოჩამჩირის რეინფინსის სადგურის უფროსი (სიკვდილის შემდეგ)

ნუგზარ ლიპარტია - ოჩამჩირის რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი (სიკვდილის შემდეგ)

ვლადიმერ შამუროია - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის ოცმეთაური (სიკვდილის შემდეგ)

დომენტი ტყეშუნაგა - პოლიციის ზემდეგი, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს რეინფინსის ობიექტების დაცვის პოლიკის მეთხვე ათასეულის პოლიციელი (სიკვდილის შემდეგ).

ე. შვეარდნაძე



**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 58

2000 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

შ.ცხერცვაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში აგროკომპლექსის განვითარებაში, მაღალმთიან ზონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული აგრონომი შალვა ცერცვაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 59

2000 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

პ.კიკნაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქალთა მოძრაობის განვითარებაში, წითელი ჯვრის ორგანიზაციების მუშაობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის წითელი ჯვრის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე გულიკო კიკნაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 60

2000 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

**პ.აიფინოვის, ი.კარმელიძე-პოპოვის და პ.ნატკანაშვილის ღირსების
ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ნაყოფიერი უსრნალისტური და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

მიხეილ აიფინოვი - გაზეთ „კახაკ გრუნის“ მთავარი რედაქტორი
ილიონა კერესელიძე-პოპოვა - გაზეთ „ომშეკავკასსკაია გაზეტას“ კორესპონდენტი

პეტრე ნეტკანაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 66

2000 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

**პ.მარსელაძის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით
დაჯილდოების შესახებ**

მართლწესრიგის დაცვა-განმტკიცებაში, თბილისის თავდაცვის მოხალისეთა შტაბის მუშაობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მამაცობისა და მოქალაქეობრივი ვალის მოხდისათვის თბილისის საინიციატივო ჯგუფის წევრი, საქართველოს თავდაცვის ფონდის საბაბით თავმჯდომარე ვლადიმერ ქარსელაძე დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შვეარდნაძე



**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 67

2000 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

0.პლმავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ბიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი თავალ-საჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო-ებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წილობო-ვის ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართ-ველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ირაკლი ელიავა** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 68

2000 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა
საქართველოს ორდენებითა და მედალებით დაჯილდოების
შესახებ**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, თავდადების, მხედრული ვალის მოხდისა და მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის საქართველოს ორდენებითა და მედალებით დაჯილდოვდ-ნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები:

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ნუგზარ ალიმბარაშვილი - მაიორი, პირველი საარმით კორპუსის პირველი ბრიგადის მესამე ბატალიონის მეორე ასეულის მეთაური

კობა დიასამიძე - მაიორი, პირველი საარმით კორპუსის პირველი ბრი-გადის მესამე ბატალიონის მეთაური

თამაზ ებრაღიძე - უფროსი ლეიტენანტი, 22-ე მოტიმსროლელი ბრიგა-დის მეექვსე საჟინტო-საარტილერიო დივიზიონის შტაბის უფროსი - დივიზიონის მეთაურის მოადგილე

შოთა წაღდასტანიშვილი - პოლკოვნიკი, გვარდიის მთავარი სამმართ-ველოს უფროსის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობისა და ფსიქო-ლოგიური მომზადების დარგში

გიორგი მესტვირიშვილი - მაიორი, პირველი საარმით კორპუსის მეოთხე ბატალიონის მეთაურის მოადგილე ზურგის დარგში

ნოდარ რუსიჭაშვილი - ლეიტენანტი, სამხედრო პოლიციის ცალკეული საპატრულო ბატალიონის ასეულის მეოთხე ოცეულის მეთაურის მოადგილე

კონსტანტინე სუსიტაშვილი - ლეიტენანტი, სამხედრო პოლიციის ცალკე-ული საპატრულო ბატალიონის ასეულის მეორე ოცეულის პირველი ათეულის სამხედრო პოლიცეული

ბიძინა ჯღარკავა - პოლკოვნიკი, გვარდიის მთავარი სამმართველოს უფ-როსის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

დავით ნადირაშვილი - უმცროსი ლეიტენანტი, ეროვნული გვარდიის №55064 სამხედრო ნაწილის ასეულის მეთაური

რაულ ხაჩიძე - უმცროსი ლეიტენანტი, ეროვნული გვარდიის №55064 სამხედრო ნაწილის ოცეულის მეთაური.

ე. შვეარდნაძე



**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგველობა**

№ 69

2000 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

ლ.თხარაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მსუბუქი მრეწველობის სისტემაში სამკერვალო წარმოების განვითარებასა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სააქციო საზოგადოება „კოლხუთის“ მთავარი ინჟინერი **ლამარა თვარაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგველობა**

№ 70

2000 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

მ.შარაშიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს კომუნალური მეურნეობის დამსახურებული მუშაკი ვახტანგ შარაშიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგველობა**

№ 71

2000 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მონაშასურშია საქართველოს ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული არმიის აღმშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, თავდადებისა და უმწიველო სამსახურისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მონაშასურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებით:

II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

კობა კობალაძე - პოლკოვნიკი, დასავლეთის ოპერატიული შიშართულების უფროსი.

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ვალერი ნაყოფია - ავიაციის გენერალ-მაიორი, სამხედრო საპაირო ძალების სარდალი

ნიკოლოზ ჩადუნელი - პოლკოვნიკი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე.

ქ. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგველობა**

№ 83

2000 წლის 29 იანვარი

ქ. თბილისი

ვ.გოგოლაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში, სამთქალაქო და სოციალურ-კულტურული მსხვილი ობიექტების მშენებლობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საინჟინერო მოღვაწეობისათვის ქ. მთხოვანის სამშენებლო ფირმა



„პროექტმშენმონტაჟი-№1“-ის გენერალური დირექტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ვლადიმერ გოგოლაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 84 2000 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

ბ.მიმარლიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი ვივი იშერლიაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 85 2000 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების სამინისტროს ხმელთაშუაში მოქმედებში კვლავობითა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოზარდთა აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში მომუშავე პედაგოგები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

მისხილ აბუსაძე - ტყებულის რაიონის სოფელ მუხურის საშუალო სკოლის მასწავლებელი

ნუნუ არსენიშვილი - თელავის № 3 ბაგა-ბაღის გამგე

ვარდო თოდრა - ჩოხატაურის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი

დუგლას კალმახელიძე - რუსთავეის პროფესიული ლიცეუმის დირექტორი

ნანა კახნიაშვილი - გორის № 10 საშუალო სკოლის დირექტორი

ფოთოლა ქაჯაია - ფოთის მოსწავლე ახალგაზრდობის უპოქმედებითი ცენტრის დირექტორი

მიმოზა ქობალაია - ზუგდიდის მერაბ კოსტაეას სახელობის გიმნაზიის მასწავლებელი

ოქტიაბრინა ქოიაჯა - ფოთის № 5 ბაგა-ბაღის გამგე

ზამირა ლადუა - ზუგდიდის მერაბ კოსტაეას სახელობის გიმნაზიის დირექტორი

ლენიდე ჩიქვანაია - იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი

ფატი ჯამახიაშვილი - გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 86 2000 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

პ.თოდუაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში საავტომობილო სპორტის განვითარებაში, მის პოპულა-

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 91 2000 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

ა.ჯავახიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების უმსახეობა

საქართველოში საავტომობილო გზების, ხიდების, ესტაკადებისა და სპეციალურ საინჟინრო ნაგებობათა დაპროექტებასა და მშენებლობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს თბილისის საავტომობილო გზების საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „თბილისხავტოგზაპროექტის“ დირექტორის შთადგოლი აკაკი ჯავახიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 92 2000 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

მ.სინარულიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების უმსახეობა

ჩოხატაურის რაიონში სამრეწველო და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დგაწლმთხილი მშენებელი გაბრიელ სინარულიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 100 2000 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი

**საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების
პროფესორ-მასწავლებელთა ღირსების ორდენით დაჯილდოების
უმსახეობა**

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდენ საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლები:

იზოლდა ადვიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში, დოცენტი

ბორის ბარამია - სოხუმის ილია გეგუას სახელობის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი

ალექსანდრე ბრეგაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ცინარი განჩილაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მერი გელოვანი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

გუგული გოდერძიშვილი - საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის პარაზიტოლოგიისა და ვეტსანექსპერტის კათედრის გამგე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 105

2000 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
0. შაღაპას სახელმწიფო პალიატრის საპენციონარო-კვლევითი ინსტიტუტის
თანაშრომელთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციასა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი საქმიანობით და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ი. ფაღალავას სახელობის პედიატრიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები:

- მაყვალა სტურუა** - ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
- ნიკოლოზ უშიკაშვილი** - დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, საქართველოს დამსახურებული ექიმი
- მერი წულუკიძე** - პულმონოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 106

2000 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

**კახეთის მხარის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა საქართველოს
ორდენებითა და მედალითა დაჯილდოების შესახებ**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი ბირადი დიდი წვლილისათვის, ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის კახეთის მხარის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედალებით:

ღირსების ორდენით:

- ელენე ანუაშვილი** - საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი
- ნინო ბეგიაშვილი** - ექიმი-ნევროპათოლოგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი (ქ.თელავი)
- ლილი გურგენიძე** - გურჯაანის რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილე
- შოთა დიღმელაშვილი** - საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული ექიმი
- ვახტანგ კერესელიძე** - სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს ქირურგი თეიმურაზ მჭედლიშვილი - ღვაწლმოსილი ქირურგი-კონსულტანტი (ქ.საგარეჯო)
- ნანა მჭედლიშვილი** - ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის ამბულატორია-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი
- ნინო მჭედლიშვილი** - საგარეჯოს რაიონული პოლიკლინიკის ექიმი-ოფთალმოლოგი
- ვივი ნასრაშვილი** - სიღნაღის პოლიკლინიკის გამგე
- ავთანდილ ყაშიბარაშვილი** - თელავის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
- ალექსანდრე ცაითაშვილი** - ახმეტის რაიონის სოფელ დუხისის საექიმო ამბულატორიის მთავარი ექიმი.



რელო-საგუსაგო სამსახურის ასეულის ათეულის მეთაური, პოლციტის მუშა-
დები მიხეილ შანიძე დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“
(სიკვდილის შემდეგ).

ი. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღალა**

№ 125

2000 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

ჯ.ჯონსის ღირსების ორდენით დაჯილდოვების შესახებ

საქართველოში აგროსამრეწველო კომპლექსის ობიექტების მშენებლობაში, სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის სააქციო საზოგადოება „ივერიაშენის“ მთავარი ინჟინერი **ჯონი ჯონსაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ი. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღალა**

№ 126

2000 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

ბ.ნაღარაიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოვების შესახებ

საქართველოში ჰომეოპათიის განვითარებაში, ბუნებრივი მეთოდის გამოყენებით მოსახლეობის ჯანმრთელობის პროფილაქტიკასა და მკურნალობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს მეცნიერ-პრაქტიკოს ჰომეოპათთა ასოციაციის პრეზიდენტი, სწავლული ექსპერტი **გიორგი (გია) ნაღარაიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ი. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღალა**

№ 127

2000 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს საერთო სასამართლოების ფაქულტეტი მუშაკთა წახალისების შესახებ

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლოს აპარატის კვალიფიციურ მუშაობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის გამოეცხადოთ მადლობა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მუშაკებს:

ციცო აღუაშვილს - თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მდივან-მამანქანეს

ალმას აშაშუკელს - თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს სხდომის მდივანს

მარინა არაქელაშვილს - თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს სხდომის მდივანს

ნადია ბიჩინაშვილს - თიანეთის რაიონის სასამართლოს კანცელარიის გამგეს

დარეჯან გირმისაშვილს - ყვარლის რაიონის სასამართლოს კანცელარიის გამგეს

ნუნუ გოგატაშვილს - გორის რაიონის სასამართლოს მუშაკ-ოპერატორს



საქართველოს პრეზიდენტის ელზარდ შავარდნაძის მიერ, 2000 წლის
17 თებერვალს ღირსებას ორჯონიძის დაჯილდოების ცერემონიაზე
მოწვეულ პირთა სია

გრიგოლ დევდარიანი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
საქართველოს დამსახურებული იურისტი, **ლეონიდე საყვარელიძე**
- მეორე საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლე, **ალექსანდრე**
ღულუნიშვილი - საქართველოს დამსახურებული იურისტი.

საქართველოს პრეზიდენტის ელზარდ შავარდნაძის მიერ
2000 წლის 17 თებერვალს ღირსებას ორჯონიძის დაჯილდოების
ცერემონიაზე წარმომადგენელი სიტყვა

ლადო ქანტურია - საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე:

ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონებო და ბატონებო,
დღევანდელი დღე საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან პრეზიდენ-
ტი აჯილდოებს უფროსი თაობის იურისტებს, იმ ღვაწლმოსილ
ადამიანებს, რომლებმაც ერთ აუწყრელი ამაგი დასდეს უზენაესი
სასამართლოს საქმიანობას. მიუხედავად იმ მძიმე ვითარებისა, რო-
მელშიც მოუწიათ მოღვაწეობა, მათ ღირსეულად ატარეს უზენა-
ესი სასამართლოს მოსამართლეთა მაღალი წოდება. მინდა გულ-
წრფელად მივულოცო მათ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ჯილდო.

მინდა აღვნიშნო, რომ მათ, ვინც დღეს დამსახურებულ პენსიაზე
გადიან, ექნებათ შესაძლებლობა საქმიანობა გააგრძელონ უზენაეს
სასამართლოში. ეს აუცილებელია ახალი მოსამართლეებისათვის,
რათა გაიზარონ მათი გამოცდილება, მათთან ერთად იმუშაონ იმ
საკითხებზე, რომლებიც აუცილებელია მართლმსაჯულების აღსრუ-
ლებისათვის.

ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ იმ
ყურადღებისათვის, რომელსაც უზენაესი სასამართლოსა და სასა-
მართლო სელისუფლების მიმართ აჩენთ ყოველდღიურად. ჩვენს
კოლეგებს მინდა მივულოცო დღევანდელი დღე, უსუსრვო ჯანმრთე-
ლობა და შეძღოში ნაყოფიერი საქმიანობა უზენაეს სასამართლოში.

ელზარდ შავარდნაძე:

უბრველეს ყოვლისა მოგმართავთ თქვენ, ჩემს მეგობრებს,
რომლებთანაც დიდი ხნის ნაცნობობა მაქვს და რამდენიმე ათეუ-
ლი წელია ერთად ვმოღვაწეობთ. მინდა ნაზი გავუსვა თქვენს მა-
ღალ ავტორიტეტს საქართველოში, მთელ ჩვენს საზოგადოებაში.
ბუნებას თავისი კანონები აქვს, წლებს თავისი გააქვს და მიმაჩნია,
რომ პროფესიული საქმიანობის ერთი ეტაპის ისე დასრულება,
როგორც თქვენ შესძელით, კარგი ავტორიტეტითა და მაღალი სა-



ხელმწიფოებრივი შეფასებით, ვფიქრობ კარგი მაგალითია იმ თაობაზე, რომელიც უზენაესი სასამართლოს შევსებად ითვლება.

მინდა მადლობა მოგახსენოთ ბატონო გრიგოლ, ბატონო ლეონიდე, ბატონო ალექსანდრე, სამწუხაროდ დღეს ვერ გვესწრებიან ბატონი ვალერიან ედიშერაშვილი და ქალბატონი ადელინა ხონაიანი.

გილოცავთ ამ მაღალ ვიღდოს და კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ თქვენი მაღალპროფესიული საქმიანობისათვის.

თქვენთან ერთად მინდა გავისხენო ბატონი მინდია უგრესელიძე, რომელმაც თქვენი მხარდაჭერითა და თანადგომით უზენაეს სასამართლოს შეუნარჩუნა ავტორიტეტი იმ ურთულეს წლებში, როდესაც უზენაესი სასამართლო ერთადერთი ლეგიტიმური სტრუქტურა იყო საქართველოში და იდგა კანონიერების სადარაჯოზე, მოხერხდა არჩევნების ჩატარება და ხელისუფლების ყველა სტრუქტურა შეუდგა თავის საქმიანობას. ბატონ მინდიას ჩვენმა ხალხმა დიდი ნდობა გამოუცხადა და იგი ახლა ევროპის სასამართლოში ღირსეულ ადგილს იკავებს. ასევე მინდა მივესალმო ყველა თქვენს თანამებრძოლს, რომლებიც სამწუხაროდ დღეს არ გვესწრებიან, მაგრამ შემდგომში ალბათ გვექნება საშუალება შევხვდეთ და მადლიერება გამოვხატოთ მათდამი.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის შესახებ და დიდი მადლობა მოგახსენოთ ამისათვის, რომ მხარი დაუჭირეთ ძალიან რთულ საქმეს, რომლის ფარგულში საქართველო თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დონეზე ვერ დადგებოდა, მხედველობაში მაქვს ევროპული და მსოფლიო სტანდარტები სამართალწარმოებაში, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში და რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო დიდი იმედები, რომ ახალი თაობა, რომელიც ახლა შემოდის უზენაეს სასამართლოში, მოსამართლეობა კორუფციის რიგებში, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება. სიამართლე რომ ვითხრათ, იმედი მოსახლეობაში და ხელისუფლებაში დიდა და ახლადარჩეული მოსამართლეების მიერ აჩქარებული ან არასწორად გადადგმული ნაბიჯი ასჯერ უფრო მტკივნეულად იქნება აღქმული საზოგადოებრიობის მიერ, ვიდრე ერთი-ორი წლის წინ იქნებოდა. ბევრი რამ ჩემამდეც მოდის ხოლმე, მეუბნებიან, აი თქვენ რომ დიდ იმედებს ამყარებთ, ხანდახან შეცდომებს უშვებენ, თუმცა უნდა ვითხრათ, რომ ძირითადი კორუფცია კარგად მუშაობს და დიდი იმედით ვუყურებთ ამას. ამასწინათ პარლამენტისა და ქვეყნის წინაშე ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ფერცვლებული სენი, რომელიც ხელს გვიშლის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, არის კორუფცია, მაგრამ ისიც ვთქვი, რომ კორუფციის წინააღმდეგ მასიურ, გლობალურ შეტევას ვერ დავიწყებდით, მანამ, სანამ არ გვექნებოდა იმის იმედი, რომ ის ხალხი, რომელმაც ლოგიკური დასკვნა უნდა გააკეთოს ამა თუ იმ პირობ-



ქართული ენის
სახელმწიფო
სამეცნიერო
სამუშაოები

ნების არასწორ მოქმედებაზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც სახელმწიფოს ძირს უთხრიან, სათანადო სიმაღლეზე არ იქნება და არ გვექნება რწმენა იმისა, რომ დამნაშავე დაისჯება და მართალი კაცი არ დაზარალდება. ამიტომ სასამართლო რეფორმამ ამ მხრივ ბევრი რამ შემატა ქვეყანას, თუმცა ეს პროცესი ჯერ დასრულებული არ არის და ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ის ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. რეფორმა არ არის მხოლოდ გამოცდის ჩაბარება ან დანიშვნა, რეფორმა არის ფაქტიური მუშაობა, სიმაართლისათვის ბრძოლა, ისე, რომ დაცული იყოს ყოველი მოქალაქისა და სახელმწიფოს უფლებები, ინტერესები. ამის საშუალებას ჩვენ გვაძლევს სამოქალაქო კოდექსი და ის კანონები, რომლებიც ამ წლების მანძილზე შეიქმნა. ყველა საფუძველი გაგვიჩნია, რომ იმედი ვიქონიოთ სასამართლო რეფორმის შედეგიანობაში.

უნდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი ყველაზე გამართლებული და დასაბუთებული დანიშვნა, რომელიც განხორციელდა ამ ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში, არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ბატონი ლადო ჭანტურიას არჩევა. ის რეკომენდაციად, რომელიც მე მას მივეცი, რომელიც ვანიარა პარლამენტმა და რომელსაც საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით შესვდნენ უზენაეს სასამართლოში, მოსამართლეთა კორპუსში და მთელ ჩვენს საზოგადოებრიობაში, არის შენაძენი ამ დარგის, ამ დიდი ფრონტისა და მთლიანად ჩვენი სახელმწიფოსათვის. სიმაართლე ვითხრათ, როგორც ადამიანი, როგორც მოქალაქე და როგორც პრეზიდენტი მის საქმეებში ვერ ვერევი, ისევე ის ვერ ერევა ჩემს საქმეებში, მაგრამ თუ მე არაკანონიერ ვადაწყვეტილებას მივიღებ, მას შეუძლია ჩაერიოს. მიუხედავად იმისა, რომ მართლა დამოუკიდებლობები ვართ, ჩვენ ძალიან დიდ ანგარიშს ვუწევთ ერთმანეთის მოსახრებებს, როცა ლაპარაკია სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, მოქალაქეობრივ ინტერესებზე და უფლებებზე, პრინციპულ საკითხებზე და მინდა დღეს გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა ბატონი ლადოს მიმართ და ასევე მისი კოლეგების მიმართ, რომლებიც ახლა შეუდგნენ ამ საქმიანობას. მჯერა, რომ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს განსაკუთრებული ფუნქცია, ერთგვარი ზედამხედველობის ფუნქცია სასამართლო ორგანოების, სასამართლო სტრუქტურების მიმართ. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ბევრი ახალი კადრია, ბევრი შედარებით გამოუცდელია, შეიძლება სხვა ფაქტორებიც მოქმედებდეს და ამიტომ უზენაესი სასამართლოს პროფესიონალიზმი და ის უფლებები, რომლებიც მას კანონით აქვს მინიჭებული, ერთგვარი საზედამხედველო ფუნქციები, თავისი სტრუქტურით, მოწოდების სიმაღლეზე უნდა აღმოჩნდეს. მინდა გამოეთქვა რწმენა, რომ ეს აუცილებლად ასე მოხდება.

მადლიერების სიტყვებით მინდა მივმართო ჩვენს უცხოელ მეგობრებს, რომლებიც დღეს გვესწრებიან, მსოფლიო ბანკის ეგრობისა და ცენტრალური აზიის სამართლებრივი დეპარტამენტის მრჩე-

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 143 2000 წლის 17 თებერვალი ქ. თბილისი

ზ.იავახიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაციაში, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ურთიერთობის გაღრმავებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისათვის აზერბაიჯანელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ზელიმხან იავახიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 161 2000 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

რ.გაბუღიაშვილის, შ.გაბუღიაშვილის და შ.ფორნისის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თანამედროვე ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი ლიტერატურულ-შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

რაფიელ მამულაშვილი - მწერალი, დრამატურგი
შუშანა მგელაძე - მწერალი
შალვა ფორნისიძე - მწერალი.

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 162 2000 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

ზ.პირკაიას და ჯ.კუგუაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების მსხვილი თბიქტების დაპროექტებასა და მშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

ზაფხრიადა ბირკაია - სააქციო საზოგადოება საპროექტო ინსტიტუტ „საქპროექტის“ მთავარი სპეციალისტი
ჯაბა კუგუაშვილი - სააქციო საზოგადოება ჰოლდინგური კომპანია „მონტაჟსპეცშენის“ ვიცე-პრეზიდენტი.

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 163 2000 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

ზ.გაბუნიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის პურპროექტებით მომარაგებასა და სისტემაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოს“ გენერალური დირექტორი ვაჟა გუგუნიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე



**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღალა**

№ 167

2000 წლის 29 თებერვალი

ქ. თბილისი

**ვ.კვალაიძის (ჩორდელის) ღირსების ორდენით
დაჯილდოების შესახებ**

ქართული ლიტერატურის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი ლიტერატურულ-შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწვერალი ვაჟა მელაძე (ჩორდელი) დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღალა**

№ 168

2000 წლის 29 თებერვალი

ქ. თბილისი

**ნ.დუშუბაძისა და ტ.შახარაძის ღირსების ორდენით
დაჯილდოების შესახებ**

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საერთაშორისო საესტრადო ფესტივალების ლაურეატები, საქართველოს დამსახურებული არტისტები ნაზი დუშუბაძე და ტატიაანა შახარაძე დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღალა**

№ 169

2000 წლის 29 თებერვალი

ქ. თბილისი

**ქალთა ვოკალური ტრიო «პალიტრას» წევრთა ღირსების
ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ქალთა ვოკალური ტრიო „პალიტრა“ წევრები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

- მზია მუქატარიძე** - თბილისის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სა-
მუსიკო სკოლასთან არსებული სამუსიკო კოლეჯის ვოკალის პედაგოგი
- მარინე ფალაგანდიშვილი** - თბილისის მე-7 სამუსიკო სკოლის ფორტე-
პიანოს კლასის პედაგოგი
- ლეილა წვერიკიაშვილი** - თბილისის 23-ე სამუსიკო სკოლის ფორტე-
პიანოს კლასის პედაგოგი.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღალა**

№ 170

2000 წლის 29 თებერვალი

ქ. თბილისი

**ონის რაიონის კულტურის სფეროს მუშაკთა საქართველოს
ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

ქართული კულტურის განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებ-



ღირსების ორდენით:

- თამაზ გადილია** - სასწავლებლის დირექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
- რეგინა ვუთიშვილი** - საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი
- ჯემალ თიკაშვილი** - თეორიული საგნების პედაგოგი.

ღირსების მედლით:

- თამაზ აღსაბაძე** - სასწავლებელთან არსებული სამუსიკო სკოლის ხასწავლო ნაწილის გამგე
- ცისანა ბოტკოველი** - თეორიული განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი
- ლიანა გუნია** - საფორტეპიანო განყოფილების გამგე
- ნათელა თავჩელიძე** - საფორტეპიანო განყოფილების საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე
- როზა კაზანსკაია** - ზოგადსაგანმანათლებლო განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი
- ნინო მწითლაფიშვილი** - საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი
- თენგიზ ნოზაძე** - სასწავლებლის დირექტორის მოადგილე პედაგოგიური პრაქტიკის დარგში
- ზეინაბ ჟურული** - საკონცერტმეისტერო კლასის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე
- ირინე ხაჩატუროვა** - სოლო სიმღერის განყოფილების გამგე
- გურამ ხუჭუა** - მუსიკის ლიტერატურის პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

გამოცხადით მადლობა:

- დინარა არაყიშვილს** - თეორიული განყოფილების საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეს
- ჰენრიხ ბაბლუმიანს** - სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელს
- ნანული ბაშალაფიშვილს** - პედაგოგიური პრაქტიკის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეს
- ლაშარა ბუგიაშვილს** - თეორიული საგნების პედაგოგს
- ლია გაბუნიას** - თეორიული საგნების პედაგოგს
- აფთანდილ ვანუგრაგას** - საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების პედაგოგს
- ციალა გელაფიშვილს** - სოლო სიმღერის პედაგოგს
- ირინე ებრალიძეს** - თეორიული საგნების პედაგოგს
- ნათელა თოფაძეს** - ფორტეპიანოს კლასის პედაგოგს
- ოთარ კაიშაურს** - ფორტეპიანოს კლასის პედაგოგს, პროფესორს
- ლევონიდ კალამკაროვს** - ჩასაბერი საკრავების საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს
- ნონა მანგილაძეს** - საერთო ფორტეპიანოს საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეს
- ლატაგრა პატარიძეს** - თეორიული საგნების პედაგოგს, დოცენტს
- თამარ ჟინნოვას** - კონცერტმეისტერს
- ნინო ფარცხალაძეს** - სასწავლებელთან არსებული სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების გამგეს
- ვლადიმერ ქობულაშვილს** - ჩასაბერი საკრავების პედაგოგს
- ციალა შაქიშვილს** - მთავარ ბუღალტერს
- დალა შენგელიას** - თეორიული საგნების პედაგოგს
- ჯულაეტა ჭარბაძეს** - დაუსწრებელი განყოფილების გამგეს
- თენგიზ ჯაიანს** - საესტრადო განყოფილების გამგეს.

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის
კანცლარობა

№ 180

2000 წლის 29 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს კავშირგაბმულობის დარგის ინჟინერ-ტექნიკოსთა
საქართველოს ორდენით და მედლებით დაჯილდოებისა და
წახალისების შესახებ

საქართველოს ტელევიზიის თანამგზავრულ მაუწყებლობაზე გადასვლაში, მალაქითიან ზონაში მიმდებარებაში-გადაცემა ანძებისა და სადგურების დამონტაჟებასა და მათ ექსპლუატაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს კავშირგაბმულობის დარგის ინჟინერ-ტექნიკოსები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებით და მედლებით და გამოეცხადათ მაღლობა:

ღირსების ორდენით:

გიორგი კაკუბერი - საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველი მოადგილე

მერაბ ქურციკიძე - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეკომის“ დედამიწის თანამგზავრული სადგურის უფროსი

ავთანდილ ჩხაიძე - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის თავმჯდომარის მოადგილე ტექნიკის დარგში.

ღირსების მედლით:

ნიკოლოზ ბახტაძე - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკური დეპარტამენტის მოძრა-ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსის უფროსი

გივი ბენდუქიძე - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკური დეპარტამენტის დირექტორი

გიორგი ვაბუჯიანი - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკური დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილების უფროსი

დავით გოცანიძე - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკური დეპარტამენტის სატელევიზიო ტექნიკის განყოფილების უფროსი

ვლადიმერ მატოსოვი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეკომის“ დედამიწის თანამგზავრული სადგურის მოყვანი ინჟინერი

ზურაბ შოსიაშვილი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეცენტრის“ საექსპლუატაციო სააპქროს უფროსი

ჯემალ ტომარაძე - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეცენტრის“ ონის ტელესადგურის ინჟინერ-ხელმძღვანელი

ირაკლი უჩანეიშვილი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეცენტრის“ საექსპლუატაციო სააპქროს ინჟინერი

გენადი ქავჭავაძე - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეცენტრის“ ლაბორატორიის უფროსი

არსენ ქვლეიშვილი - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკური დეპარტამენტის სატელევიზიო ტექნიკის განყოფილების უფროსი

ვაჟა შონია - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკური დეპარტამენტის ტელევიზიის კომპლექსის უფროსი

ვენო ხვისტანი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელეცენტრის“ ანძის საექსპლუატაციო სააპქროს უფროსი



ნიკოლოზ ჯანდიერი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 „საქართველოს ტელეკომის“ დედამიწის თანამგზავრული სადგურის
 ცვლის ინჟინერი.

გამოცხადოთ მადლობა:

გენადი ბუნიკურს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 „საქართველოს ტელეცენტრის“ ლაბორატორიის ინჟინერს

მალხაზ გეგეშიძეს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სა-
 ქართველოს ტელეცენტრის“ თბილისის რადიო-სატელევიზიო გადა-
 ცეში სადგურის უფროსს

ნესტორ თამარაშვილს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 „საქართველოს ტელეცენტრის“ ავტოპარკის ინჟინერ-ხელმძღვანელს

ბესარიონ კასრაძეს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 „საქართველოს ტელეცენტრის“ ლაბორატორიის ინჟინერს

ბესარიონ მალრაძეს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 „საქართველოს ტელეცენტრის“ ლაბორატორიის ინჟინერს

ირაკლი წაჭაძეს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 „საქართველოს ტელეცენტრის“ საექსპლუატაციო საამქროს ინჟინერს.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
 განკარგულება**

№ 186

2000 წლის 3 მარტი

ქ. თბილისი

**ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო
 აკადემიური თეატრის მსახიობთა საქართველოს ორდენითა
 და მედლით დაჯილდოებისა და წახალისების
 შესახებ**

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარი-
 შაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი პროფესიონა-
 ლიზმისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეო-
 ბისათვის ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური
 თეატრის მსახიობები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენითა და
 მედლებით და გამოცხადოთ მადლობა:

ღირსების ორდენით:

ლამარა ვაშაკიძე - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი
 ალექსანდრე კაკაურიძე - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული
 არტისტი

ვაჟა თყრეშიძე - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

ნანი ჟორჟოლიანი - მსახიობი

მაია სამანაშვილი - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

დოდო ტაბატაძე - მსახიობი

გივო ღელეყვა - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

ევა ხუტუნაშვილი - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

ღირსების მედლით:

ვივი ბერძენი - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

ნინო ეჯიბა - მსახიობი

ნელი თოდაძე - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

ნესტან კვიციანი - მსახიობი

გუდარ კოკელაძე - მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი

ანა კობრეიძე - მსახიობი

დავით როინიშვილი - მსახიობი

აგთანდილ სახაშვირიძე - მსახიობი

ზვიად სვანაძე - მსახიობი.

გამოცხადით მადლობა:

- დალი ბახილაძეს - მსახიობს
- ივანე კოსტანაშვილს - სადადგმო ნაწილის გამგეს
- ზეინაბ მოწონელიძეს - რეჟისორის თანამშემსახურს
- გონა ნემსიწვერიძეს - მსახიობს
- გონა ნიკოლაძეს - მსახიობს
- ჯემალ ჩხეიძეს - მსახიობს
- თენგიზ ჯავახიძეს - მსახიობს.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგშეშვება**

№ 187

2000 წლის 3 მარტი

ქ. თბილისი

**ქუთაისის ლალო მუსხიშვილის სახელობის სახელმწიფო
აპარტამენტი თეატრის თანამშრომელთა საქართველოს
ორღონობისა და გულგრილობის დაჯილდოების
შესახებ.**

თეატრში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობისათვის, საქ-
ტაკლების ორგანიზაციის ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეტანილი პირადი
წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საფინანსო-
სამეურნეო საქმიანობისათვის ქუთაისის ლალო მუსხიშვილის სახელობის სა-
ხელმწიფო აკადემიური თეატრის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქარ-
ველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

აგალო ქაჯაია - თეატრის დირექტორი ადმინისტრაციულ-სამეურნეო
დარგში

ალექსანდრე ხოჯაია - თეატრის კონსულტანტი საფინანსო საქმიანობაში.

ღირსების მედლით:

სონია კვიციანი - თეატრის კადრების განყოფილების გამგე

ნოდარ ფირცხალავა - თეატრის დირექტორი საქტაკლების ორგანიზაციის
უზრუნველყოფის საკითხებში.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგშეშვება**

№ 188

2000 წლის 3 მარტი

ქ. თბილისი

**ო. ყიფნაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების
შესახებ.**

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის სოცია-
ლური და სამართლებრივი პრობლემების მოგვარებაში, სახელმწიფო მიგრა-
ციული პოლიტიკის კონცეფციის მომზადებაში, სამინისტროს სტრუქტურულ
სრულყოფაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფე-
სიონალიზმისა და საქართველოს ორგანიზაციებთან ნაყოფიერი თანამშრომ-
ლობისათვის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირ-
ველი შობადგლე თათარ ყიფნაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

ელენე ანუაშვილი - საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი, **ეთერ არჯევანიძე** - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, **ეთერ აფხაძე** - ბორჯომის №3 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, **ცოფია ბაჯელიძე** - საქართველოს საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმის“ ჟურნალისტი, ანა **ბაჯიაშვილი** - საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო „კელაპტრის“ წევრი, **ლაურა ზერეჟიანი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის პროფესორი, **მარინა ვითრვაძე** - საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო „კელაპტრის“ წევრი, **ლილი გურგენიძე** - გურჯაანის რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილე, **ნაზი დუშბაძე** - საერთაშორისო საესტრადო ფესტივალებს ღაურეატი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, **კლარა ელინბეგაშვილი** - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, **მარიაშ თაბთრაძე** - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდებათა კათედრის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, **ლაშარა თვარაძე** - სააქციო საწოფდობა „კოლხეთის“ მთავარი ინჟინერი, **ნათელა იაძე** - ასალცხის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე, **ნანა კანიაშვილი** - გორის №10 საშუალო სკოლის დირექტორი, **გულიკო კიკნაძე** - წითელი ჯვრის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, **თამარ ლაშარაშვილი** - ასალქალაქის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, **სვეტლანა ლაშბრიანოვა** - ბეჟუაშვილი - თეთრიწყაროს რაიონის დაბა მანგლისის საშუალო სკოლის დირექტორი, **ნელი ლაფერაძე** - ტყიბულის საშუალო სკოლის დირექტორი, **რუსუდან ლორთქიფანიძე** - ვახუთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, **შუშანა მგვლაძე** - მწერალი, **მზია მუქატარიძე** - თბილისის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე საშუალო სკოლასთან არსებული საშუალო კოლეჯის ვოკალის პედაგოგი, **ელენე შატაშური** - დუშეთის №1 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, **მაცყალა სტურუა** - საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ი. ფაღაგას სახელობის პედატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ-



ტის ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლეილა ტყეშელაძე - ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მარინე ფალაგანდიშვილი - თბილისის მე-7 საშუალო სკოლის ფორტუბიანოს კლასის პედაგოგი, ფოთოლა ქაჯაია - ფოთის მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის დირექტორი, მანანა ღვაბერძე - საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიღისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის სეროლოგიის ლაბორატორიის გამგე, ლალი შარვაძე - საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიღისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დისპანსერული მეთვალყურეობისა და მკურნალობის განყოფილების ექიმი ინფექციონისტი, მანანა შეყლაშვილი - ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკურ-დისპანსერული სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეთერ ქაჯაია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრო-სამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ლეილა წვერიკმაზაშვილი - თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ფორტუბიანოს კლასის პედაგოგი, მერა წულუკიძე - საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ი. ფალაგას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბულმონოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლია ხუნწარია - საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო "კე-ლაპტრის" წევრი, იზა ჯიქია - თბილისის № 122 საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

საქართველოს პრეზიდენტის ვლადიმერ ჯიჟიაშვილის მიერ
 2000 წლის 3 მარტს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების
 გალატეიის ცერემონიაზე წარმოთქმული ხიტყვები

ეთერ აფხაიძე - ბორჯომის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი:

ბატონო პრეზიდენტო, გელათში გამოსვლისას თქვენ ბრძანეთ, რომ დავით აღმაშენებლის გზით უნდა ვიაროთო. მე მინდა დავით აღმაშენებელი გიწოდოთ და გაგახსენოთ, რომ დავით აღმაშენებელი მარტო არ იყო, მას გვერდით ჰყავდა გიორგი ჭყონდიდელი, მაგრამ თქვენ გიორგი ჭყონდიდელი ვერ მოგაძებნეთ.



ჩემი წამოსვლის წინა დღეს ბორჯომში ინგლისურ ენის მასწავლებლებმა ჩაატარეს საღამო, რომლის განმავლობაშიც ბავშვები მხოლოდ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდნენ და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ საქართველო ბედნიერია, რადგან ასეთი მომავალი თაობა ჰყავს.

ბატონო პრეზიდენტო, იცოდეთ, რომ მთელი ბორჯომი თქვენს გვერდით არის და რადგან გადაწყვიტეთ მონაწილეობა მიიღოთ საპრეზიდენტო არჩევნებში, ჩვენ მადლობის შეტი რა გვეუქმის.

დიდი მადლობა დღევანდელი დღისათვის და მინდა გითხრაოთ, რომ მარტო ამ დღისთვის ღირდა ცხოვრება.

ციური ბაჯელიძე - საქართველოს საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმის“ ურნალისტი:

ბატონო პრეზიდენტო,

მადლობას გინდით დღევანდელი დღისათვის და კიდევ ერთხელ დაერწმუნდი, რომ სულ მცირე წვლილი, სულ პატარა მონდომებაც კი თქვენგან შეუმჩნეველი და დაუფასებელი არ რჩება.

პირველ რიგში, მე დედა ვარ და ბუნებრივია, რომ ჩემი უპირველესი საზრუნავი ჩემი შვილის, ჩვენი შვილების მომავალია. ყველაზე დიდი ოცნებაა, ისეთი საქართველო, ისეთი ძლიერი ქვეყანა დაუტოვოთ მათ, სადაც თავისუფლად, უსაფრთხოდ და ნორმალურად შექძებათ ცხოვრება. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ხდებოდა სულ ცოტა ხნის წინ, გაუთავებელი პურის რიგები და დაცარიელებული ქუჩები, სადაც შებინდებისას ბრმა ტყვიის შიშით ქუჩაში ვეღარ გამოვდიოდით. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მოკლე ხანში შეუძლებელი შესძელით და საქართველოს თავისი ფუნქცია და დანიშნულება შესძინეთ მსოფლიოში. მე ბედმა გამიღიმა, 1992 წლიდან ხშირად მიხდებოდა თქვენს გვერდით ყოფნა და მოწმე ვარ იმისა, თუ ყველაზე რთულ და თითქმის გამოუვალ მდგომარეობაშიც სიბრძნის, ოპტიმიზმის, სიმამაცისა და გამბედაობის როგორ მაგალითს გვაძლევდით. სწორედ ამიტომ მჯერა, რომ მომავალ ხუთ წელიწადში თქვენ შეძლებთ ისეთი საქართველოს აშენებას, რომელზეც ჩვენი წინაპრები ოცდებობდნენ, რომელზეც ვოცნებობთ ჩვენ, თანამედროვეები და პირობას ვაძლევთ, რომ ამ საქმეში არც ჩვენ დაგზოვავთ ძალასა და მონდომებას.

დიდი მადლობა, ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს - დედის დღეს, ვისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებაში და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

რუსუდან ლორთქიფანიძე - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე:

ბატონო პრეზიდენტო, ჩემი კოლეგის, ციური ბაჯელიძის სიტყვას გაავარძელებ და ვიტყვი, რომ მე ბედნიერი ვარ, რადგან საქართ-



ველოში თქვენი დაბრუნების პირველივე დღიდან მიწვევს თქვენთან თანამშრომლობა, როგორც უურნალისტს. 1994 წელს თქვენგან ინტერვიუს აღების დროს ბრძანეთ, რომ ყველაფერს უზენაესი ღმერთი განაგებს და ყველაფერი კანონზომიერებას ექვემდებარებაო. მართლაც ასეა, პირველ ჯილდოდ მე მიმანია ღმერთისგან ბოძებული სიცოცხლე, როდესაც გაგჩნდი ამ ქვეყანაზე, ეს არის ყველასთვის უბედნიერესი დღე, 1 იანვარი, შემდეგ ისევ უფლისგან ბოძებულ ჯილდოდ მიმანია დედობის უნარი და მესამე ჯილდო ჩემს ცხოვრებაში არის ღირსების ორდენი, რომელიც თქვენ სწორედ 1 იანვარს მომანიჭეთ და გადმომეცით 3 მარტს, დედის დღეს. ამ კანონზომიერების ქვეშარიტებაში მე უკვე დაგწავსუნდი და ძალიან დიდი მადლობა ჩვენი განვლილი გზის შეფასებისათვის, იმ გზისა, რომელიც თქვენ უყურადღებოდ არ გრჩებათ და ასე მაღალ დონეზე გვაფასებთ.

როგორც უურნალისტი და როგორც დედა, მე კარგად ვხედავ თუ როგორ საქართველოს აშენებთ და როგორი მომავალი გსურთ ჩვენი შვილებისათვის, ამიტომ ჩვენც ქალური, სუსტი მხრებით გვიძღვით ქვეყანას მისი სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. მე და გაზეთის მთელი კოლექტივი მხარს ვუჭერთ თქვენს პრეზიდენტად არჩევას, იმ კურსს, რომლითაც თქვენ მიგყავთ ჩვენი ქვეყანა, რადგან ამ კურსის გადმოსახედიდან ვხედავთ, როგორი საქართველო ექნებათ ჩვენს შვილებს.

გმადლობთ.

ნაზი დუმბაძე - საქრთაშორისო საესტრადო ფესტივალების ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული არტისტი:

ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა ჩემი პატარა ღვაწლის დაფასებისათვის, იმისათვის, რომ ის ღირსების სახელით შეფასდა. დიდი მადლობა თქვენ, ჩვენი კულტურისა და ხელოვნების მუდმივ ამბავდარს და ვუერთდები იმ მილიონობით ადამიანს, რომლებიც სიყვარულს და ერთგულებას გიცხადებენ.

დედის დღეს მინდა ვახსენო დედაჩემი, რომელმაც ღირსების გზაზე დაშაყენა. ეს ის ღირსებაა, რომელიც მთელი ცხოვრება ატარა ნოდარ დუმბაძემ, ჩემი პატარა ოჯახის წევრმა და იგი ბავშვობიდანვე მეუბნებოდა, რომ ღირსება დედისგან მოდის და თაობებს გადაეცემაო.

დიდი მადლობა ჩემი სიხარულის განიარებისათვის.

კლარა ელიზბეგაშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი:

ღრმად პატივცემული ბატონო პრეზიდენტო,



დღევანდელი დღე ჩემთვის იქნება ყველაზე ბედნიერი დღე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვითხრათ, რომ უღრმეს მადლობას ვიძღვრებ, თხემით ტერფამდე თაყვანს ვცემთ უაღრესად მნიშვნელოვანი, ჩვენი ერის სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრისათვის, რომლისთვისაც თქვენ უკომპრომისოდ იბრძოლეთ ურთულეს პერიოდში. ეს განვადობს ჩვენთვის ყველაზე უწმინდესი, ქართული ენის გადარჩენისათვის თქვენი უზარმაზარი ამაგი და ბრძოლა. მეორე, რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის გადარჩენისათვის გწირავთ მადლობას. მე კარვად მახსოვს ის დღეები. მაშინ ბატონი ნიკო ჭავჭავაძის ასპირანტი ვახლდით და მახსოვს, როგორ აღუდექით იმპერიულ ძალებს და არ დახარეთ დროშა, რომელიც მსოფლიოს კულტურულ ორბიტაში თავის დროზე უზარმაზარი შრომითა და რუდუნებით აღმართეს პეტრე იბერმა, იოანე პეტრიწმა, არსენ ივალთოელმა, ეფრემ მცირემ, შოთა რუსთაველმა, სოლომონ დოდაშვილმა, ილიამ, აკაკიმ და შემდეგ ჩვენმა უძლიერესმა, XX საუკუნის ფილოსოფოსებმა, ეს ლამაზი დროშა, რომელიც ფლაგმანობდა მთელი მსოფლიოს კაცობრიობის აზროვნებას საუკუნეების მანძილზე, ასე ღირსეულად დაიცავით და ეს ლამაზი ინსტიტუტი აჩუქეთ ქართულ მეცნიერებას.

უდიდეს მადლობას ვიხდით შიდა ქართლში უნივერსიტეტის დაარსებისათვის, რადგან ახლა არაფერი ისე არ ესაჭიროება სამაჩაბლოს ცენტლოვან მიწას, როგორც გამაგრება ძლიერი გონით.

დიდი მადლობა.

შუშანა მგელაძე - მწერალი:

ბატონო პრესიდენტო, ლექსით მინდა მოგმართოთ:

„გამარჯვების დიდ გზაზე მიჰქრის შენი მერანი,
გაგიმრავლდა მოკეთე და ხმას გაძლევს ყველანი,
გურიაში არ წყდება მსჯელობა და კამათი
აქეთ დედის იმითი, იქით მამის მამათი.

სუფსა ტალღებს მიარღვევს, შენს გმირობას უძღვრის,
მამულის და ხალხისთვის გადგას მძიმე უღელი,
შრომითა და შენებით მომავალი ხარობდეს,
გამარჯვება უმსგევრბლოდ არ ყოფილა აროდეს,

საქართველოს ხომალდის შენ ხარ გმირი მესაჭე,
ღმერთი არ მიგატოვებს მამაცსა და ენამჭერს
გამარჯვების დიდ გზაზე დაჰქრის შენი მერანი,
გაგიმრავლდა მოკეთე და ხმას გაძლევს ყველანი.“

დიდი მადლობა დაფასებისათვის.

ნათელა იაძე - ახალციხის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე:

ბატონო პრეზიდენტო, ამას წინათ თქვენს ერთ-ერთ გამოსვლაში ასეთმა ფრაზამ გაიჟღერა, ერის სახე მაშინ წაიშლება, როცა კულტურა აღარ იქნებაო. გჯეროდეთ, რომ ეს არასოდეს მოხდება.

დედ მადლობას მოგახსენებთ ახალციხის რაიონისა და მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მშრომელთა სახელით ღირსების ორდენით დაჯილდოებისათვის.

გმადლობთ.

ნანა კახნიაშვილი - გორის № 10 საშუალო სკოლის დირექტორი:

ბატონო პრეზიდენტო, ქებად მიიღეთ ჩემი ნათქვამი, ძღვნად მიიღეთ ჩემი ნათქვამი. მე ამ გორის მადლიანი მიწის შვილი ვარ, სადაც დიდი სტალინი იშვა, სადაც მდინარე მტკვარი მოღუდუნებს და დღევანდელ დილას ბებერმა გორის ციხის ქონგურებმა გამო-მაცილა და თქვენთან დანაბარები გამომატანა. ქალაქი გორი არის უტყუარი, ძმათა გამტანი ქალაქი, გვერდში გიდგათ ბატონო პრეზიდენტო და მუდამ ასე ვაქნებით.

სიცოცხლეს გისურვებთ ხანგრძლივს და სიბერეს ნაგვიანებს.

სანთელ-საკეველმა თავის გზა არ დაკარგა, დღეს დარბაზში მყოფთა სახელით ვამბობ, რომ დღევანდელი უზენაესი სინარული ერთ იმს კონად შემიკრავს და დღეს ჩემი დედა-სამშობლოს, საქართველოს ყველა ქალისათვის მიწილადებია.

დღევანდელი და მზევრძელი ჩემს საქართველოს უკუნის უკუნისამდე.

ფოთოლა ქაჯაია - ფოთის მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის დირექტორი:

მოგილოცავთ დღევანდელ დღეს - დედის დღეს, უდიდეს ქალურ ბედნიერებას გისურვებთ, მაშაკაცებს კი ვუსურვებ ჩვენი ბედნიერებით ტკობას.

დიდი მადლობა მინდა მოგახსენო განათლების მინისტრს, ბატონ ალექსანდრე კარტოზიას, რომელმაც განათლების სისტემაში ჩვენი პატარა წვლილი დაინახა და თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, დასტური მიეცით. ეს უდიდესი ნდობაა.

ბატონო პრეზიდენტო,

მინდა გისურვოთ მოთმინება, გამძლეობა, რომელიც არასოდეს გაკლდათ, არც დღეს გაკლიათ და ღმერთმა არ მოგაკლოთ. ერთი სურვილი მაქვს კიდევ, რომ თქვენი ბირველი ბრძანება ამ არჩევნების შემდეგ აღბათ იქნება კიდევ ერთი ღირსეული ქალბატონის დაჯილდოების შესახებ.

დიდი მადლობა.



თამარ ლაზარაშვილი - ახალქალაქის რაიონის ქალთა საბჭოს წევრი
 თავმჯდომარე:

დღეს ჩვენ შევიგრობეთ ძალიან ღირსშესანიშნავ ვითარებაში, რომლითაც გამოხატულია საქართველოს ქალებისადმი პატივისცემა. ეს დაიმხანურეთ თქვენი მოღვაწეობით, თქვენი დედობით და უღრმესი მადლობა ჩვენს მთავრობას ასეთი ღირსეული დაფასებისათვის.

მე ჯავახეთში დავბადე და შეამაყება, რომ იქაური ვარ. ადრე შემოსევებისაგან დარბეული ჯავახეთის მოხალეობა გამოიქცა თავიანთი მიწა-წყლიდან და სსკაგან დასახლდა, რადგან მტერმა აიღო ჩვენი ტერიტორიები, მათ დაგვიტოვეს ერთი პატარა კუბლეტე: „მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა, კალმახი და ქერის ბური წინ მეყარა ბზესავითა“.

ჩემმა მეუღლემ, რომელიც ვაზეთის რედაქტორია და თქვენ ცოტა ხნის წინ დააჯილდოვეთ ღირსების ორდენით, ბატონო პრეზიდენტო, ერთი პატარა ლექსი უძღვნა ჩვენს კუთხეს: „ჯავახეთი აყვავდა, მტერი დარჩა ძლეული, ვით ფენიქსი წამოდგა, ათასჯერ დანგრეული“.

ამ წამოდგომაში თქვენ უდიდესი ღვაწლი მიგიძღვით, ჯერ კიდევ კომპაგვირში მუშაობის დროიდან და დღეს დიდი გარდატეხნა ჯავახეთის ცხოვრებაში. აკადემიკოსი აგლაძე რომ ჩამოვიდა ახალქალაქში, შემოვატარე თითქმის ყველაფერი, დაუათვალიერებინე ციხეები, ეკლესიები, მაგრამ წასვლისას მკითხა, თამარ, მითხარი რით არის ჯავახეთი ცნობილი. მეც ჩამოვუთვალე, რომ ჩვენთან კარგი თაფლი და კარგი ყველი იცის, მაგრამ შეხედა გარშემო მთებს და მიიხრა, ახალქალაქში არის მსოფლიო ქვეს მარაგო. ახლა დაიწყო იმ ქვეს ამოღება. იქ ძალიან ბევრი ძვირფასი ქვაა, მათ შორის ბაზალტის ქვაც და წლების განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ბატონ ედუარდ შევარდნაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ამ წამოწყებაში. მოკლე ხანში ჩვენთან რკინიგზაც იქნება, ნავთიც გაივლის, გაზიც გაივლის, გზებიც შეკეთდება, ბევრი რამ რაც აქამდე მივიწყებული იყო, თანდათან კეთდება და დიდი მომავალი უჩანს მესხეთ-ჯავახეთს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ახალქალაქი ინტერნაციონალური ქალაქია, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სომხები, ბერძნები, რუსები და ამასთან დაკავშირებით ერთ პატარა კუბლეტს წავგიკითხავთ კიდევ: „შენ გიძღერი, გიგალობ, ძველთა ძველო ალაგო, ხალხთა ძმობის ქალაქო, ჩემო ახალქალაქო“.

უღრმესი მადლობა ამ მაღალი ჯილდოსათვის და იმ მოღვაწეობისათვის, რომელმაც ჩვენს კუთხეში დიდი იმედი ჩასახა.

ლელია წვერიკმაზაშვილი - თბილისის 23-ე სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს კლასის პედაგოგი:

სცენაზე მოღვაწე სელოვანისათვის დიდი ბედნიერება და სინარულია მაყურებლის ოვაცია. სწორედ ასეთ სინარულს განვიცდი ახლა. ბატონო პრეზიდენტო,



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

ქალთა ვოკალური ტრით „პალიტრას“ სახელით მინდა მადლობა გადაგიხადოთ ასეთი დაფასებისათვის, ასეთი მაღალი დონისათვის. ეს არის ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმული, სტიმული, რომელიც ესაჭიროება შემოქმედ ადამიანს.

ესარგებლობ შემოსგვევით, ყველას მოგილოცავთ გაზაფხულის დადგომას და მანდილოსნებს ვულოცავ დღევანდელ დღეს, ვუსურვებ სიღამაზეს, სიყვარულს და ბედნიერებას.

დიდი მადლობა.

ლეილა ტყეშალაძე - ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიური განყოფილების სელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე:

ბატონო პრეზიდენტო,

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ასეთი დიდი ჯილდოსათვის. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ორდენზე მაღლა ღირსების ორდენი დგას, რადგან ღირსება მოუთითებს ადამიანის მორალზე და იმ განვლილ გზაზე, რომელიც მან წესიერად და უმწიკვლოდ გაიარა.

დიდი მადლობა ყველას და აქ მყოფ მანდილოსნებს მინდა ვუსურვო დიდი ხნის სიცოცხლე, სიღამაზე, ოჯახში ბედნიერება და სიკეთე.

ლალი შარვაძე - საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდასა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დისპანსერული მეთვალყურეობისა და მკურნალობის განყოფილების ექიმი ინფექციონისტი:

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ პრეზიდენტს და ჩვენს მინისტრს ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს ჩვენი შრომის დაფასებისათვის, უბრალოდ შემჩნევსათვის.

ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს და საქართველოს მთელ მოსახლეობას ჯანმრთელ სიცოცხლეს ვუსურვებ.

გმადლობთ.

სვეტლანა ლამპრიანოვა-ბეჟუაშვილი - თეთრიწყაროს რაიონის დაბა მანგლისის საშუალო სკოლის დირექტორი:

მე ბედნიერი ვარ, რომ დავბადე ამ მიწაზე, დღევანდელი ჩემი ჯილდო კი მთელი ჩემი კოლექტივის ჯილდოა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილები, რომლებმაც განათლება მიიღეს კიევში, მოსკოვში, აშერის უნივერსიტეტში, შტატებში, დაბრუნდნენ სამშობლოში, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ სამშობლოსა და თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. როდის და რომელ ქვეყანაში შექმლო ეოცნება გოგონას შორეული სოფლიდან, რომ მისი შვილები სახელმწიფო მონელები გახდებოდნენ. დღეს, როდესაც ჩემი შვილი საქართველოს პარლამენტის დეპუტატია, როდესაც ჩემი შვილი მო-



ნაწილებას იღებს საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაში. სად, რომელ ქვეყანაში მიხედობოდა, რომ ბერძენი დედის შვილებს ასეთი წარმატებებისათვის მიეღწიათ. ამიტომ მე გამოვზატავ ძალიან დიდ პატივისცემას თქვენს მიმართ ბატონო პრეზიდენტო.

ძვირფასო ქალებო, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი შვილიშვილები იცნობენ უფრო დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში. ამის იმედს მისახავეს ჩვენი პრეზიდენტი თავისი პოლიტიკით და იმ სტაბილურობით, რომელსაც ინარჩუნებს უდიდესი ძალისხმევითა და შეუპოვრობით. მე მაქვს ამის იმედი. ჩემი შვილი-შვილი, რომელიც საში დღის წინ შემეძინა, მჯერა, რომ იცნობს და იშრომებს შესანიშნავ ქვეყანაში, შესანიშნავ საზოგადოებაში.

დდი მადლობა, ვისურვებთ ბედნიერებას.

ედუარდ შევარდნაძე:

მოგესალმებით სულით და გულით ამ ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ქალთა საზოგადოებას წარმოადგენთ ამ დარბაზში. მინდა ვთხრა, რომ თქვენით ვამაყობთ, ვხარობთ იმ შედეგებით, რომლებიც თქვენ გაგანჩნათ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. თქვენი სახით მივსალამები საქართველოს ქალებს, დედებს, ბებიებს, იმ ქალებს, რომელთაც ღმერთმა შვილი არ არგუნა, მაგრამ ასევე დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობაში, ახალი საქართველოს შექმნაში. ძალიან კარგად ვიცი, რომ ყველა თქვან არ არის დაღწიებული, ყველას თავისებური გასაჭირი აქვს, თავისებური ტკივილი, პრობლემები, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, მაგრამ ჩვენ მაინც ბედნიერი ხალხი ვართ, ბედნიერი თაობები არიან ისინი, რომლებიც დღევანდელ საქართველოში ცხოვრობენ. ბედნიერი არიან იმით, რომ ფაქტობრივად ამ საუკუნეების მანძილზე პირველად გაჩნდა შანსი ავანტიურად და მოუკიდებელი, გაერთიანებული და მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული წევრი ქართული სახელმწიფო, ჩვენი სამშობლო. ამას იმით ვამბობ, რომ ჩვენ ჩვენი წარსული არ უნდა დაგვაგვიწყდეს, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველო არაერთხელ ყოფილა დანაწევრებული, გაჩანაგებული, მიწასთან გასწორებული, დანოქებული და შეურაცხყოფილი. დღეს ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, საქართველოს დღეს მთელი მსოფლიო აღნიშნავს და პატივს სცემს იმ გზას, რომელსაც ჩვენ დავადექით, დემოკრატიის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის გზას.

ყველას მადლობას მოგახსენებთ თანადგომისათვის, იმ სიტყვებით-სათვის, რომელიც აქ წარმოთქვა და იმისათვის, რასაც თქვენ ფიქრობთ დღევანდელ ხელისუფლებაზე, პრეზიდენტზე, პარლამენტზე, იმაზე, რაც ჩვენ უნდა ვაკეთოთ. მე თვითონ ვიცი შეიძლება ცოტა თქვენზე უკეთადა, რამდენი ცოდვა გვაქვს, რამდენი გადაუწყვეტელი პრობლემა და მოუგვარებელი საკითხი გვაქვს, მაგრამ ამავე დროს შესანიშნავად ვხედავ, როგორია ჩვენი ხვალისდელი დღე. ასე რომ



ლუბაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

- ზალიკო კავთელიშვილი** - თბილისის სააპშენებლო ავტომექანიზაციის პროფესიული სასწავლებლის დირექტორი
- პამლექ ლაგვილავა** - თბილისის პოლიტექნიკური პროფესიული ლიცეუმის დირექტორი
 დატოვებული ნაწარმი და სპორტული ასპარეზობის
 გამარჯვებულთათვის მადლობის წერილების გადაცემის
 ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვა.**

თედო ისაკაძე - სახელმწიფო მინისტრის მოადგილე:

დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს საზეიმოდ იხუ-
 რება სტუდენტური დღეები. ახალგაზრდობის ამ ზეიმის მნიშვნე-
 ლობა, მასშტაბები და ღონისძიებათა მრავალფეროვნება ყოველ-
 წლიურად იზრდება. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ წლევეან-
 დელი წარმატებები მნიშვნელოვნად განაპირობა სტუდენტთა
 ინიციატივამ, ინტერესთა მრავალფეროვნებამ და გეგმობებამ. წინა
 წლებისაგან განსხვავებით დღეს საქართველოს პრეზიდენტთან
 მოვლიწივით როგორც სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე სტუდენ-
 ტური თვითშემოქმედების კონკურსებსა და სპორტულ ასპარეზო-
 ბებში გამარჯვებულები. ეს თავად სტუდენტებისა და მათი



უმაღლესი სასწავლებლების სელმძღვანელების სურვილის გათვალისწინებით მოხდა და ამიტომ დღევანდელმა ცერემონიამ განსხვავებული ელფერი მიიღო.

წელს, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების 25 ათასზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სტუდენტური დღეების სამეცნიერო კონფერენციებში, მხატვრული თვითშემოქმედების კონკურსებსა და სპორტულ ასპარეზობებში. მართლმხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერებისას ორი დღის წინ, სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე 28 უმაღლესი სასწავლებლის 500-ზე მეტი სტუდენტი გამოვიდა და საუკეთესონი სტუდენტურმა ჟიურიმ გამოავლინა.

დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტულმა შეჯიბრებებმაც. გასული წლისგან განსხვავებით, ტრადიციულ სახეობებთან ერთად, მეტად საინტერესო, საერთაშორისო მასშტაბის სტუდენტური ტურნირი გაიმართა კარატეში, რომელშიც ოთხი ქვეყნის სტუდენტმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა.

აღსანიშნავია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მაღალი დონე, რომელშიც 30 უმაღლესი სასწავლებლის 800-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. 13 საბაზო უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობდა საუკეთესო სტუდენტური ნაშრომების გამოვლენა. 49 სამეცნიერო დისციპლინაში 65 სტუდენტი დასახელდა გამარჯვებულად.

სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებულებთან ერთად წელს დღევანდელ შენგედრაზე პირველად მოვიწვიეთ მხატვრული თვითშემოქმედების ლაურეატები და სპორტული ასპარეზობების გამარჯვებულები.

დღეს განსაკუთრებით დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორს, სტუდენტთა კავშირს და პროფესორ-მასწავლებლებს, განათლების სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიას და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს წლევეანდელი სტუდენტური ზეიმის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის. ერთობლივი ძალისხმევით ვარეშე ასეთი მასშტაბის ღონისძიების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

წარმატებებსა და მომავალ გამარჯვებებს გისურვებთ.

რიმა კურბანოვი - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ქვემო ქართლის რეგიონალური მრავალპროფილიანი ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი:

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდობის სახელით მადლობას გინდით იმისათვის, რომ უმაღლეს განათლებას გვეფლებით თქვენი უშუალო ინიციატივითა და მხარდაჭერით დაბარებულ ქვემო ქართლის რეგიონალურ მრავალპროფილიან ინსტიტუტში, რომელსაც სელმძღვანელობს ბატონი ბორის მიშველაძე.



ვისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს საქართველოს საკეთილდღეოდ.

ეკატერინე მათიაშვილი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი:

დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, რადგანაც ბედნიერება გვაქვს პირადად შევხვდეთ საქართველოს პრეზიდენტს და ვილდოც მისგან მივიღოთ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ როინ მეტრეველს და ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა ღვაწლი უადრესად დიდი ჩვენს პროფესიონალებად ფორმირების საქმეში. მათი საქმიანობა ბევრად განაპირობებს ჩვენს დღევანდელ გამარჯვებას, რადგან ჩვენ ვართ თაობა, რომელთა პროფესიონალიზმმა, ინტელექტმა, შრომისმოყვარეობამ და მაღალზნეობრივმა ინტერესებმა უნდა განსაზღვროს ქვეყნის მომავალი.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

გმადლობთ.

თამარ ჩიგოჯიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის VII კურსის სტუდენტი:

ბატონო პრეზიდენტო,

მინდა დიდი მადლობა გადავგისადოთ ჩემი და ჩემი კოლეგების დაჯილდოებისათვის და დაგარწმუნოთ, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ღირსეულად გააგრძელოს ქართველ მედიკოსთა სახელოვანი სამეცნიერო ტრადიციები.

ვსარგებლობ შემთხვევით და გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს პირველად მიეცა შესაძლებლობა უმასპინძლოს ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის გენერალურ ანსამბლეს, რაც უთუოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველ მედიკოს სტუდენტთა ცხოვრებაში.

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით მადლობას მოვახსენებ ბატონ პრეზიდენტს, რომელმაც აღგვითქვა, რომ გაგვიწვეს თანადგომას და ფინანსურ დახმარებას ამ შეტად საპატიო ღონისძიებებს სათანადო დონეზე ჩასატარებლად.

ვილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და მადლობას მოვახსენებთ ამ საპატიო ჯილდოს გადმოცემისათვის.

ბესიკ წიკლაური - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი:

ბატონო პრეზიდენტო,



საქართველოს
ქვეყნული
ბიბლიოთეკა

ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის ხატით მადლობას მოგახსენებთ ჩვენი უმაღლესი სამეცნიერო დოქტორებით დაჯილდოებისათვის, იმ ღონისძიებისათვის, რომელიც კიდევ უფრო ამაღლებს და აძლიერებს საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის უკეთესი მომავლის რწმენას და იმედებს. ჩვენ ვგრძნობთ, ახალგაზრდობის პრობლემების გადასაჭრელად თქვენს მიერ მომართულ სახელმწიფოებრივ ძალისხმევას, რომელიც თანდათან უფრო იზრდება. საგრძნობია ხელისუფლებისაგან წამოსული ის ტენდენციაც, რომელიც ითვალისწინებს ნიჭიერი, განათლებული ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ახალგაზრდების მაღალპროფესიულ მომზადებასა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის პროფესიულ გადამზადებას.

ქვეყნის წინაშე არსებული რთული და მძიმე პრობლემების მიუხედავად ჩვენ გვჯერა, რომ კონსტიტუციური მართლწესრიგი, სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება, მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში საკუთარი ადგილის დამკვიდრება, დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიების მოპოვება შიდა პრობლემების სრულფასოვნად მოგვარების საშუალებას მოგვცემს და ეს იქნება ის ბაზისი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის კათილდღეობას უზრუნველყოფს.

ის ფაქტი, რომ საქართველო უკვე არის გლობალური ეკონომიკური პროცესების სრულფასოვანი მონაწილე, აღიარებულია დამოუკიდებლობის, მყარი საერთაშორისო გარანტიების მქონე ღირსეულ პარტნიორად, და რომ იგი ხდება ევრობა - აზიის დამაკავშირებელი ქვეყანა და მისი ფორბოსტი, უკვე გვაძლევს იმის თამამად გამოცხადების საშუალებას, რომ იგი დაადგება ინტენსიური ეკონომიკური აღმავლობის გზას და ძალიან ახლო მომავალში თავის ღირსეულ ადგილს დამკვიდრებს, ღირსეულ სიტყვას იტყვის კავკასიაში და მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება თავისთავად გულისხმობს ტერიტორიული მთლიანობის სრულ და საბოლოო უზრუნველყოფას.

ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ჯილდოზე ვართ წარდგენილები. მთელი სულითა და გულით ვუსურვებთ წარმატებებს ჩვენს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მის მიერ წამოწყებული საქმეებისა და საპრეზიდენტო პროგრამის განხორციელებაში.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ნებართვით მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ რამაზ ხუროძეს და საერთოდ რექტორატს იმ ფასდაუდებელი დახმარებისა და უდიდესი გულისხმიერებისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ სწავლას მონდომებული ახალგაზრდების მიმართ. სწორედ ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის აქტიური



მხარდაჭერის შედეგია სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარება. ჩვენს უნივერსიტეტში 3-მდე სექცია და ქვესექცია ფუნქციონირებდა, რომელთა შედეგობითაც სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაში 600-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, თუ რა აქტიურობითა და ხალხმრავლობით გამოიჩინოდა ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტურ დღეებთან დაკავშირებული სსკადახსვა ფაკულტეტების მიერ ჩატარებული მხიარულთა და საზრიანთა კლუბების შეჯიბრებები და სსკადახსვა სპორტული ღონისძიებები, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს. ეს ღონისძიებებიც რექტორატის ასევე აქტიური მხარდაჭერით ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის მიერ იყო ორგანიზებული.

ევროპული ორიენტაცია და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია თავისთავად გულისხმობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელსაც პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება და რომელიც განათლების სისტემის რეფორმირებითაა შესაძლებელი.

განათლების სისტემაში დაწყებულ რეფორმებს აქტიურად უბაძვს მხარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მზადდება ახალი სტანდარტები, მუშავდება სწავლების პროცესის, განათლების სისტემის ინფრასტრუქტურისა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების თანამედროვე პროგრამები, უკვე არსებობს განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები, საპრეზიდენტო პროგრამით უახლოესი მომავლისათვის გათვალისწინებულია ბიუჯეტიდან მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული რაოდენობის გაზრდა მეცნიერების დაფინანსებაზე. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ვაკეთდეს პროგნოზი, რომლის მიხედვითაც ახალი ათასწლეული სწორედ მეცნიერებისა და განათლების ეპოქა იქნება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც საინჟინრო-ტექნიკური განათლების უმაღლესი კერა, კვლავაც ამაყად, სათანადო დონეზე იდგება, რომლის მიერ გამოზრდილი მაღალკვალიფიციური საინჟინრო, ტექნიკური თუ ჰუმანიტარული კადრები სათანადო სიტყვას იტყვიან მომავალში და როცა ქვეყანას დასჭირდება, ღირსეულ არჩევანსაც თავისუფლად გააკეთებენ.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

შორენა წილოსანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტი:

ბატონო პრეზიდენტო,

ჩემი მეგობრების სახელით დიდი მადლობა მინდა გადავინახოთ აქ მიღებისათვის. ტექნიკურ უნივერსიტეტზე უკვე ბევრი ითქვა, მაგრამ მინდა ერთი რამ კიდევ დავამატო. ტექნიკური უნი-

ვერსიეტის სახელით მე ვიყავი წარგზავნილი საფრანგეთში. სადაც მივიღე ჯილდო, მაგრამ ჩემის აზრით, იმაზე დიდი ჯილდო არ არსებობს, როდესაც შენს სამშობლოში გაჯილდოებენ და ამ ჯილდოს პრეზიდენტი გადმოგცემს. უღრმესი მადლობა ამისათვის.

როინ მეტრეველი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი:

ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,
პატივცემულო კოლეგებო,
ძვირფასო სტუდენტებო,

გულწრფელად გილოცავთ დღევანდელ დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. დაახლოებით ერთი საათის წინ პატივი მქონდა ბატონ პრეზიდენტთან ერთად მონაწილეობა მიმეღო იმ მიტინგში, რომელიც დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მთავმინდის პანთეონში გადმოსვენებასთან დაკავშირებით გაიმართა. ექვთიმე თაყაიშვილი ყველას მოგესხნებათ რაოდენ დიდი მოღვაწე იყო, რაოდენ დიდი ამაგი და მოქალაქეობრივ-ზნობრივი ვალი აქვს მონდელი მას ქვეყნის წინაშე და ისტორიულმა სამართლიანობამ სწორედ დღეს, სწორედ ჩვენს დროში გაიმარჯვა. 2000 წლის 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის თაოსნობითა და სელდასმით აღსრულდა ქართველი ერის ოცნება, რომ მის ერთ უღირსეულეს შვილს თავისი ადგილი მისჩენოდა მთავმინდის მიწაზე. ეს არის ნიშნული იმისა, რომ ქვეყანა რომელ პერიოდშიც არ უნდა იყოს და რა წყობაც არ უნდა იყოს მასში, ისტორია იმდენად უღმბოვლი და ობიექტურია, რომ რაღაც დროში ყველას თავის ადგილს მიუჩენს. ღირსეული შვილის ამაგი არ იკარგება ქვეყანაში. დიდი ილია ქართველის დედისადმი მიმართვის დროს ბრძანებდა: „ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან რჩეს კვალი განათლებული“. სწორედ განათლებული კვალის აღზევება გახლდათ დღეს და კიდევ ერთხელ მინდა მოვიხსენიო საქართველოს პრეზიდენტის ამაგი ამ საქმეში.

გულწრფელად მინდა მოგილოცოთ ჯილდოები ყველა რექტორის სახელით. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ დღეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, მიუხედავად მრავალგვარი სირთულეებისა, არიან იმ დონეზე და იმ მდგომარეობაში, რომ ნებისმიერ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელს არ დაუღონ ტოლი.

ბატონო ედუარდ, აქ არიან წარმოდგენილი ახალგაზრდები, თითქმის ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლიდან, სამეცნიერო კონფერენციებში, ხალხურ თვითშემოქმედებასა და სპორტულ ასპარეზობებში გამარჯვებულები. ის რაც დღეს უმაღლეს სკოლებში კეთდება და ამას აკეთებენ უბირველეს ყოვლისა სტუდენტები, სტუდენტთა თვითმმართველობები, სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირები, რომლებიც თვითონ სტუდენტებმა შექმნეს და დააფიქსირეს უმაღლეს სასწავლებლებს გარეთ. ეს სრულიად და-



მოუკიდებელი ორგანიზაციები არიან. ამ თავისუფლებამ გუელმა დამოუკიდებლობამ დადებითი შედეგი გამოიღო. მე არ მინდა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე ვილაპარაკო, თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტების მაღალი დონეა. თქვენ დღეს დააჯილდოვეთ ჩვენი უნივერსიტეტის მაგისტრანტი ეკა გორდეზიანი. სულ რამდენიმე თვის წინ შეიქმნა კომპიუტერული ცენტრი, რომლებიც ურთულეს უახლეს პრობლემებზე მუშაობს. კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო, ამას წინათ მე დავესწარი ფიზიკის ფაკულტეტზე ჩატარებულ კონფერენციას, რომელსაც ესწრებოდა დიდი ბრიტანეთის ელჩიც, ეს იყო ინგლისურ ენაზე ჩატარებული უმაღლესი დონის კამათი, პაქრობა ფიზიკის დარგში და ყველა აღფრთოვანებული დარჩა, ამ შემთხვევაში ენის ცოდნაზე აღარ ვამახვილებ ყურადღებას. გუშინ ჩვენ სტუმრად მივიღეთ ატლანტის უნივერსიტეტის პროფესორი და დორტმუნდის უნივერსიტეტის რექტორი. როდესაც მათ გავაცანი ჩვენი უნივერსიტეტისა და ასევე ჩემი კოლეგების, სხვა უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობა, ისინი აღფრთოვანებულნი დარჩნენ. მე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ უხმაუროდ ავირჩიეთ ევროპულ-ამერიკული გეზი, გვაქვს ორსაფეხურიანი სწავლება და შეგვიძლია გადავწყვიტოთ ის საკითხები, რასაც აქამდე ვერ ვაკეთებდით, კერძოდ, ვიწრო სპეციალიზაციის მიღება. სპეციალისტი, რომელიც ამთავრებს უნივერსიტეტს, უნდა იყოს მაღალკვალიფიციური და შესაძლებელი უნდა იყოს, ის პირდაპირ შეუდგეს მუშაობას.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ყველა აქ მყოფის წვლილი, მაგრამ მათ გვერდით დგას ძალიან ბევრი კარგი სტუდენტი, რაც საქართველოს უკეთესი მომავლის დიდი იმედაა. თუ უმაღლესი სასწავლებლების ასაკობრივ ანალიზს ვაჯილდოებთ, ჩვენ ყველანი ვბერდებით, ამასთან, საბენსიო საქმეც მოუგვარებელი გვაქვს, ამიტომ პროფესორ-მასწავლებლებს კი არ ვათავისუფლებთ, არამედ ვაძლევთ დასვენების საშუალებას, თუმცა იგივე ანაზღაურებით, მაგრამ ასპირანტურა გავზარდეთ იმისათვის, რომ ნებისმიერ დროს ცვლილებებისათვის მზად ვიყოთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბატონ ალექო კარტოზიას მივულოცო საქართველოს განათლების მინისტრის პოსტზე დამტკიცება. მე ტელევიზიის საშუალებით თვალყურს ვადევნებდი დამტკიცების პროცესს. გული გეტკინება კაცს, როდესაც ბარლამენტში, ზოგიერთი საქმეში სრულიად ჩაუხედავი, აბსოლუტურად არაპროფესიონალი, ისეთ როყით შეკითხვას უსვამს მინისტრს, როგორც გუშინ ჩვენ ყველამ მოვისმინეთ. კაცი ხატს შეეჩვია და ნაფოტის სროლა დაუწყო, ასე გამოდის. დღეს მეტი ყურადღება და დაფასება სჭირდება მასწავლებელს.

ბატონო პრეზიდენტო, ყველა რექტორის სახელით მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს უმაღლესი სკოლა არის საქართველოს პრეზიდენტთან, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები მზად არიან საქართველოს პრეზიდენტის პროგრამის გატარებისათვის. ჩვენ გვინდა ნორმალური საქართველო, რომელსაც ექნება ღირსეული მომავალი და რომელშიც ამ ახალგაზრდებმა უნდა იცხოვრონ და იცხოვრონ ისე, როგორც თქვენ გსურთ და როგორც მათ ეკადრებათ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ არ შევრცხვეთ მომავალი თაობის წინაშე.

კიდევ ერთხელ მინდა დავლოცო ეს ახალგაზრდები, რომლებიც მართლაც ძალიან ბევრს აკეთებენ და მივულოცო სტუდენტური დღეების შესანიშნავად ჩატარება. ამ დღეებში ბევრი საინტერესო რამ ვლინდება და ამის დაუფასებლობა არ შეიძლება. მე მინდა მადლობა მოგახსენოთ ბატონო პრეზიდენტო იმისათვის, რომ პოულობთ დროს და საშუალებას ამ ურთულეს პირობებში და აჯილდოებთ წარჩინებულ სტუდენტობას, მაგისტრანტებს. ეს არის დიდი წახალისება არა მარტო ჩვენი სტუდენტობისთვის, არამედ ჩვენც გვეძლევა სტიმული, რომ უფრო კარგად, უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ ახალგაზრდებთან. მე გუშინ შეხვედრა მქონდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფთან და იქაც ვთქვი, რომ მსოფლიოს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობას, დაწყებული ჰარვარდიდან, დამთავრებული სორბონით, თუ სხვა რომელიმეს, თამამად დაუდგება გვერდით ჩვენი სტუდენტობა. ჩვენ უნდა დავაფასოთ ჩვენი უმაღლესი სკოლა და ჩვენი სტუდენტობა, ისე, როგორც ამას საქართველოს პრეზიდენტი აკეთებს.

გილოცავთ და ვისურვებთ წარმატებებს.
გმაღლობთ.

ალექსანდრე კარტოზია - საქართველოს განათლების მინისტრი:

ბატონო პრეზიდენტო,
ქალბატონებო და ბატონებო,

ყველას გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, ჩვენთვის უძვირფასეს და უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს. დღეს განსაკუთრებული დღეა ასევე იმის გამო, რომ ჩვენ შეგხვდით საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს. მართლაც ხალისი, სილაშქვ და მშვენიერება იგრძნობა ამ დარბაზში. აქ არის საქართველოს ნიჭიერება და ძალა, აქ არის საქართველოს ფიზიკური და სულიერი ნაღები. მე მინდა ყველას ვისურვოთ დიდი წარმატებები თქვენს საქმიანობაში და ვისურვებთ ასევე, რომ თქვენი ცხოვრების ეს საუკეთესო წლები გაატაროთ ღირსეულად, ერთმანეთის პატივისცემით, ერთმანეთის სიყვარულით, პროფესორ-მასწავლებლებისა და იმ უმაღლესი სასწავლებლების პატივისცემით, რომლებშიც თქვენ სწავლობთ.

1996 წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აღდგა არაჩვეულებრივი ტრადიცია, სტუდენტური დღეები. არც ერთ



ქვეყანაში ასეთი ტრადიცია არ არის, რომ გაზაფხულზე, რამდენიმე კვირის განმავლობაში სტუდენტებს ეძლეოდეთ საშუალება მოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ამ მხრივ საქართველოში მათ მართლაც არაჩვეულებრივი შანსი ეძლევა ასალგაზრდობას. დიდი მადლობა თქვენ, რომ იყენებთ ამ შანსს. საქართველო გამოჩინდა იმითაც, რომ ჩვენთან დაწესებულია პრეზიდენტის სტიპენდიები მკვლევარი სტუდენტებისა და ასალგაზრდა მეცნიერთათვის. ყოველივე ამისათვის არ შეიძლება ჩვენი ძალის სრული გამოვლენით მადლობა არ გამოვხატოთ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტისადმი. პირადად მე, მადლობა მინდა მოვასწერო ბატონ პრეზიდენტს ჩემი განათლების მინისტრად წარდგენისათვის, ასეთი ნდობისათვის და მინდა გამოვთქვა სურვილი, რწმენა და იმედი იმისა, რომ ამ დარბაზში შეკრებილნი ყველანი ვართ თანამოაზრეები და ერთი საქმისათვის მოღვაწე ადამიანები.

გისურვებთ დიდ წარმატებებს და იმ მიზნის მიღწევას, რომელსაც დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო ჰქვია, ის საქართველო, რომლის ღირსი ხართ თქვენ, რომლისკენაც მივდივართ ჩვენი პრეზიდენტის ხელმძღვანელობით და აუცილებლად მივაღწევთ საოცნებო მდგომარეობას. გისურვებთ ბევრ გამარჯვებებს, დიდ სიხარულს და ხალისიან ცხოვრებას თქვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

ედუარდ შეგარდნაძე:

ეს დარბაზი, რომელშიც თქვენ იმყოფებით, არის სსდომათა დარბაზი, აქ იკრიბებიან მინისტრები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები და ჩემი თავმჯდომარეობით ვატარებთ სხდომებს. ახლა მე წარმოვიდგინე, რომ ისინი არც ერთი პარლამენტში არ დაამტკიცოს და თქვენ იყოთ მათ ადგილზე, ალბათ ცოტა ხანში ესცეიქნება, მაგრამ არ ვიცი მაშინ მე ვიქნები თუ არა თავმჯდომარე.

მინდა მოგესალმით სულით და გულით ჩემო შეიღებო, ჩემო მეგობრებო, მოგილოცოთ საქართველოს დამოუკიდებლობის, საქართველოს თავისუფლების დღე. მე არ მინდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე დაგუკავშირო რომელიმე თარიღს, თუმცა კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ჩვენ ვაგრძელებთ პირველი რესპუბლიკის ტრადიციებს, მოხდა დამოუკიდებლობის დღის აღგენა, მაგრამ მიმაჩნია, რომ დამოუკიდებლობა არ უნდა იყოს რომელიმე თარიღთან ან მოვლენასთან დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც საქართველო, ჩვენი ხალხი გაჩნდა ამ ქვეყნად, ავერ უკვე რამდენიმე ათასწლეულია განუწყვეტლივ იბრძვის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის. რამდენჯერ დაგვარგეთ თავისუფლება, რამდენჯერ ვიყავით ნაკუწ-ნაკუწად ქცეული. დღეს ჩვენ ყველანი, ასაკოვანნიც და ასალგაზრდებიც ბედნიერნი ვართ, რადგან გვერგო უდიდესი ღირსება, დაფასება ღვთისა და ხალხისაგან, რომ ავაშე-



ნოთ და გაშენებთ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოს, მშენებელ ათასწლეულის საქართველოს.

უკვე ითქვა და კიდევ ვიმეორებ, რომ მე ძალიან კარგად ვიცი, როგორ ვიჭირთ თქვენ, თქვენს მშობლებს, თქვენს მეგობრებს, როგორი მდგომარეობაა საზოგადოებაში, მაგრამ არც ერთ ქვეყანას არ აუშენებია ქვეშაბრტყელ ბედნიერი და თავისუფალი სამშობლო მსხვერპლის გარეშე და არც 1-2 წლის მანძილზე. ამას სჭირდება წლები. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ახლა ეტალონია დემოკრატიის, აყვავებისა და აღორძინების, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სამოქალაქო ომის პირობებში აშენებდა იმ ქვეყანას, რომელსაც დღეს დემოკრატიის სავანე ჰქვია. ჩვენ ძალიან სწრაფად შევქმენით დამოუკიდებელი სახელმწიფო. დღეს ბედნიერი ვარ, რომ თქვენ გზვდებით, რადგან თქვენი სახით ვუყურებ საქართველოს მომავალს, ჩვენს სვალანდელ დღეს. განსაკუთრებით, მინდა მივესალმო იმას, რაც აქ ბატონმა როინმა და ბატონმა ალექომ ბრძანეს, რომ საქართველოს განათლებული ადამიანების ქვეყანაა და დარწმუნებული ვარ, ასე იქნება მუდამ. სხვათაშორის, იმ ტოტალიტარიზმის წლებშიც კი საქართველოში ეს ყოველთვის იყო პრიორიტეტი, თქვენ აღბათ გახსოვთ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ზღაპრული კონკურსები იყო. ჩვენს ერს სისხლში აქვს სიყვარული და ლტოლვა განათლებისადმი. გაუნათლებელი, ხელმოწერაც რომ არ იცოდა, ისეთიც კი თავს მოგაღებდ თვლიდა, შვილისათვის განათლება, სპეციალობა მიეცა, რომ მას თავისი ადგილი დაემკვიდრებინა ცხოვრებაში. ეს ლტოლვა განათლებისაკენ არის ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეროვნული თვისება, რომელიც არ უნდა დაგვარგოთ. ამიტომაც საბრეზიდენტო პროგრამაში ერთ-ერთ უმაღლეს პრიორიტეტად მოხსენიებული მაქვს განათლება, რომ ჩვენ 1-2 წელიწადში საშუალო სკოლებში გვექნება უფასო განათლება, უმაღლეს სასწავლებლებს ექნებათ სახელმწიფო დაკვეთა სპეციალისტთა რაოდენობაზე, განათლების მიღების მსურველებს ექნებათ სრული თავისუფლება.

მინდა თქვენ და თქვენი მეგობრები დავარწმუნოთ იმაში, რომ ჩვენთვის არ არსებობს დღე და ღამე, რადგან ჩვენი უმთავრესი მიზანია მომავალი თაობებისათვის ავაშენოთ განვითარებული, დემოკრატიული და თავისუფალი საქართველო ჰქვია. ხუთ წელიწადში ჩვენ ბევრი რამ უნდა მოვასწროთ, მათ შორის განათლების დარგში ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, უნდა დამთავრდეს საზოგადოების დაყოფა მდიდრებად, ღარიბებად და ლატაკებად, ადამიანი უნდა ცხოვრობდეს ნორმალურად, ყველას ჰქონდეს არსებობის საშუალება და ეს ყოველივე უნდა შევძლოთ ძალიან მოკლე დროში. ამასთან, რაც მთავარია, ამ ხუთ წელიწადში ყველა ქართველი, ყველა აფხაზი, ყველა ოსი უნდა დაუბრუნდეს თავის სახლ-კარს, უნდა აღდგეს საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა.



ბორის აბრამიშვილი - ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის მწვრთნელი-მასწავლებელი, სპორტის საბატო ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, გრიგოლ აკოფოვი - მიმომხილველი, საქართველოს დამსახურებული ურნალისტი, **ილია ანთელაფა** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **თინათინ არჩვაძე** - თბილისის 123-ე სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, **ტატა ახალაია** - მწერალი-დრამატურგი, თეიმურაზ ანობაძე - მუსიკოს-შემსრულებელი, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკის „სტენვეის“ მიუსიკ-პოლის წევრი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, **იოსებ (სოსო) ბაკურაძე** - საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის უფროსი კონსულტანტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, **დიმიტრი ბეზარაშვილი** - საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკონსულტაციო სამკურნალო ცენტრის აღმწვრთნელი განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, **ხუტა ბერულავა** - საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი, **დალილა (დალა) ბოჯგუა** - სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე, **თამაზ ბუაჩიძე** - ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის რექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, **მანანა გონაღვიშვილი** - ისნის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, **დავით გურგენიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმოებისა და ბიზნესის ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, **თეიმურაზ დალაქიშვილი** - რუსთაგის მერის პირველი მოადგილე, **ირაკლი ელიაფა** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **არჩილ ვაშაყიძე** - საქართველოს სახელმწიფო აგრორული უნივერსიტეტის პრორექტორი არასაბიუჯეტო სწავლებისა და პერსპექტიული განვითარების დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **დიმიტრი იანკოვსკი** - საქართველოს რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების გამგეობის წევრი, **გოდერძი იმნაიშვილი** - თადარიგის მაიორი, სამხედრო ჰოსპიტლის სამედიცინო ნაწილის ყოფილი უფროსი, **ნანა კანდელაკი** - თბილისის ჩუღურეთის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, **ვლადიმერ კან-**



კაგა - თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსი, ქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, **ციცინო კვასციაძე** - საგარეჯოს №4 საშუალო სკოლის დირექტორი, **ენრიკო კომაძე** - მხატვარი, საქართველოს მხატვართა ასოციაციის გამგეობის წევრი, **ლევან შამალაძე** - სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, **ოთარ მარგველაშვილი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რ. დვალის სახელობის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **გურამ მაღლაკელიძე** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის ყოფილი მოადგილე, **ჯემალ მახარაძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, **კარლო მეგრელიაშვილი** - საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, თბილისის საპატოო მოქალაქე, **ენზელ შკოიანი** - შენლუდული პასუხმგებლობის საზოგადოება „ჯავახეთი-12“-ის დირექტორის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის წევრი, **გენრიხ (გენა) შურადიანი** - საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარე, **ნინო შქედელიაშვილი** - საგარეჯოს რაიონული პოლიკლინიკის ექიმი-ოფთალმოლოგი, **გიორგი (გია) ნადარეიაშვილი** - საქართველოს მეცნიერ-პრაქტიკოს პომეობათა ასოციაციის პრეზიდენტი, სწავლული ექსპერტი, **ალექსანდრე ონიანი** - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე, პროფესორი, **მინეილ სალუქვაძე** - სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია „მემატიანეს“ დირექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, **გივი სანაძე** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, **ზურაბ სარალიძე** - საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, **ოთარ სულაძე** - საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, **მელთონ ტყეშელაშვილი** - ქ. თბილისის მუნიციპალური სამომხმარებლო ბაზრისა და მომსახურების დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, **ნიკოლოზ უმიკაშვილი** - საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ი.ფაღაფას სახელობის პედატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ექიმი, **რონა ურუშაძე** - ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის №2 გიმნაზიის ინგლისური ენის მასწავლებელი,



თენგიზ ურუშაძე - საქართველოს სახელმწიფო პრინციპალიზაციის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **ვლადიმერ ქარსელაძე** - თბილისის საინჟინერო-ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს თავდაცვის ფონდის საპატიო თავმჯდომარე, **შარდენ ქარჩაგა** - თბილისის საერთო ინსტიტუტის „განათლების“ რექტორი, საქართველოს განათლების სისტემის ასოციაციის გენერალური მდივანი, პროფესორი, **ქეთევან ქუთათელაძე** - თბილისის ვაკის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ახალგაზრდა ქალთა პრობლემების კვლევის ცენტრის საპატიო თავმჯდომარე, **მერი წაკლაური** - აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მოადგილე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, **რევაზ დღონტი** - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საშემსრულებლო-საწარმოო გაერთიანება „წიგნის პალატი“ გენერალური დირექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, **ოთარ ყვინაშვილი** - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილე, **ოთარ შარაძე** - თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „ქარას“ რექტორი, საქართველოს განათლების სისტემის წარმომადგენელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, **ბორის ჩარქველიანი** - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მეღვინეობისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის ვარდაბნის რაიონის მეღვინეობის სამმართველოს უფროსი, **ნაზიკო (ნანა) ჭოღოშვილი** - სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ რეჟისორი, **თემურაზ ხორნომელიძე** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის მარცვლეულის საერთაშორისო ბირჟის“ გენერალური დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, **ჯონი ჯონაძე** - სააქციო საზოგადოება „ივერიაშენის“ მთავარი ინჟინერი.

საქართველოს პრეზიდენტის ელზარდ შივარდნაძის მიერ
 2000 წლის 25 მაისს სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის
 ცერემონიაზე წარმომადგენელი სიტყვათა

ილია ანთელაგა - მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო-სამხარეო სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

ბატონო პრეზიდენტო, ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ სვალნიდელი დღესასწაული და დაგარწმუნოთ, რომ ყველა ქართველი და საქართველოს მოქალაქე, რომელიც მიჩვეულია სამშობლოს სიყვარული გამოხატვის კონკრეტული საქმით, თქვენს გვერდით არის.



თინათინ არჩვაძე - თბილისის № 123 სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

ბატონო პრეზიდენტო,

ვილოცავთ ზვალინდელ დღეს და გარწმუნებთ, რომ სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები თქვენთან არიან. დღეს ბოლო ზარია სკოლაში და ჩემთვის ასეთი მნიშვნელოვანი დღე.

დიდი მადლობა.

ნუტა ბერულავა - საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი:

დიდი მადლობა ბატონო პრეზიდენტო ასეთი ყურადღებისა და დაფასებისათვის. მინდა მივულოცო ყველას, ვინც აქ ბრძანდება სამშობლოს მაღალი ჯილდო და ვუსურვო ახალი წარმატებები.

წარმატებები მინდა ვუსურვო ბატონ პრეზიდენტს და ჩვენს მთავრობას.

მანანა ვოჩანტიაშვილი - თბილისის ისნის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე:

ბატონო პრეზიდენტო,

ძვირფასო სტუმრებო,

არის ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებული მომენტი, როცა მადლიერების გრძნობით გინდა გამოხატო საკუთარი დამოკიდებულება. ასეთია დღევანდელი დღე. მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ რამდენიმე დღის წინ, ქალბატონი ნინო რამიშვილის იუბილეზე აღნიშნეთ, რომ ღირსების ორდენი მხოლოდ ერთხელ შეიძლება ადამიანს მიენიჭოს და თქვენ ქალბატონ ნინოს ეს ჯილდო მეორედ გადაეცათ. დარწმუნებული ვარ, აქ დამსწრე საზოგადოების დიდი სურვილიც იქნება, რომ ეს ჯილდო ათჯერ, ოცჯერ გადამოგვეცეთ იმ დიდი წვლილისათვის, რასაც თქვენ საქართველოსათვის აკეთებთ.

დიდი მადლობა.

არჩილ ვაშაკიძე - საქართველოს სახელმწიფო აგარარული უნივერსიტეტის პრორექტორი არასაბუჯეტო სწავლებისა და პერსპექტიული განვითარების დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

ბატონო პრეზიდენტო,

დღეს ძალიან ვაღელავ, მიუნდავად იმისა, რომ ყმაწვილგაცობაში, ჩემს მეგობრებთან, ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად მეც ბევრი ჯილდო და საჩუქარი მიმიღია თქვენგან იმ საქმიანობისათვის, რომლის ინიციატორი და უდიდესი მხარდამჭერი თავად იყავით. ეს იყო საქართველოს ისტორიული ძეგლების აღდგენა,



ყურძნის მოსავლის მიღება, ტრადიციული დღესასწაულები, ალდგენა, საზაფხულო სკოლების შექმნა და მრავალი სხვა რამ. აქ წამოსვლის წინ გადავხედე თქვენს წიგნს „ჩემი არჩევანი“ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენ სწორი არჩევანი გავაკეთეთ, როდესაც მხარი დავუჭირეთ პიროვნებას, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მუდამ სწორ არჩევანს აკეთებდა და დღესაც, მისი არჩეული გზით საქართველომ ბეწვის ხიდზე გაიარა და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ბატონო პრეზიდენტო, მიიღეთ ჩემი და ჩემი კოლეგების, პროფესორ-მასწავლებლების თანადგომა. იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენი კურსის მხარდამჭერები ვართ და გავზრდით მომავალ თაობას ისე, რომ საქართველოს განათლებული ახალგაზრდობა ჰყავდეს. სამწუხაროდ, დღეს მუსიკებს აზრი, რომ მხოლოდ უცხოეთში შეიძლება მიიღო უმაღლესი განათლება, რადგან თითქოს საქართველოს ტექნიკურ ინტელიგენციას არა აქვს იმის საშუალება და უნარი, რომ მოაშზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ეს ასე არ არის, ჩვენ მოვამზადებთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომ საქართველოში იყოს განათლებული და სამართლებრივი საზოგადოება.

დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებებს თქვენ, თქვენს ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ციცინო კვასცაძე - საგარეჯოს № 4 საშუალო სკოლის დირექტორი:

ბატონო პრეზიდენტო,

ერთხელ უკვე ვიდექი თქვენს წინაშე ტრიბუნაზე, საგარეჯოში, მევენახის სახლში, სადაც უამრავი სათქმელი მქონდა მოტიანილი, მაგრამ ვერაფერი ვითხარით უფრო ზუსტად, ბოლო წუთს გადავიფიქრე იმ მიზეზით, რომ თქვენ ყველაფერი ყველაზე უკეთ იცით, მაგრამ ერთ სათქმელზე დამწყდა გული და ახლა მინდა მოვასხუნოთ: ქვეყანას მართავთ კი არა, ქვას კოდავთ, ასე ამბობენ კახეთში ყველაზე რთული საქმის კეთებაზე, ალბათ გაქვთ წუთები, როცა ფიქრობთ, რომ ეს შრომა ამაოა, ხანდახან ჩვენი ორგულობით ან ამბიცოებით თვითონვე გიქმნით ამის საფუძველს, მაგრამ მინდა ვითხრათ, რომ ყველაფრის მიუხედავად ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში ხალხი ყოველთვის იჩენს განუსაზღვრელ მოთმინებას და იღებს ბრძნულ გადაწყვეტილებას. ჩვენი ხალხის მოთმინებისა და სიბრძნისათვის ღირს თქვენი ასეთი თავდაუზოგავი შრომა, ეს არის ის, რაშიც პირადად, მე ვხედავ თქვენი მხარდაჭერის არსებით გამოვლენას და სხვას ხანდახან რატომღა ვეძებთ ხოლმე. ეს არის ის, რაც თქვენს ფაქტორთან ერთად, იმედს მაძლევს, რომ ჩვენს აუცილებლად გვაქვს კარგი მომავალი.

დიდი მადლობა ჯილდოსათვის. ეს ჯილდო ეკუთვნის ჩემს კოლექტივს და იმ ღირსეულ ადამიანებს, რომლებმაც ღირსეულად ჩამაბარეს ეს სკოლა. არ შემიძლია არ გავიზიაროთ კახეთიდან



ჩამოტანილი ის დიდი სიხარული, რომელიც კახელებს დაეუფლებოდა ბატონ ვია არსენიშვილის სახელმწიფო მინისტრად დანიშვნის გამო. ზღვა არ აქვთ კახელებს და ზღვა შექმნეს ამ სიხარულით.

გმადლობთ და ვილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

გურამ მაღლაკელიძე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის ყოფილი მოადგილე:

ბატონო პრეზიდენტო,

ჩვენ, ვინც აფხაზეთში ომის დროს თქვენს გვერდით ვიდექით, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ყოველი თქვენი დღე აფხაზეთზე ფიქრით იწყება და მთავრდება. სწორედ ამიტომ ჩვენ შინაგანად მზად ვართ შევასრულოთ მთავარსარდლის ბრძანება, მაგრამ არ ვიქნები მართალი და პირველ რიგში, საკუთარი თავის წინაშე, რომ არ ვთქვა, ის რასაც ვფიქრობ, სანამ არსებობს მცირეოდენი შანსი პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა, საქართველოს არა აქვს უფლება არ გამოიყენოს ეს შანსი.

გმადლობთ.

კარლო მეგრელიშვილი - საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ქ. თბილისის საპატო მოქალაქე:

ბატონო პრეზიდენტო,

საქართველოს ომის გეტერანები უდიდესი მადლიერებით აღნიშნავენ იმ დიდ დახმარებას, რომელსაც თქვენ იმენტ ჩვენს მიმართ. უზარმაზარი დატვირთვის მიუხედავად, თქვენ მაინც პოულობთ დროს დახმარების ხელი გამოგვიწოდოთ და ჩვენ მადლიერები ვართ ასეთი თანადგომისათვის.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მე მთავრობის ბევრი ჯილდო მაქვს მიღებული, მათ შორის საბრძოლო ორდენებიც, მაგრამ ამ ჯილდომ, რომელიც დღეს თქვენ ვადმოძეცით, ძალიან ამაღელვავა.

დიდი მადლობა, ვისურვებთ წარმატებებს და კიდევ დიდხანს ჩვენი სამშობლოს წინსვლის საქვსთან დგომას.

გენრი (გენა) მურადიანი - საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარე:

ბატონო პრეზიდენტო, მინდა დიდი მადლობა გითხრათ ასეთი დაფასებისათვის. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ეს არა მარტო ჩემი დაფასებაა, არამედ საქართველოს მთელი სომხური მოსახლეობის, რომელიც იყო, არის და მუდამ თქვენს გვერდით იქნება.

ვილოცავთ სვალინდელ დღეს და მინდა გითხრათ, რომ სვალ მთელს ვაგანეთში დიდი სუიებით აღინიშნება ეს მნიშვნელოვანი თარიღი.

გმადლობთ.



ნაზიკო (ნანა) ჭოლოშვილი - სააქციო საზოგადოება "რეჟისორი"
თული ფილმის რეჟისორი:

ქალბატონებო და ბატონებო,

მინდა გითხრათ, რომ დღეს ქართული კინო გადაარჩა. სუთი წლის წინ, როცა ქართული კინო უდიდეს გაჭირვებაში ჩავარდა, ბატონი პრეზიდენტი მოვიდა ჩვენთან, გვთხოვა, ცოტა მოითმინეთ, გაუძლიეთ, ფარ-ხმალი არ დაყართ და მეც თქვენს გვერდით ვიქნებო. დღეს კი რა მოხდა, ჩვენ ფესზე დავდექით, 14 ფილმი უკვე გაკეთდა, აქედან ოთხმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სხვადასხვა ფესტივალებზე. პირადად მე, დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, თუ რამეს ვაკეთებ, ეს ბატონი ედუარ შევარდნაძის დამსახურებაა. პირველად ცხოვრების კარი 1956 წელს გამიღო და იმის შემდეგ ბრძოლით მოვდივარ, მაგრამ არ შემირცხენია თქვენი სახელი, ზედმეტად არაფერი გამიბედა და ახლა კი ვბედავ გითხრათ, რომ დიდხანს სიცოცხლე მინდა თქვენი და ყველას თანდასწრებით გაძლევეთ პირობას, რომ მე, ნანა ჭოლოშვილი 2005 წელს გადავიღებ დოკუმენტურ ფილმს ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტის ცხოვრებაზე. მე მჯერა, რომ ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, ოღონდ ვიართთ იმ გზით, როგორც უნდა ბატონ ედუარდს, საქართველოს ახალგაზრდობას და იმ რეფორმატორთა ჯგუფს, რომლებსაც მე ვეთავყვანები. იცოცხლეთ და იბედნიერეთ საქართველოს საკეთილდღეოდ.

რონა ურუშიაძე - ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის № 2 გიმნაზიის ინგლისურის ენის მასწავლებელი:

ძვირფასო საზოგადოება,

როდესაც სამხედროები ჯილდოს იღებენ, ისინი ბასუნობენ: „ვემსახურები სამშობლოს“, მეც მინდა გავიმეორო ეს სიტყვები და გითხრათ, რომ ვემსახურები ჩემს სამშობლოს. ჩემთვის ჩემი სამშობლო, ჩემი ხალხი და პრეზიდენტი განუყოფელია და რადგან ჩვენი პატარა საქართველო ჩვენი სინარული და იმედია, მინდა ჩემს ძვირფას ხალხს და ჩემს საყვარელ პრეზიდენტს ვუსურვო დღევანდელი ბა, ჯანმრთელობა და ბედნიერება. იცოცხლეთ დიდხანს, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და მჯერა, რომ კარგი მომავალი გარანტირებული გვექნება.

გილოცავთ სვალნიდელ დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. სვალ ფოთში ტარდება „ფაზისობა“, თქვენ ალბათ ვერ ჩამოხრძანდებით და ჩვენს ზემის ალბათ ელფერი დაეკარგება, მაგრამ დიდ მადლობას გინდით ყველაფრისათვის, იცოცხლეთ და იდღეგრძელოთ.

ედუარდ შევარდნაძე:

ძვირფასო მეგობრებო,

პირველ რიგში, გილოცავთ ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს,



გისურვებთ, რომ ყოველ თქვენგანს სულ მოკლე დროში ენახოს გამთლიანებული და წელში გამართული საქართველო. თქვენ მხარდაჭერით, ჩვენი მოსახლეობის ნდობით ჩვენ ძალიან მოკლე დროში, ისტორიულად მოკლე დროში შეუძლებელი შევძელით და როგორც არაერთხელ მითქვამს, რამდენიმე წელიწადში დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო შევქმენით, რომელსაც აქვს თავისი კონსტიტუცია, დემოკრატიული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები და ეს არის ჩვენი სახელმწიფოს საფუძველი. ჩვენ კიდევ უმთავრესი ამოცანა უნდა გადავჭრათ, ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ის უნდა აღვადგინოთ ჭკუით, გონებით, გამოცდილებით და სიმართლის რწმენით, სიმართლე ჩვენს მხარესაა და ჩვენს მხარესაა მთელი მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნები. თქვენ გახსოვთ ალბათ, ბალკანეთის მოვლენები, მსოფლიომ აღარ მითმინა ის, რასაც არასტაბილურობის კერებს არსებობა ჰქვია. ცოტა ხანიც და, დარწმუნებული ვარ, რომ იგივე მსოფლიო თანამეგობრობა ჩვენთან ერთად გაცილებით მეტს გააკეთებს იმისათვის, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს და საქართველო განდეს ერთიანი და ძლიერი ქვეყანა.

მიმაჩნია, რომ ყოველგვარი ჯილდო და შექება ადამიანებისათვის არის ერთგვარი ავანსი, თუმიცა თქვენ დამსახურებული გაქვთ კიდევ უფრო მეტი შეფასებაც. ის, რაც თქვენ ბრძანეთ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, მე ძალასა და ენერჯიას მმატებს, სტიმულს მაძლევს იმისათვის, რომ ვიბრძოლო ჩვენი ქვეყნის ძლიერების, მთლიანობისა და იმ ფასეულობებისათვის, რომლებიც სახელმწიფოს აყვავების საფუძველია. მე მჯერა საქართველოს დიდი მომავლისა. აქ ზოგიერთებმა ბრძანეთ, რომ თქვენ სწორი არჩევანი გააკეთეთ და მართლაც სწორი არჩევანი გაგაკეთე რამდენჯერმე. ჩვენი ცხოვრებისათვის პრინციპული მნიშვნელობისა და მაშინაც, როცა საქართველო აღდგებულ კუბრს ჰგავდა და მე ჩემს სამშობლოში, ჩემს ქვეყანაში ჩამოვედი. მას შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა, დღეს ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელსაც ანგარიშს უწევენ მთელს მსოფლიოში. თუმიცა ისიც ძალიან კარგად მესმის, რომ თითოეულ თქვენგანს აქვს დიდი ტკივილი, და არა მარტო თქვენ, საერთოდ ჩვენს ხალხს, სიღარიბე და სიღატაკე ჯერ კიდევ არის ჩვენი ქვეყნის მთავარი სატკივარი სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად. გაუცქმელი ხელფასები, გაუცქმელი პენსიები, დახმარებები, მაგრამ მჯერა, რომ ამ უმძიმეს გამოცდასაც გავუძლებთ და ამას დიდი დრო არ დასჭირდება. უნდა გავუძლოთ და უნდა გამოვძებნოთ იმის რესურსები, რომ საქართველომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანა გადაწყვიტოს. ამიტომაც ვამბობ, რომ როცა ჩვენმა ხალხმა საქართველოს პრეზიდენტს და მის მხარდამჭერებს ხმა მისცა, ამით გამოხატა ის რწმენა, რომ ჩვენი ქვეყანა უახლოეს წლებში გახდება ეკონომიკურად, ფინანსურად გამართული სახელმწიფო და ყველა დარგს, ყველა სფეროს მივსწავ-



დავთ. თქვენ გახსოვთ, ჩემს საპრეზიდენტო პროგრამაში ვეწინააღმდეგებოდი ამოცანად დავასახელე სილატაკის დაძლევა. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ მესამე ათასწლეულში დაგვარვით ის ტრადიციები, რაც საუკუნეების მანძილზე მოვიბოვეთ, თუნდაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში, განათლება ყოველთვის იყო ჩვენთვის პრიორიტეტი. მე ბევრი რამ შეგვიბრდი ჩემს ხალხს ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის, ახალგაზრდობის აღზრდის და ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. ახლა ზოგიერთს უკვირს, რატომ აიძალღეს ხმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ცალკეულმა ინსტიტუტებმა, ახალგაზრდებმა იმის წინააღმდეგ, რომ სადღაც, რომელიღაც ჟურნალისტს საფრთხე დაემუქრა, ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცი დაურეკეს თუ არ დაურეკეს, მაგრამ თავისთავად, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პროტესტი გამოიწვია ასეთმა ფაქტმა. თუ თავისუფალ პრესას, სიტყვის თავისუფლებას, ბიროვნების თავისუფლებას რაიმე ემუქრება, მაშინ ხალხი მშვიდად ვერ იქნება. სულაც არ მინდა გავიცნო ისინი, ვინც ქუჩაში გამოვიდა იმისათვის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მსგავსი ფაქტები არ დაუშვას, საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს უმთავრესი გარანტი ბიროვნების თავისუფლებისა, სიტყვის თავისუფლებისა და არა მარტო ჟურნალისტებს უნდა იცავდეს, არამედ ყველა მოქალაქეს, მათ შორის მოხელეებსაც, ჩვენი კონსტიტუციის და ჩვენი კანონების ფარგლებში.

დღევანდელ გამოსვლაში მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივესალმო პედაგოგებს. მე ვიცი, დღეს სტუდენტობაში ძალიან საინტერესო მოძრაობა დაიწყო, შეიქმნა სტუდენტური თვითმმართველობითი ასოციაციები, ახალგაზრდობას სურს აცოდეს რა ხდება თავის უმაღლეს სასწავლებლებში, რა ბედი ელის დამთავრების შემდეგ, როგორ უნდა გაუმჯობესდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და სურს მხარში ამოუდგეს თავის პედაგოგებს იმ საქმეში, რასაც სწავლა-აღზრდის გაუმჯობესება ჰქვია. ჩვენ უნდა მოვუწონოთ და ყოველმხრივ მხარში ამოვუდგეთ მათ, რათა XXI საუკუნის მოქალაქეები იყვნენ განათლებულები, სამშობლოზე უსომოდ შეყვარებულები და ამავე დროს, კარგად უნდა იცოდნენ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები, იყვნენ გაბედული დამცველები ჩვენი ხალხისა და თავისუფლებისა. ამიტომ დღეს უნდა შევეგუოთ ზოგიერთ უცნაურ გამოვლინებასაც კი, რადგან ჩვენ თავისუფალ საზოგადოებაში, დემოკრატიულ ქვეყანაში ვცნობრობთ და ის, რაც უკვე მოვიბოვეთ და რასაც მომავალში მოვიბოვებთ, ძალიან გასაფრთხილებელია, რომ საქართველომ თავისი სახელი, თავისი ავტორიტეტი კიდევ უფრო აიძალღოს მთელი მსოფლიოს თვალში. ეს კი ჩვენს დღევანდელ და მომავალ თაობებს გამოადგებათ.

დიდი მადლობა თქვენი შრომისათვის, თქვენი მოღვაწეობისათვის, იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც აღმომიჩინეთ და იმ სურვილებისათვის, რომელიც აქ გამოთქვით. ვისურვებთ წარმატებებს.

2000 წლის 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა
ქედარდ უფვარდნაძემ ღირსების ორდენი გადასცა:



თბილისის ვაკის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს, ანალოგურა
ქალთა პრობლემების კვლევის ცენტრის სააპტიო თავმჯდომარეს
ქეთევან ქუთათელაძეს



საქართველოს საგარეო ურთიერთობების თავმჯდომარეს,
რომელსაც ხუტა ბერუღაძეს.



2000 წლის 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა
 ქვეყნის უმაღლესი დიპლომატიური რაიონის მდიანი გიორგი



სოციალური დაცვისა და დემოკრატიის საქართველოს საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარეს დალილა (დალი) გოჭოშას



უფლებული პესუსისმეგობრობის საზოგადოება «თბილისის პრეზიდენტის საქართველოს პირუთის» ვენერაღურ დირექტორს ტყენიკის მენეჯერებთან კანდიდატს თეიმურაზ ხორეშვილიძეს.

2000 წლის 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა
ქაჯარა შუკარდნაქა ღირსების ორდენი პაღასცა:



თბილისის ონის რაიონის ქალთა სავაქოს თავაჯღოქაქაქა მანანა
გონაღმეშვილს



მეცნიერ-პრაქტიკოს კომედიკოს ასოციაციის პრეზიდენტს,
სავაქულ ქაქაქარტს გიორგი (გია) ნაღარეშვილს.



2000 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს
 ელვარდ შვეარდნაძემ დირექტორის თანდანი ბადასტაძის
 კვლევითი ცენტრი



ელვარდ შვეარდნაძის დირექტორის თანდანი ბადასტაძის კვლევითი ცენტრის
 დირექტორის თანდანი ბადასტაძის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კან-
 დიდატს მერი შვილაშვილს



სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საქართველოს სახ-
 ელმეცნიერო-საწარმოო გაერთიანება «ვიზნის
 კვლევითი» გენერალურ დირექტორს, საქართველოს კულტურის
 დამსახურებულ მუშაკს რეჟან ღლონტს.



ეროვნული
სარეგისტრაციო
სამსახური

2000 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა ერთხელ შეკრებილი
სახელმწიფო ორგანოები გადამსცა დაჯილდოვებულთ,
დაჯილდოვების ცერემონიის შემდეგ გადარეგულიმ შობილსაში.

საქართველოს პრეზიდენტის

ბანკარბუღალა

№ 523

2000 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

**დ. ჯიფიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების
შესახებ**

საქართველოში ფეხბურთის განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში, ახალ-გაზრდა თაობისა და მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა აღზრდაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი საწვრთნელი საქმიანობისა და მაღალი სპორტული მიღწევებისათვის ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **დავით ყიფიანი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შვეარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის

ბანკარბუღალა

№ 526

2000 წლის 30 მაისი

ქ. თბილისი

**საქართველოს პროკურატურის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა
და მედალით დაჯილდოების შესახებ**

ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს პროკურატურის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედალებით:

ღირსების ორდენით:

ნოდარ აბულაშვილი - ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მთადგილე, იუსტიციის მრჩეველი

ამირან ვერულიძე - ბათუმის რეგიონული სამხედრო პროკურორი, იუსტიციის პოლკოვნიკი

ტრისტან მეტრეველი - ყვარლის რაიონის პროკურორის თანამემწე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

ლაზარე სენიაშვილი - საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი

ლევან ქუთათელაძე - საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციულ პოლიციაში მოკვლევის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

ილია დადალაძე - საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურატურის ორგანოებში სისხლის სამართლის დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

ალექსანდრე ციციაშვილი - საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურატურის ორგანოებში სისხლის სამართლის დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

ვოდვანი ძიმისტარაშვილი - საქართველოს გენერალური პროკურატურის პოლიციაში მოკვლევისა და თერატიულ-სამშებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის მრჩეველი



რამაზ ხმალაძე - საქართველოს გენერალური პროკურატურის მინაგან-საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლის დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

დავით ჯინჯოლაძე - საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

ღირსების შედღით:

ზურაბ ზურაბაშვილი - საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და კონტროლის განყოფილების უფროსი, პირველი კლასის იურისტი

გახტაგ ვარაზაშვილი - საქართველოს გენერალური პროკურატურის მინაგან საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლის დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი

გიორგი მარტინოსოვი - საქართველოს გენერალური პროკურატურის მინაგან საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლის დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი

ამირან შამათაძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

კიაზო ჭანტურია - საქართველოს გენერალური პროკურატურის პოლიციის მიერ კორუფციისა და ნარკოზონების მოკვლევაზე შედამხედველობის განყოფილების უფროსი პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი

ნათელა ჯინჭარაძე - ქობულეთის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 527

2000 წლის 30 მაისი

ქ. თბილისი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მუშაკთა
ღირსების მიმართ დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში, სამკურნალო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილი-სათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მუშაკებს დაჯილდოვდნენ ღირსების შედღით და გამოეცხადათ მადლობა:

ღირსების შედღით:

ბავლე შუაგანაძე - შუახევის რაიონის ზამღეთის ფტიზიო-პულმონოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი

თეიმურაზ პეშკოვი - ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ანესთეზიოლოგ-რეანიმაციული განყოფილების გამგე.

გამოეცხადათ მადლობა:

როლანდ დიდმანიძე - ხელვაჩაურის რაიონული საავადმყოფოს დირექტორს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს

ეთერ კვამელიძე - შუახევის რაიონული საავადმყოფოს ბუბია-ქალს

თამაზ ხმალაძე - ხულოს მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

ე. შვეარდნაძე



**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 528

2000 წლის 30 მაისი

ქ. თბილისი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგის
მუშაკთა ღირსების მემკვიდრეობით დაჯილდოებისა და წახალისების
შესახებ**

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შრომითი საქმიანობისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკები დაჯილდოვდნენ ღირსების მედლით და გამოეცხადათ მადლობა:

ღირსების მედლით:

- იზოლდა ახვლედიანი** - ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს საფინანსო ეკონომიკური, საბუხუძალტრო აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი
ბატონო ნოდარ, სიამაყით და სიამოვნებით მოვაწერე ხელი ამ განკარგულებას. თქვენ ხართ გამორჩეული რჩეულთა შორის, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს შექმნაში, მისი ამოუწურავი ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენაში მართლაც განსაკუთრებული როლი შეასრულა. მიუხედავად გადატანილი უბედურებისა, თქვენ დღესაც ქვეყნის თავისუფლებისა და ახლებურად მოწყობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ხართ. მჯერა მრავალი და მრავალი წლის მანძილზე ასეთივე დარჩებით.

ღრმა პატივისცემით,

ვლადიმერ

ვ. ა. ავალოვა

ედუარდ შევარდნაძე



ელზარდ შევერდინაძე:

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ნოდარ ამაღლობელი საქართველოში წამყვანი მეცნიერია ბრთვეული ფიზიკის დარგში. მას 100-ზე მეტი ფუნდამენტური ნაშრომი აქვს, რომლებმაც დიდი რეზონანსი მიიღეს საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მან აღზარდა მთელი თაობები ახალგაზრდობისა, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ მის საქმეს და ემსახურებიან საქართველოს მეცნიერებას.

ბატონ ნოდარს განსაკუთრებული დებაწლი მიუძღვის ახალი საქართველოს მშენებლობაში, მას შესანიშნავად ესმის, რომ ჩვენ თითქმის გაუკვაღავი ვხით მივდივართ, ამიტომ გარდაუვალია ცალკეული შეცდომები და ის გასაჭირი, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება ბოლო წლების მანძილზე. მინდა ამასთანავე ავღნიშნო ისიც, რომ ბატონი ნოდარი კარგად ხედავს ჩვენი ქვეყნის აწმყოს, მის მომავალს და მიაჩნია, რომ იმ კურსს, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად ავირჩიეთ და რომელსაც დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის ვზა ჰქვია, ალტერნატივა არ გააჩნია.

ბატონი ნოდარი არის კომუნიკაბელური და დიდი მოთმინების მქონე ადამიანი, რომელიც შესანიშნავად თანამშრომლობს თავის კოლეგებთან პარლამენტშიც. მინდა ავღნიშნო, რომ რა დონითაც დღეს წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტი, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ დიდ მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს.

ბატონო ნოდარ, მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისათვის და ყველაფრისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ. დღეს აქ საზეიმო განწყობილებაა, მაგრამ არ შემიძლია არ გაგახსენო თქვენი ვაჟი, შესანიშნავი, უნიჭიერესი ახალგაზრდა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას შეეწირა. ჩვენ ყველამ გულთან მივითანეთ და განვიცადეთ ეს უბედურება. მინდა განვაცხადო, რომ ჯილდო, რომელიც დღეს ბატონ ნოდარს ჩავაბარე, ნაწილობრივ მის ვაჟსაც ეკუთვნის.

დიდი მადლობა მობრძანებისათვის, მინდა ჯანმრთელობა და წარმატებები გისურვოთ და განსაკუთრებულად ავღნიშნო თქვენი მუუღლის უდიდესი თანადგომა როგორც თქვენდამი, ასევე ჩვენი საერთო საქმის მიმართაც. კარგი იქნებოდა თქვენი მუუღლეს დღეს აქ ყოფილიყო და პირადად გადამეცა ჩემი პატივისცემა.

ნოდარ ამაღლობელი - საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი:

ჩემთვის უდიდესი პატივია ჯილდო მივიღო იმ პიროვნებისაგან, რომელმაც ერთ-ერთმა განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიოს გან-

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 867 2000 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

მ.ოსიპის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ხის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეურნეო და საქველმოქმედო საქმიანობისათვის სააქციო საზოგადოება ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორი **მიხეილ ოსიპე** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 868 2000 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

პ.პერშელიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზის შესწავლასა და მის ეკონომიკურ შეფასებაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული „წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ უფროსი **გიორგი კერესელიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 869 2000 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

პ.კილაძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ახალი ტიპის კატარღების მშენებლობის პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვაში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი ორგანიზაციული საქმიანობისათვის ბათუმის გემთსაშენი ქარხნის საამქროს უფროსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის დამსახურებული მუშაკი **ვასილ კილაძე** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 870 2000 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

ო.ნაზლიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ერთგნებათაშორის ურთიერთობის განვითარებაში, ქართველ და ბერძენ ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ბერძენთა კავშირის საბჭოს წევრი **ივანე ნაზლიძისი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე



ქართული
ბიბლიოთეკა

2000 წლის 22 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა პლემარ უშვარჯიამ
ლიტვინის მრავალგანზომილებიანი მნიშვნელობის კვლევის კვლევების, საქართველოს
სახელმწიფო არქივის დირექტორს დიმიტრი ლომოვიძეს გადასცა.



საქართველოს კრედიტის
ბანკისგან

N 877 2000 წლის 8 აგვისტო ქ. თბილისი

მ. ხეთაგურის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი ლიტერატურული, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ვ.მაიაკოვსკისა და შიო მღვიმელის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი პოეტი მზია ხეთაგური დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

მ. შვეპარდნაძე

მ. შვეპარდნაძე

*მუხომედი ქ-ის ძმად,
ხვი სოლონი.
მ. შვეპარდნაძე*

ბატონო პრეზიდენტო!

მადლიერების გრძნობით აღვიქვი თქვენს მიერ ჩემი ღირსების ორდენით დაჯილდოება. გადმომცეს თქვენი გულთბილი მილოცვა ამასთან დაკავშირებით, რისთვისაც უდიდეს მადლობას მოგახსენებთ. ჩემს მოვალეობად ვთვლი, კვლავაც მთელი ენერგიით ვემსახურო ჩვენი ქვეყნის მწვერლობასა და კულტურას.

აქვე თავს ნებას ვაძლევ და გამოვთქვამ ჩემს დამოკიდებულებას თაყად ჯილდოსადმი, რომელიც თაყისთაყად გულისხმობს პასუხისმგებლობისა და ღირსების გრძნობას.

საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების გამო საქართველოში თითქმის ათეული წელია, უძძიმესი მდგომარეობაა შექმნილი, რამაც სრულიად ამოაგდო ადამიანი ადამიანური ცხოვრების კალაპოტიდან, თითქოს ჩვენი ძვირფასი ქვეყანა ბედის ანაბარა დარჩა. სიდუხჭირემ და სტრესებმა ადამიანებისგან ძალების მაქსიმალური დაძაბვა მოითხოვა. მაგრამ, მიუხედავად საყოველთაო გაჭირვებისა, უმრავლესობას ესმის შექმნილი სიტუაციის გამომწვევი მიზეზები და ცდილობს, ღირსეულად გაუძლოს მძიმე მდგომარეობას. ამაზე ხშირად მიფიქრია, და ახლა, როდესაც მერგო პატივი - მიმელო მართლაც და უმაღლესი ჯილდო - ღირსების ორდენი, უეცრად მივხვდი, რომ ამ ჯილდოს ღირსი საქართველოს მთელი მოსახლეობაა და ჩემს თავსაც ამ მოსახლეობის ნაწილად ვთვლი.

ბატონო ედუარდ! კიდევ ერთხელ ვისდით მადლობას, ვისურვებთ ჯანმრთელობას და თქვენი შორსმჭვრეტელი პროგრესული მოღვაწეობით ჩვენი ქვეყნის წარმატებას. რაც მთავარია, ვისურვებთ კვლავაც ადამიანების თქვენდამი ნდობას და ამ ნდობის გამართლებების დასტურს საქართველოს მომავალ ისტორიაში.

ღრმა პატივისცემით,

მზია ხეთაგური

მზია ხეთაგური



**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 882

2000 წლის 10 აგვისტო

ქ. თბილისი

**ა. შიუკაშვილის ღირსების მედლით დაჯილდოების
შესახებ**

საბიბლიოთეკო საქმიანობისა და წიგნის პროპაგანდის ორგანიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გურჯაანის ცენტრალური ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი ეკატერინე შიუკაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 889

2000 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

**ა. ღუშუბაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების
შესახებ**

საქართველოში სამშენებლო მექანიკის განვითარებაში და სპეციალური დანიშნულების კონსტრუქციების თეორიულ კვლევებში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავმშენებლობის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი ღუშუბაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 890

2000 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

**ჯ. ბუღუაშის, ბ. შურაღულიას, ჯ. მხეიძის, ი. შიუკაშვილის და პ. ჭანტუნიას
ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სამშენებლო სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის, ჯანდაცვისა და კომუნალური მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ინჟინერ-მშენებლები:

- ჯუმაბერ გულუა** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქ-წყალკანალი“ მთავარი ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი
- ბიძინა შურაღულია** - მშენებლობის სახელმწიფო პროექტების სახელმწიფო ექსპერტის მთავარი სამმართველოს გენერალური დირექტორი
- ჯუანშერ მხეიძე** - საქართველოს დამსახურებული ინჟინერი
- იური შიუკაშვილი** - საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის მოადგილე
- პეტრე ჭანტურია** - საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 891 2000 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის სამხედრო
მოსამსახურეების ვეღლით «საბრძოლო დასახსურებებისათვის»
დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები, რიგითუბი ზაქარია გოგანი, ვიქტორ იოსავა, რამინ ნაკანი, მურად ჩხეტიანი, ნუკრი ხარბუღია და თმიკო ხუნწარია დაჯილდოვდნენ მედლით „საბრძოლო დასახსურებისათვის“ (სიყვდილის შემდეგ).

ქ. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 892 2000 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

მ.სალუქვაძის ღირსების ვეღლით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების კოლეჯის ხონის ფილიალის დირექტორი შაყვალა სალუქვაძე დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ქ. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 896 2000 წლის 13 აგვისტო ქ. თბილისი

შ.მონტანტინოვსკის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებაში, ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მთადგვილე, საქართველოს დასახსურებულ ეკონომისტი შომა კონსტანტინოვსკი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარგულება**

№ 897 2000 წლის 13 აგვისტო ქ. თბილისი

მ.თოფჩიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში გეოლოგიის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ალ.ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შირიან თოფჩიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 898

2000 წლის 13 აგვისტო

ქ. თბილისი

**მ.გაგოშიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების
შესახებ**

ფილოსოფიური მეცნიერების განვითარებაში და სტრუქტურული ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ გაგოშიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 899

2000 წლის 13 აგვისტო

ქ. თბილისი

**მ.ჭაბაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების
შესახებ**

საბანკო-საფინანსო ორგანიზაციაში მუშაობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და რაიონის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის ლაგოდეხის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე ელგუჯა ჭაბაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 913

2000 წლის 17 აგვისტო

ქ. თბილისი

**რ.ბილიძის, ა.ოვახიძისა და ხ.ბილიძის დაჯილდოების
შესახებ**

საქართველოში მეცხოველეობის დარგის განვითარებაში, რთულ კლიმატურ პირობებში თუშური ჯიშის ცხვრის შენარჩუნებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ახმეტის რაიონის სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკები:

ღირსების ორდენით:

რუბენ ბილიძე - შეხლეუელი პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქვემო ალვანის“ მეცხოველეობის ბრიგადის ბრიგადირი

ალიოშა თმაიძე - სოფელ ზემო ალვანის მეცხოველეობის სანაშენე სახაზინო მეურნეობის მეცხვარეობის №1 ბრიგადის ბრიგადირი.

ღირსების მედლით:

სანდრო იდიძე - სოფელ ზემო ალვანის მეცხოველეობის სანაშენე სახაზინო მეურნეობის მეცხვარეობის №2 ბრიგადის მწყემსი.

ე. შვეარდნაძე



საქართველოს კრეზიდენტი

ჩემო მეგობრებო, თუშებო,

უნდა მაპატიოთ მოუცლელობის გამო მთაში ამოუსვლელობა. დამიჯერეთ, მთელი გულით და სულით თქვენს გვერდით ვარ, ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ ულა-მაზეს კუთხეს და ხალხს, რადგან მწამს, მთის სიწმინდეს, სიღიადეს და სიღამაზეს დიდი როლი მიუძღვის ჩემი ხალხის ისტორიული თავისთავადობის შენარჩუნებაში.

ახალი საქართველოს მშენებლობის გზაზე მთამ თავისი განსაკუთრებული სიტყვა უნდა თქვას. საამისოდ მას ტურიზმის განვითარების განსაკუთრებული პოტენციალი და, საერთოდ, ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი სიმდიდრე აქვს. მსოფლიომ უნდა ნახოს ეს ღვთის ბოძებული სიღამაზე. ღოვლა-პატრონობა სჭირდება მთას, და ჩვენც, მეგობარ სახელმწიფოებთან ერთად ვფიქრობთ სერიოზული პროექტების განხორციელებაზე. ამის ნათელი დადასტურებაა თუშეთის ეროვნული პარკის შექმნის იდეა, რომელიც სულ მალე რეალობად იქცევა. მწყემის დღე და განსაკუთრებით გასული წელი, ჩემთვის თილისმასავითაა და მასზე ფიქრი ყოველთვის არაჩვეულებრივი სითბოთი მავსებს.

დებო, ძმებო და შვილებო, გჯეროდეთ უკეთესი მერმისის და, როგორც არაერთხელ, დღესაც ამაყად და მხნედ იდეებით საქართველოს საკეთილდღეოდ.

დიდი სიყვარულით,

თქვენი ელუარდ შევარდნაძე

2014 წ. 3. 3



არჩილ ბერიძე - საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, **თენგიზ ბერიძე** - ს. დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ნუკლეინის მუცხვების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **თამარ ბელინსკაია** - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის პროფესორი, **ზიგბეგ (ზიგი) ბიბილაიშვილი** - აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინის და მუან-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ვანტანგ ვაგოძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, **დემურ ვადელია** - საქართველოს პარლამენტის წევრი, **ვალერიან გუგუნაშა** - თბილისის მერიის კონსულტანტი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, **ზაზა დარბასელი** - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის თავმჯდომარის მოადგილე, ტელეკომპანია „მეორე არხის“ გენერალური დირექტორი, **შოთა დევდარიანი** - საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის დამსახურის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსი, **გიზო დოლიძე** - მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების სამეცნიერო-კვლევითი, საბროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, **ივანე ზოდელაშვილი** - თბილისის მერი, **მაღნაზ თავართქილაძე** - ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ წევრი, საქართველოს სახალხო არტისტი, **გურამ თოფურია** - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **ვივი თოხაძე** - საქართველოს დამსახურებული არტისტი, **ავთანდილ იოსელიანი** - საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დებარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი, **ზურაბ კობახიძე** - საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის მდივანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, **ჯიბო ლომიშვილი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარე**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, **ლია ლომიძე** - საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობის წევრი, **დურმიშან ლორია** -



საქართველოს დამსახურებული იურისტი, **ლუარსაბ მანათაძე** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ.გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი-კონსულტანტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, **მადონა მგელაძე** - საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი, **მინეილ მჭედლიძე** - საქართველოს ტელევიზიისა და რადიომავწყებლობის განკეთ „2X2“-ის მთავარი რედაქტორი, **ზაალ ნაცვალაძე** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აღმშენებლობის“ გენერალური დირექტორი, **პეტრე ნეტყანავი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **თამაზ სეფერთელაძე** - ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ წევრი, საქართველოს სახალხო არტისტი, **ალექსანდრე სლოვინსკი** - ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მთავარი მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საქართველოს სახალხო მხატვარი, **ბიძინა სონდულაშვილი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილმეტროშენის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, **თამაზ ტატიშვილი** - საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე, **შოთა ტყეშელაძე** - თბილისის დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო აკადემიის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის პროფესორი, **მანონი ქირთაია** - ბორჯომის საერო ინსტიტუტ „თორის“ რექტორი, პროფესორი, **ზეზუა დულუნიშვილი** - საქართველოს პარლამენტის წევრი, **რევაზ შავიშვილი** - საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, **შოთა ჩართოლანი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონალური განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, **ნანა ჩაჩაია** - სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ლალიძის“ მთავარი ტექნოლოგი, **ლვილა ჩქარეული** - ქ. თბილისის სამგორის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, **თეიმურაზ ჭანტურიშვილი** - მწერალი-პუბლიცისტი, **ივერი ჭვლიძე** - საქართველოს პარლამენტის წევრი, **ოთარ ჭიბაშვილი** - თბილისის მერიის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი, **მზია სეთაგური** - პოეტი, ვ. მაიკოვსკისა და შიო მღვიმელის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი, **თენგიზ ჯაფარიძე** - საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, **გიორგი ჯგებენავა** - აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინის და შენ-ვინე-კოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ნანა ჯოლია** - თბილისის № 21 სამუსიკო სკოლის დირექტორი.



ივანე ზოდელავა - ქ. თბილისის მერი:

ბატონო პრეზიდენტო,
 ქალბატონებო და ბატონებო,
 ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ასეთი მაღალი დონის
 მიღება. ბირადად ჩემი, ჩემი კოლეგებისა და მეგობრების სახე-
 ლით მადლობას მოგახსენებ ბატონ პრეზიდენტს, დედაქალაქის
 მოსახლეობას და დარწმუნებული ვარ, რომ როგორც მიმდინარე,
 ასევე მომავალი წლებიც დედაქალაქის ისტორიაში იქნება
 აღმშენებლობის წლები.
 გმადლობთ.

**ავთანდილ იოსელიანი - საქართველოს დაზვერვის სახელმ-
 წიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი:**

ბატონო პრეზიდენტო,
 ქალბატონებო და ბატონებო,
 დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემი მოკრძალებული წვლილის
 ასეთი დაფასებისათვის. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გან-
 ვაცხადო, რომ სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტი აქტიურ
 მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის
 აღდგენაში და დაიცავს მას გარეშე მტრისაგან.
 გმადლობთ.

მადონა მგელაძე - საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი:

ბატონო პრეზიდენტო,
 უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ასეთი მაღალი დონის
 თვის. ეს დიდი განსაკუთრებით დიდი პატივია ჩემთვის, რად-
 გან მე უკვე გაუიარე აქტიური მოღვაწეობის გზა. ახლა ვემსა-
 ხურები ჩემს ოჯახს და მასთან ერთად ვმოღვაწეობ საზოგა-
 დობრივ ორგანიზაციაში. მე ბედნიერი ვიქნები, თუ შექნება შე-
 საძლებლობა გამოვავლინო ჩემი ნიჭი და უნარი ჩვენი ხალხისა
 და ქვეყნის საკეთილდღეოდ.
 დიდი მადლობა.

**ჯიბო ლომაშვილი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
 ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინს-
 ტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერე-
 ბათა კანდიდატი, ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარე:**

ბატონო პრეზიდენტო,
 უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემი ღირსების ორდენით

დაჯილდოებისათვის.

ორიოდე დღის წინ თიანეთში ვიყავი და იქ წავიკითხე თქვენი შესანიშნავი წერილი თიანეთის მოსახლეობისადმი. მადლობა ბატონო პრეზიდენტო იმისათვის, რომ თიანეთს მთებში ჩასმული მარგალიტი უწოდეთ.

ვაჟა-ფშაველას საზოგადოების სახელით მოგესალმებით, მადლობას მოგასხენებთ და ვაჟა-ფშაველას სიტყვებითვე მინდა მოვმართოთ: „ნეტავი თქვენისთანები, კიდევ გაზარდოს დედამა!“

მე რომ პარლამენტის თავმჯდომარე ვიყო, ეროვნული გმირის წოდებას დავაწესებდი საუკუნეში ერთი ან ორი რჩეული ადამიანისათვის. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ნამდვილად ეროვნული გმირი ბრძანდებით, ჩვენ ყველანი, მეცნიერები, ისტორიკოსები და მთელი საზოგადოებრიობა ვალში ვართ თქვენს წინაშე. მე ისტორიკოსი ვარ და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს არც ერთ მეფეს არ გაუკეთებია ამდენი ასეთ მოკლე დროში. რომელი ერთი ჩამოვთვალო, აბრეშუმის გზა, ტრასკა და კიდევ მრავალი სხვა, რომლებიც იძლევიან იმის გარანტიას, რომ საქართველოს ველარახდროს ვერ დააჩოქებენ. ამაში უდიდესი წვლილი თქვენ მიგიძღვით ბატონო პრეზიდენტო და უღრმესი მადლობა.

მარადეჟამს ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ.
გმადლობთ.

ბეტრე ნეტკაჩევა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი:

ქალბატონებო და ბატონებო,

დღევანდელი დღე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დარჩება ჩვენს მქსნიერებაში. ჩვენ, უმაღლესი სკოლის პედაგოგები ვალში ვართ ახალგაზრდობის წინაშე. ჩვენ ვაღდებულნი ვართ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ სტუდენტთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა, ვასწავლოთ მათ სამშობლოსა და ხალხის ერთგულება.

დიდი მადლობა ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ჯერ კიდევ საკმარისი გვაქვს ენერჯია და ჯანმრთელობა, რომ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა.

გმადლობთ.

ბიძინა სონღულაშვილი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილმეტრომშენის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში:

ბატონო პრეზიდენტო,

დღევანდელი დღე ფრიად მნიშვნელოვანია, 29 აგვისტოს სა-



ქართველოს პრეზიდენტისაგან ჯილდოს მიღება ჩვენს ცხრეწიანულ რებაში ალბათ განსაკუთრებულ მოვლენად დარჩება.

ქვეყნის აღმშენებლობის პროცესებში თბილისის მეტროს მშენებლებმა თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს სადგურ „ვაჟა-ფშაველას“ ექსპლუატაციაში გაშვებით. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე ქალაქის მერის, ბატონ ვანო ზოდელავას უშუალო წელმძღვანელობით შეიქმნა შტაბი, რომლის მუშაობის შედეგები დღეს სახეზე გვაქვს. ვფიქრობ, რომ ამ სასიკეთო საქმეების ბოლომდე მიყვანაა საჭირო. ბატონი პრეზიდენტისაგან დაჯილდოებული აქვს ბატონ ვანოს და ალბათ სადგური „უნივერსიტეტიც“ მალე გაიშვება ექსპლუატაციაში. გმადლობთ.

ნანა ჩახაია - სამრეწველო-საგაჭრო ფირმა „ლალიძის“ მთავარი ტექნოლოგი:

ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა დაფასებისათვის. ეს ჯილდო ჩემი მოკრძალებული პატივისმცემაა მიტროფანე ლალიძის სსოფისადმი, რომელსაც 130 წელი შეუსრულდა. ფირმა „ლალიძის“ ქარხანაში ჩემს კოლეგებთან ერთად 36 წელია თორნიკე ლალიძის წელმძღვანელობით, ვიცავ იმ მონაპოვარს, რასაც ლალიძის წყლები ჰქვია. ჩვენ დაფიცავით ქარხანა ომის დროს შინაური მტრებისაგან, მაგრამ დღეს ლალიძის პროდუქციას ვერ ვიცავთ ფალსიფიკატორებისაგან. 100 წლის წინ მიტროფანე ლალიძემ ეტიკეტზე დააწერა: „ერიდეთ სიყალბეს“. მან ბრძოლა გამოუცხადა სიყალბეს და მოსახლეობას ნატურალურ პროდუქციას აწვდიდა. იმედი გვაქვს, თქვენი ძალისხმევით, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოში ბოლო მოეღება ფალსიფიკაციას და ქართულ ღვინოს, კონიაკს, ჩაისს, ბორჯომს და ლალიძის წყლებს ძველი დიდება დაუბრუნდება. სინარულით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ახლახანს მოსკოვში გამართულ გამოფენაზე ლალიძის წყლებმა ექვსი ოქროს მედალი დაიმსახურა. შევუწყოთ სული ქართული წარმოების აღორძინებას და ვებრძოლოთ სიყალბეს. დიდი მადლობა.

ივანე ჭვლიძე - საქართველოს პარლამენტის წევრი:

ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა მინდა გადავიხადოთ ჩემი წვლილის ასეთი დაფასებისათვის და სვანეთის მოსახლეობის სახელით საქართველოს ინტელიგენციის წინაშე მადლობას მოვახსენებთ იმ თბილი წერილისათვის, რომელიც რამოდენიმე დღის ვაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა და იმ სითბოსათვის, რომელიც საც თქვენ გამოხატავთ სვანეთის მოსახლეობის მიმართ.



დღერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეობად
გმადლობთ.

მზია სეთაგური - ბოქტი, ვ. მაიაკოვსკისა და შიო შავიძე-
ლის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს ქალთა
საბჭოს წევრი:

უღრმესი მადლობა ასეთი ნდობისათვის, ასეთი პატივისათვის.
დღეს, როდესაც ამ დარბაზში შემოვედი, მივხვდი, რომ არც ისე
ცოტანი ვართ ღირსების ორდენით დაჯილდოებულნი და ძალიან
გამეხარდა, რადგან სწორად საპირისპირო მოსაზრებასაც ვისმენ
ხოლმე. ზოგიერთებს სურთ, რაც შეიძლება ნაკლებად ჯილდოვ-
დებოდნენ ღირსების ორდენით, ალბათ იმიტომ, რომ თვითონ გა-
მორჩეულად ჩათვალონ თავი, მაგრამ არ ფიქრობენ იმაზე, რომ
საქართველოში, რაც მეტი ვიქნებით თანამოაზრეები, მით უკე-
თესი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. ჩვენ ვიცით, რა მდგომარეობაა
დღეს საქართველოში, რამ მოიტანა ეს გაჭირვება და საკუთარი
ღირსების გრძნობით, ქვეყნისადმი დამოკიდებულებით, პრეზიდენ-
ტის გვერდით დგომით ვცდილობთ, მომავალში ჩვენმა შვილებ-
მა და შვილიშვილებმა უკეთეს საქართველოში იცხოვრონ. მი-
მანია, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა გაჭირვებას უძლებს, ჩვენი
ხალხი მძიმე პირობებში ცხოვრობს, მაგრამ ესმის შექმნილი
სიტუაცია და ცდილობს გაუძლოს და ფეხზე დადგეს, ჩემი
აზრით, ღირსების ორდენის ღირსია მთელი საქართველო. დღეს
ჩვენს ქვეყანას მეტი შეგნება, მეტი შრომა და მეტი მომავლის
რწმენა სჭირდება და არა ერთმანეთის ლანძღვა-გინება.

დიდი მადლობა ბატონო პრეზიდენტო ასეთი ნდობისათვის.
ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს. ჩვენ საკმაოდ ბევრნი
ვართ და შეგვეცდებით, რომ კიდევ მეტი და მეტი ხალხი
გვყავდეს გვერდით, რათა უფრო მაღალი კულტურის და შეგ-
ნების მომავალი პქონდეს ჩვენს საქართველოს.

გმადლობთ.

თამარ ბელინსკაია - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახე-
ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის
პროფესორი:

ბატონო პრეზიდენტო,

ნება მიბოძეთ, ორიოდ სიტყვით გამოვხატო ჩემი დღევან-
დელი სიხარული. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ საშუალება მაქვს
თვალეებში ჩაგხედო ჩვენს ახალგაზრდობას და დავინახო მათი
სუფთა, ნათელი და იმედით სავსე თვალები.

რამდენიმე დღის წინ მომიტანეს დაბეჭდილი ჩემი ნაშრომი
მეფეთა მეფე დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობის შესახებ
რუსულ, ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და სომხურ



ქართული
ლიბრერი

ენებზე. მინდა ეს წიგნი მოგართვათ თქვენ, საქართველოს პრეზიდენტს, სამშობლოს ღირსეულ შვილს დიდი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით. მე ქართული კულტურა მიყვარს და მეყვარება ყოველთვის.
დიდი მადლობა.

ელუარდ შევარდნაძე:

ძვირფასო მეგობრებო,

ვილოცავთ სამშობლოს ჯილდოს, დამოუკიდებელი საქართველოს ჯილდოს. აქ ესწრება ჩემი თაობის ბევრი ადამიანი, ცოტა უფროსებიცა და უმცროსებიც, რომლებსაც მრავალი ჯილდო აქვთ მიღებული, მაგრამ ის სხვა სახელმწიფოს ჯილდო იყო, თუშცა თავისთავად თითოეულმა მათგანმა იგი მიიღო კეთილსინდისიერი შრომისათვის, პატიოსნებისა და თავდადებასათვის. ამ ჯილდოს ფასი კი სხვა არის, ვინაიდან თქვენ გა-ჯილდოებთ დამოუკიდებელი, დემოკრატიული სამშობლო. შეიძლება ვინმემ იკითხოს: რა მოგვიტანა დამოუკიდებლობამ, ცოტა უკეთ ვცხოვრობდით, არც სამუშაო გვიჭირდა და ცხოვრებისეული სიკეთეც არსებობდაო. ვიპასუვებთ: მოგვიტანა თავისუფლება, პიროვნების თავისუფლება, ის თავისუფლება, რომელზეც ჩვენი წინაპრები მრავალი საუკუნის მანძილზე ოცნებობდნენ. ოცნება რეალობად იქცა. საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა ჯერჯერობით აღდგენილი არ არის, დღეს დამოუკიდებელი ქვეყანაა, მსოფლიო მას ანგარიშს უწევს და ესმარება, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავლახოთ ის წინააღმდეგობები და დაბრკოლებები, რომლებიც ჩვენ შეგვგზავდა. დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობა უფრო რთულია, ვიდრე ეს მიტინგებსა და კრებებზე გამოსვლებისას წარმოგვედგინა, მით უმეტეს, რომ თავად შევარყიეთ საფუძველი, რომელზეც ქვეყანა უნდა აგვეშენებინა. ესეც ალბათ ცხოვრების გაკეთილია და ასეთი მოვლენა საქართველოს ისტორიაში გამონაკლისი როდია.

დღეს, კიდევ ერთი გამოცდა უნდა ჩავაბაროთ ჩვენს სამშობლოს. ჩვენს წინაშეა პრობლემები, რომლებიც დაუყონებლივ უნდა გადავლახოთ. ნათქვამია: გაჭირვებულ კაცს, ქვა აღმართში დაეწიო, ჩვენც ასე მოგვივიდა. კრიზისი, რომელიც არ იყო დაგეგმილი და გათვლილი არც ერთი ანალიტიკოსის მიერ, მაინცდამაინც საქართველოს და კიდევ სხვა რამდენიმე ქვეყანას შეეხო. ამან დიდი ტკივილი მოგვაყენა და დიდი პრობლემები შეგვიქმნა. ეს თვეები საქართველოსათვის დიდი გამოცდის დროა. ქვეყანამ ეკოლოგიური კრიზისი განიცადა, განადგურდა ნათესები, მოსავალი და ჯერ კიდევ არ ვიცით, რას გვიქადის ზამთრამდე დარჩენილი დრო. მაგრამ როგორი დაბრკოლებებიც არ უნდა



შეგვხედეს, გვამშვიდებს ის, რომ არსებობთ თქვენი ჩვენნი თანამოაზრეები, ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თქვენთან ერთად წინსვლაში წინსვლისათვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერი მომავლისათვის.

ამ რამდენიმე წელიწადში მრავალი მეგობარი შევიძინეთ, მას შემდეგ, რაც შევაჩერეთ ძარცვა და ნგრევა, ბოლო მოვუღეთ უკანონო შეარაღებული ფორმირებების თარეშს, საქართველოს ავტორიტეტი გაიზარდა და თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა გვეხმარება სხვადასხვა ფორმით. ამერიკის შეერთებული შტატები ყოველწლიურად 120 მილიონი დოლარის დახმარებას უწევს საქართველოს. გვეხმარებიან აგრეთვე გერმანელები, ფრანგები, ამ ბოლო დროს იაპონელები, ჩინელები. ეს იმის გამო როდი ხდება, რომ ლამაზი ქვეყანა გვაქვს, მდიდარი წარსულითა და კულტურით (რა თქმა უნდა ამისთვისაც), მთავარია, რომ ჩვენ ავირჩიეთ მომავლის სწორი გზა. გაჭირვების, შიმშილის, სისხლიანი კონფლიქტების და სამოქალაქო ომის დროს ავირჩიეთ დემოკრატიის, თავისუფლების გზა და ამ გზას ყველა ჩვენმა მეგობარმა მხარი დაუჭირა და გვეხმარებიან შეძლებისდაგვარად.

თქვენთან ერთად, დღეს ყველას მინდა გუთხრა, რომ ეს სატკივარი, ეს გაჭირვება აუცილებლად უნდა გადაეცინას საქართველოს, რომ შორს არ არის დრო, როცა ქვეყანა საბოლოოდ გაითლიანდება და აყვავდება. ამ გზით მივდივართ და უნდა ვირწმუნოთ მისი, რადგან სხვა გზა არ არსებობს, სხვა გზა უფსკრულთან მიგვიყვანს.

გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო, იმისათვის, რასაც თქვენ ქვეყნისათვის აკეთებთ. რაც შეეხება ჯიბო ლომაშვილის წინადადებას ეროვნული გმირის დაწესების შესახებ, ვფიქრობ, ეს საკითხი უნდა განვიხილოთ მას შემდეგ, როცა საქართველო გაითლიანდება, მაშინ მჯერა, ბევრი ეროვნული გმირი შევიძინებთ ჩვენს სამშობლოს.

მადლობას მოგახსენებთ თქვენი დეპუტატისათვის, თქვენი წვლილისათვის საქართველოს განვითარებაში.

გვიყვარდეს საქართველო...

ვასწავლოთ სამშობლოს სიყვარული ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, რადგან დღეს მსოფლიოში ისეთი პროცესები ვითარდება, რომ ძალიან იოლია, დაივიწყოს ბავშვმა, თუ სად დაიბადა, სად გაიზარდა და მიჰყვეს უფრო მიმზიდველ დინებებს. ამიტომ საქართველოს სიყვარული და მისთვის თავდადება ყოველი ახალგაზრდის მუდმივი თვისება უნდა იყოს.

დიდ მადლობას მოგახსენებთ და გისურვებთ წარმატებებს.

2000 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა
ქედნად უმჯობესად ღირსების ორდენი გადასცა:



თბილისის სავაჭრო რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს
ლელა ჩქარაიას



საქართველოს დამსახურებულ არტისტს
გივი თონაძეს.



2000 წლის 29 აპრილის საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა
 ქვეყნის მთავრობის შემადგენელი წევრების ორდენი გადასცა



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის
 ავტონომიური რესპუბლიკის მენეჯერებთან აკადემიის აკადემიკოსს
 პეტრე ნეტკაძეს



თბილისის მერიის უფლებიანი პარტნიორების
 საზოგადოება საბინაო მშენებლობის საქართველოს
 უფროსს ოთარ ჭიკაშვილს.

2000 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა
ქალაქად შავაბრანაქაში დირექციის ორდენი გადასცა:



საქართველოს პარლამენტის წევრს
ზენკა ლუგინიშვილს



საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილეს
თაბაჯ ტატიშვილს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



2000 წლის 29 აპრილის საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის წევრებთან ერთად
სახელმწიფო ბიბლიოთეკის და პარლამენტის ბიბლიოთეკის დაჯointურად
დაჯointურების ცენტრის შექმნის ბავშვების სახელობის ფორუმის დასრულება.



ულის ლეიტენანტი ვლადიმერ ოსიშვილი დაჯილდოვდეს II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

კ. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 974 2000 წლის 1 სექტემბერი ქ. თბილისი

**გ.გუგუშვილის, თ.კახიძის, თ.კორინთელისა და ი.ვაჭარაძის
ღირსების ორდენით დაჯილდოვების შესახებ**

ხალხური სიმღერების აღდგენა-აღორძინებაში, ქართული კულტურის სა-
ზღვარგარეთ პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის,
შალვალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა-
სათვის ანსამბლ „შვიდაცაც“ ღვაწლმოსილი წევრები, ახალგაზრდობის
მეექვსე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის ოქროს მედლის მფლობელები
გიორგი გუგუშვილი, თენგიზ კახიძე, თენგიზ კორინთელი და ივანე
მაჭავარიანი დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

კ. შვეარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 981 2000 წლის 10 სექტემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს
სისტემისა და აპარატის მუშაკების საქართველოს ორდენით,
მედალებით დაჯილდოვებისა და წახალისების შესახებ**

ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი
პირადი წვლილის, ნაყოფიერი სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობი-
სათვის საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტ-
როს სისტემისა და აპარატის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორ-
დენებით, მედალებით და გამთეცხადოთ მედალთა:

ღირსების ორდენით:

- ვილენ ალაგაძე** - შიდა ვაჭრობის პოლიტიკის, ანალიზისა და რევიონთა-
შორისი სავაჭრო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი
- შალვა აბულაძე** - სამინისტროსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნი-
კის მეცნიერების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი სამხედრო სამობი-
ლიზაციის დარგში
- ზურაბ ბერიშვილი** - ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და პროგნოზი-
რების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
- ამირან ვახიანი** - ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და პროგნოზი-
რების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
- გიორგი წიზნაძე** - დარგობრივი ეკონომიკის დეპარტამენტის დირექ-
ტორის მოადგილე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
- ოლეგ კორნიშჩინა** - საქართველოს დამსახურებული ბუღალტერი
- დომენტი მთურავიძე** - სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სო-
ციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექ-
ტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ეკონომიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი
- ალექსანდრე წერეთელი** - სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და
სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბი-
ლისის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ეკონომიკურ მეცნიერე-
ბათა კანდიდატი
- გიორგი ჯულაყიძე** - სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სო-
ციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოცია-



ლური პრობლემების სექტორის მთავარი მენეჯერ-მუშაკი, ეკონომიკური მენეჯერებათა დირექტორი, პროფესორი.

ღირსების შედღოთ:

- კონსტანტინე გურგენიძე** - საგარეო ვაჭრობის ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობის რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილე
 - მურთაზ წანკალიანი** - შიდა ვაჭრობის პოლიტიკის, ანალიზისა და რეგიონთაშორისი სავაჭრო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
 - შალვა ზარანდიძე** - ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის დარგობრივი ეკონომიკის სამმართველოს სათბობ-უნერგეტივული კომპლექსის ეკონომიკის განყოფილების უფროსი
 - ლევან თურმანიძე** - სამრეწველო ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
 - თეიმურაზ კობახიძე** - ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის დირექტორი, ტექნიკურ მენეჯერებათა კანდიდატი
 - ბორის ნაზლაძე** - შპს „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ეკონომიკის დარგში
 - თამარ თქობრიძე** - სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის დეპარტამენტის განათლების, კულტურისა და ეკოლოგიის საკითხთა სამმართველოს განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი
 - გურამ ქაჯაია** - სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
 - რობინონ ნიქელაშვილი** - ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ეკონომიკურ მენეჯერებათა კანდიდატი
 - ნოდარ ცანავა** - სამრეწველო ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორი, ეკონომიკურ მენეჯერებათა კანდიდატი, პროფესორი.
- გამოეცხადოთ მადლობა:**
- ლილი ვაგნატაძე** - ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის დარგობრივი ეკონომიკის სამმართველოს სოფლისა და სატყეო მეურნეობის ეკონომიკის განყოფილების უფროსი
 - ნელი ვლუნჩაძე** - ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სამმართველოს ფისკალური პოლიტიკის განყოფილების უფროსის მოადგილე
 - გურამ დადიანი** - სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მრეწველობის ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე
 - პაატა ლახურაშვილი** - სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის დეპარტამენტის დირექტორი
 - გულადი ლომინაშვილი** - შიდა ვაჭრობის პოლიტიკის, ანალიზისა და რეგიონთაშორისი სავაჭრო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
 - დავით შქოშვილი** - შიდა ვაჭრობის პოლიტიკის, ანალიზისა და რეგიონთაშორისი სავაჭრო ურთიერთობების დეპარტამენტის ვაჭრობის წესების სრულყოფის და ანალიზის განყოფილების უფროსი
 - გიორგი შქმარიაშვილი** - რეგიონალური ეკონომიკის დეპარტამენტის დირექტორი

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღება**

№ 997

2000 წლის 14 სექტემბერი

ქ. თბილისი

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამხარულო
საქართველოს ორდენებითა და მედალებით დაჯილდოების შესახებ**

დასავლეთ საქართველოს რეგიონში საბრძოლო დაავალებების შესრულების დროს გამოჩენილი მაჰაცობისა და თავგანწირვისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილის მოსამხარულებები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედალებით:

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

მალხაზ კუხიანიძე - შინაგანი ჯარების რეიტი, 2068-ე I მობილიზაციული ასეულის I ოცეულის III ათეულის უფროსი მსროლელი (სიკვდილის შემდეგ).

მედლით „მხედრული მაჰაცობისათვის“:

მანუჩარ ბაკარანიძე - შინაგანი ჯარების რეიტი, 2072-ე საბადრაგო ოცეულის II ათეულის მსროლელი (სიკვდილის შემდეგ).

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

ბესარიონ ნიკოლიშვილი - სერჟანტი, 2054-ე I ბატალიონის I ასეულის, I ოცეულის I ათეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღება**

№ 999

2000 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

**ჯ.ლომინაძის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით
დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში პლაზმური ასტროფიზიკის სამეცნიერო სკოლის შექმნისა და მის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-მედიკოლოგიური მოღვაწეობისა და აქტიური სახელმწიფო-საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, გამოჩენილი ასტროფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ფელიალის - პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **ჯუმბერ ლომინაძე** დაჯილდოვდეს **III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.**

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
ბანკარბუღება**

№ 1000

2000 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

**საქართველოს დაჯილდოების სახელმწიფო დაჯილდოების
თანამშრომლობის საქართველოს ორდენებითა და მედალებით
დაჯილდოების შესახებ**

მხედრული ვალის შესრულებისას გამოჩენილი მაჰაცობის, გაბედული მოქმედებების, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის საქართველოს დაჯილდოების სახელმწიფო დაჯილდოების თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედალებით:

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ოთარ ჩიხრაძე - გენერალ-მაიორი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე.



ღირსების ორდენით:

სერგო წიბიბაძე - ვიცე-პოლკოვნიკი, აფხაზეთის სამხარეთველოს უფროსი
ზურაბ მხეიძე - ვიცე-პოლკოვნიკი, ინფორმაციისა და ანალიზის სამ-
მართველოს უფროსი

რამაზ ჯაბაური - ვიცე-პოლკოვნიკი, ოპერატიული სამმართველოს უფროსი.
მედლით **„მხედრული მამაცობისათვის“:**

იოსებ ავსაჯანიშვილი - ვიცე-პოლკოვნიკი, ოპერატიული სამმართველოს
განყოფილების უფროსი

გონა გვარამია - კაპიტანი, აფხაზეთის სამმართველოს მიმართულებას უფროსი
ავთანდილ გელაგა - პოლკოვნიკი, ოპერატიული სამმართველოს განყოფი-
ლების უფროსი

მიხეილ იოსელიანი - ვიცე-პოლკოვნიკი, ინსპექციისა და საკუთარი უშიშ-
როების სამმართველოს განყოფილების უფროსი

მამუკა კვაბაძე - კაპიტანი, ოპერატიული სამმართველოს მიმართულების
უფროსი

ნანა კინტირაია - უფროსი სერჟანტი, რადიო-ელექტრონული დაზვერვის
ცენტრის უფროსი ინსპექტორი

გონა რატიანი - ვიცე-პოლკოვნიკი, ოპერატიული სამმართველოს გან-
ყოფილების უფროსი.

ღირსების მედლით:

რომან აღაბიშვილი - კაპიტანი, რადიო-ელექტრონული დაზვერვის ცენტ-
რის მიმართულების უფროსი

ალექსანდრე ბერძენიშვილი - მაიორი, ოპერატიული სამმართველოს გან-
ყოფილების უფროსი

ნუგზარ გრძელიშვილი - მაიორი, ინფორმაციისა და ანალიზის სამმართ-
ველოს უფროსის მოადგილე

მიხეილ კოლიკაძე - პოლკოვნიკი, ოპერატიული სამმართველოს სადაზ-
ვერვო ბუნქტის უფროსი

გურამ მათეშვილი - პოლკოვნიკი, რადიო-ელექტრონული დაზვერვის
ცენტრის უფროსი

ნიკოლოზ ნინუა - კაპიტანი, ოპერატიული სამმართველოს განყოფილების
უფროსის მოადგილე

გალერაან შაგვიშვილი - თადარიგის პოლკოვნიკი, ოპერატიული სამმართ-
ველოს თანამშრომელი (სიკვდილის შემდეგ)

ბესიკ წიკლაური - კაპიტანი, თავმჯდომარის აპარატის განყოფილების
უფროსი

თამაზ ჭანტურია - თადარიგის პოლკოვნიკი, ინსპექციისა და საკუთარი
უშიშროების სამმართველოს განყოფილების უფროსი.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 1001

2000 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

**სტუდია «აუდიენციის» თანაგმროველთა საქართველოს ორდენებითა
და მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ**

საქართველოში ტელეინდუსტრიისა და რადიომაუწყებლობის განვითარე-
ბაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ძალადი პროფესიონალიზმისა და
ნაყოფიერი მუშაობისათვის სტუდია „აუდიენციის“ თანამშრომლები დაჯილ-
დოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადით
მადლობა:

ღირსების ორდენით:

ნინო ნატროშვილი - სტუდია „აუდიენციის“ რედაქტორი

დავით სოკოლოვი - სტუდია „აუდიენციის“ დირექტორი.

ღირსების მედლით:

გიორგი აგუკიანი - სტუდია „აუდიენციის“ ვიდეოინჟინერი

ვანტანგ ბერიაკაშვილი - რადიო „აუდიენციის“ მუსიკალური რედაქტორი

არჩილ ვოგელაია - სტუდია „აუდიენციის“ დირექტორის მოადგილე

გელა იმნაძე - რადიო „აუდიენციის“ მუსიკალური რედაქტორი

გიორგი კალანდია - სტუდია „აუდიენციის“ კორესპონდენტი

ირაკლი მისუაშვილი - სტუდია „აუდიენციის“ დირექტორის მოადგილე

დალილა საჩანდრიშვილი - სტუდია „აუდიენციის“ დირექტორის მოადგილე

ნონა ყანდიაშვილი - რადიო „აუდიენციის“ დირექტორი.

გამთეცხადოთ შადლობა:

თამარ ბართაიას - სცენარისტს

გიორგი დადუნაშვილს - კომპიუტერული გრაფიკის დიზაინერს

ტატიანა დათუკიშვილს - სტუდია „აუდიენციის“ სარეკლამო განყოფილების უფროსს

ნანა დულაძეს - სტუდია „აუდიენციის“ განყოფილების ხელმძღვანელს

დავით შაჩაიძეს - ოპერატორს

ინინა შოსეშვილს - რადიო „აუდიენციის“ პროგრამების დირექტორს

მარიამ რაჭმაძეს - სტუდია „აუდიენციის“ გადაცემის „ვიდეობატრული 02“-ის კორესპონდენტს

ზინა (ზეინაბ) ჩანტლაძეს - სტუდია „აუდიენციის“ გადაცემის „ვიდეობატრული 02“-ის კორესპონდენტს

დემეტრი ჩხეიძეს - სტუდია „აუდიენციის“ კომპიუტერული გრაფიკის დიზაინერს

ზურაბ ჯანგულაშვილს - სტუდია „აუდიენციის“ დირექტორს

პამელეტ ჯიჯიაშვილს - ანიმატორს.

ქ. შვეარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის

ბანკარბუღალბა

№ 1008

2000 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

ბ.ბაბუნაშვილის მედლით «სხედი რული მამაცობისათვის»
დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ფარცხანაყანების პოლიციის ქვეგანყოფილების პოლიციის უბნის ინსპექტორი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი კახა ბაბუნაშვილი დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ (სიკვდილის შემდეგ).

ქ. შვეარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის

ბანკარბუღალბა

№ 1009

2000 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

ზ.უკლაშვილს ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

განათლების სისტემაში სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეურნეო მუშაობის გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი ზურაბ უკლაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ქ. შვეარდნაძე



**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 1010

2000 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

ო.მხეიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების უმსახვობა

ქვეყნის საავტომობილო გზების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს საავტომობილო გზების კვლევა-ძიებისა და დაპროექტების ინსტიტუტის „საქსახგზა-პროექტის“ კონსულტანტი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი თთარ მხეიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 1011

2000 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

**გ.კიკნაძის და გ.ჯაგაშვილის ღირსების ორდენით
დაჯილდოების უმსახვობა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

გურამ კიკნაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის დირექტორის მოადგილე, საკანონმდებლო ჯგუფის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გივი ჯაგაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის საკანონმდებლო ჯგუფის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 1012

2000 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

**დ.ხანიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების
უმსახვობა**

ქართული მწერლობის განვითარებაში, ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის პოეტი დანიელ ხანიაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 1015

2000 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

**კ.ბახუტაშვილის ღირსების მედლით დაჯილდოების
უმსახვობა**

საქართველოს სახელმწიფოს აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს



საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 1044

2000 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის განათლებისა და
მეცნიერებათა დარგის მუშაკთა საქართველოს ორგანიზაციის
მედიაგაზიტი დაჯილდოებისა და წახალისების
შესახებ

მისწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში, ამბროლაურის რაფიელ დვალის სახელობის №1 საშუალო სკოლის მშენებლობაში შეტანილი შირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის განათლებისა და მშენებლობის დარგის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებით, მედლებით და გამოცხადდნენ მადლობა:

დირსების ორდენით:

- გარა ენუქიძე** - ამბროლაურის რაფიელ დვალის სახელობის №1 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
- იური კობახიძე** - განათლების სამხარეთ სამმართველოს უფროსი
- ნელი წერეთელი** - ამბროლაურის რაფიელ დვალის სახელობის №1 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

დირსების მედლით:

- ალექსანდრე აბუთიძე** - ამბროლაურის რაფიელ დვალის სახელობის №1 საშუალო სკოლის დირექტორი
- ალეგო გოცირაძე** - სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენის“ ამბროლაურის უბნის უფროსი
- ბონდო თევზაძე** - სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენის“ ამბროლაურის უბნის მექანიზატორი
- გელა კობახიძე** - ამბროლაურის №2 საშუალო სკოლის დირექტორი
- ტარიელ კობახიძე** - ამბროლაურის რაიონის მთავარი არქიტექტორი
- ბესარიონ შხეიძე** - სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენის“ მთავარი ინჟინერი
- მურთაზ რეზვიაშვილი** - სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენის“ ამბროლაურის უბნის მებეტონე.

გამოცხადდნენ მადლობა:

- ოთარ ბაკურაძე** - ამბროლაურის რაიონის მეორე ტოლის არასრული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს
- მანანა ვაგოშიძე** - ამბროლაურის №2 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს
- გუგულა კანთელაძე** - ამბროლაურის რაიონის ლიხეთის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
- მანანა ნატყელაძე** - ამბროლაურის რაიონის ზედაირის არასრული საშუალო სკოლის დირექტორის მთადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში
- ციალა ჭვლიძე** - ამბროლაურის რაიონის ნამახევის საშუალო სკოლის დირექტორს
- სესილი ჭვლიძე** - ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების მთავარ სპეციალისტს
- ლია ჯანელიძე** - ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

ვ. შევარდნაძე

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება**

№ 1051

2000 წლის 29 სექტემბერი

ქ. თბილისი
